# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№250 (12625) 24 ოქტომბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიეგო კუპერს არ ცნობს

## მარადონა ქართველებს ყველაფერში დაეთანხმა



»»» 2



კლაუდიო კანიჯა

## აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი

»»» 2



თენგიზ სულაქველიძე

»»» 3

## დიეგოს წინააღმდეგ კვლავ სიამოვნებით ვითამაშებდი

## ჩემპიონატის არ უნდა დაგვავიწყდეს

VII ტურის წინათქმა

»» 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დიეგო მარადონა საქართველოში

პრესკონფერენცია

# რატომ არ ცნობს მარადონა კუპერს?

## დიეგო ქართველებს ბევრჯერ დაეთანხმა. ფინალში კანიჯა რომ გვყოლოდა, 1990 წელს მუნდიალს არგენტინა მოიგებდაო...

დიეგო მარადონასა და მისი თანამემამულე ვარსკვლავების პრესკონფერენცია გუშინ 18 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ არგენტინელთა გრაფიკში გარკვეული ცვლილებები შევიდა და საათზე მეტხანს მოგვიწია ცდამ...

ეს არ იყო სტანდარტული პრესკონფერენცია, რაღაც ხალისიანი შოუ გამოვიდა. მარადონა, რომელიც ჟურნალისტებთან კინკლაობაში ხშირადაა შემჩნეული, ქართველ მასმედიელებს თბილად ესაუბრა, ეხუმრა კიდეც და ჩვენი კომპლიმენტებიც აშკარად ესიამოვნა. ერთი სიტყვით, თავადაც იხალისა და ჩვენც გვახალისა. დიდმა სტუმარმა ავტოგრაფიც უხვად დაარიგა და ჟურნალისტების გარდა, სამახსოვრო ფოტოები უბრალო გულშემატკივრებთანაც გადაიღო.

მედიის წინაშე დიეგო მარადონა, კლაუდიო კანიჯა და ალეხანდრო მანკუსო წარდგნენ...



კლაუდიო კანიჯა და დიეგო მარადონა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- რა წარმოდგენა შეგექმნათ საქართველოზე და რას იტყოდით შაბათის მატჩზე?**

- უპირველეს ყოვლისა, გულთბილად მოგესალმებით. თავიდანვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ საქართველოში თავს ჩინებულად ვგრძნობ. კარგად ვიცი, რაც მოხდა თქვენს ქვეყანაში. მინდა, ქართველ ხალხს ომისგან მიღებული ტკივილი გავუქარწყლო და ჩემი ვიზიტის მიზანიც სწორედ ესაა. შაბათის მატჩით გულშემატკივრებს სიამოვნება უნდა მივანიჭოთ. ასე რომ, 25 ოქტომბრის მატჩს მოუთმენლად ველი.

**- საბჭოთა კავშირის ნაკრების წინაალმდეგ რამდენჯერმე გითამაშიათ. ამ გუნდში კი ქართველებიც ასპარეზობდნენ და თქვენს წინააღმდეგაც უთამაშიათ. მათგან რომელიმე თუ გახსოვთ?**

- სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, ვინ იყვნენ ქართველები საბჭოთა ნაკრებში. მაშინ ყველას რუსებად მივიჩნევდით. ის კი უკვე მითხრეს, რომ ქართველებს ძალიან კარგი გუნდი გყოლიათ - თბილისის „დინამო".

**- თურმე, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა გსურთ. თქვენი თანამემამულე ექტორ კუპერი კი საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცია...**

- დიახ, ნამდვილად მინდა, არგენტინის ნაკრები გავწვრთნა, ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ ვნახოთ, რას გადაწყვეტს საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა... რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, მინდა, ახლოს გავიცნო ქართველი ფეხბურთელები, მაგრამ კუპერს მე არ ვცნობ.

**- საქართველოში ბევრი მიიჩნევს, რომ დიეგო მარადონა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. თქვენ რას ფიქრობთ?**

- თუ ასე ფიქრობთ, მაშინ გეთანხმებით. მადლობელი ვარ. თქვენი სახით ერთი მეგობარი უკვე შევიძინე.

...ამას დარბაზში ოვაციები მოჰყვა. კითხვა „ტელეიმედის" სპორტულმა მიმომხილველმა **ლევან სალუქვაძემ** დაუსვა.

მერე, მწერალმა **დათო ტურაშვილმა** მარადონას მისი წიგნის თარგმნა-გამოცემაზე თანხმობა სთხოვა. დიეგომ მას საჯაროდ თანხმობა განუცხადა.

**- ემირ კუსტურიცას ფილმი, რომელიც თქვენზეა გადაღებული, მალე თბილისის კინოეკრანებზეც გავა. რას იტყვით ამ ფილმზე და გვირჩევდით თუ არა მის ნახვას?**

- მართალი გითხრათ, ეს ფილმი არ მინახავს და მასზე ბევრი არც არაფერი ვიცი.

**- მას მერე, რაც საფეხბურთო კარიერა დაასრულეთ, ხშირად იყო მსჯელობა, თუ ვინ იქნებოდა ახალი მარადონა. როგორ ფიქრობთ, არგენტინის ნაკრებში ვის შეუძლია ამ მისიის შესრულება?**

- ფეხბურთი ვითარდება და წინ მიდის. არგენტინის ნაკრებში რამდენიმე გამორჩეული ფიგურაა, ისინი თამაშის საკუთარი სტილით გამოირჩევიან და ყველას წარმატებას ვუსურვებ. მინდა, რომ მათ ეს მისია შეასრულონ.

...შემდეგი კითხვა **კლაუდიო კანიჯას** დავუსვით...

**- იმ გუნდში, რომელსაც შაბათს უნდა ეთამაშოთ, რამდენიმეს იცნობთ კიდეც. რა გრძნობებს იწვევს ეს თქვენში?**

- დიახ, შოთა არველაძისა და გიორგი ნემსაძის გვერდით არაერთი მატჩი მითამაშია. ჩვენ არა მარტო ყოფილი თანაკლუბელები, არამედ მეგობრებიც ვართ. ბედნიერი ვარ, რომ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებს ვიცნობ. ბედნიერი ვარ იმითიც, რომ შაბათს მათთან ერთად კიდევ ერთხელ ვიქნები მოედანზე და ყველა ერთად ფეხბურთით ვისიამოვნებთ.

...მერე ისევ მარადონას მივუბრუნდით...

**- პირდაპირ და თამამად გკითხავთ: მექნება თუ არა ბედნიერება, რომ მარადონას ხელი ჩამოვართვა, ის ხელი, რომელსაც მან „ღმერთის ხელი" უწოდა?**

- სიამოვნებით...

...კვლავ ოვაციები. კითხვა „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტმა **გიორგი მამაცაშვილმა** დასვა. ის დიეგოსთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. მარადონა გაიბადრა, ხელი მაღლა შემართა და ზუსტად ისეთი მოძრაობა გააკეთა, როგორიც 1986 წელს, ინგლისის ნაკრებთან მატჩში...

**- ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად?**

- ასეთი ბევრი შემიძლია ჩამოვთვალო... რომარიო, პასარელა, კემპესი, ბარეზი, კარეკა, რიკელმე, მესი, აგუერო, ინიესტა... და რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი კანიჯა.

**- 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, გფრ-ის ნაკრების წინაალმდეგ, კანიჯამ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. როგორ ფიქრობთ, ის რომ ყოფილიყო, გახდებოდა არგენტინა ჩემპიონი? ჩვენთან ბევრს მიაჩნია, რომ კანიჯასთან ერთად, არგენტინელები ოქროს მოიგებდნენ...**

- დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით...

პრესკონფერენცია ამ სიტყვებითა და ოვაციებით დასრულდა. მარადონას გუნდმა სრული შემადგენლობით მინდორს მიაშურა - მოედანს სამჯერ შემოურბინეს, მერე გრძელი პასები და კვადრატი გააჩაღეს, კარშიც დაარტყეს, ბოლოს კი ნახევარ მოედანზე ორკარაც ითამაშეს. სტუმართა წვრთნას მეტოქე გუნდიდან **არჩილ და რევაზ არველაძეები, გიორგი ნემსაძე** და სხვები ადევნებდნენ თვალს. დღეს 19 საათზე არგენტინელები კვლავ ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ, მერე კი ჩვენი ვეტერანებიც გააგორებენ ბურთს...

**დავით ცაბაძე**

ბოლო სტუმარიც აქ არის

# კლაუდიო კანიჯა: აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი

დიდი დიეგოს გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე, თავდამსხმელი **კლაუდიო კანიჯა** ყველაზე გვიან გვეწვია. მისი ჩამოსვლა ბოლო წამამდე აეჭვებდათ, მაგრამ კიევი-თბილისის რეისმა, რომელმაც 10 წუთით დააგვიანა, სასურველი სტუმარი ჩამოიყვანა. საბაჟო ფორმალობების შემდეგ კანიჯაც გამოჩნდა და ჟურნალისტებს დიდი ხვეწნა-მუდარის გარეშე მოგვიახლოვდა...

*„კლაუდიო უბრალო, გულიან ადამიანად დამამახსოვრდა. „დანდიში" თამაშის პერიოდში რომ გავიცანი, ვფიქრობდი, დიდი ფეხბურთი უთამაშია და შეიძლება, ამაყი იყოს-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, მარადონას უახლოესი მეგობარია. სინამდვილეში ის ისეთი უბრალო ადამიანი აღმოჩნდა, გაოცებული დავრჩი. მისნაირი თავმდაბლობა გაცილებით უცნობ მოთამაშეებსაც კი არ ახასიათებს. რაც შეეხება პარტნიორობას, ძალიან სასიამოვნო იყო მის გვერდით თამაში. უსიტყვოდ შეეძლო გაგება, გახსნა... ის ნახევარმცველებს ხელს უწყობდა და მოედანზე ფუტკარივით შრომობდა. მიხარია, რომ ჩამოდის. კანიჯასთან ერთად თამაშის ბედნიერება მე და შოთა არველაძეს გვქონდა. ამით მთელი ცხოვრება ვიამაყებ",* - გვითხრა სტუმრის ჩამოსვლამდე **გიორგი ნემსაძემ**.

...კლაუდიო გულღია მოსაუბრე ჩანს. ვარსკვლავებმა რომ იციან ცხვირის აწევა, ამის ნატამალიც არ ეტყობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა მსურველს ავტოგრაფი მისცა და სურათის გადაღებაზეც არ დაზარდა.

არგენტინელს **ნიკო პატარქალიშვილის** დახმარებით გავესაუბრეთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, უცნაური ინტერვიუ კი გამოგვივიდა - კითხვებს ბატონი ნიკო თარგმნიდა, მაგრამ დროის სიმცირის გამო პასუხები ვერ მოვისმინეთ. ინტერვიუს გადმოქართულებაში ესპანურის ჩინებულად მცოდნე **დათო ტურაშვილი დაგვეხმარა...**



**- კანიჯა, თბილისში არგენტინელების ჩამოსვლა უზომოდ გვიხარია. სიმართლე გითხრათ, თავიდან ვერც ვიჯერებდით, რომ ეს შესაძლებელი იყო...**

- რა იყო დაუჯერებელი?! მარადონამ მითხრა, საქართველოში უნდა წავიდეთო და ძალიან გამიხარდა. ეს ჩემი მეგობრების ქვეყანაა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაში ჩამოვედი. როგორც კი აეროპორტში შემოვდგი ფეხი, მაშინვე უზომო სითბო ვიგრძენი. ხალხი ისე გვხვდება, თითქოს არგენტინაში ვიყოთ.

**- ქართველ ვეტერანებთან შეხვედრაზე რას იტყოდით?**

- ეს მეგობრული თამაშია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საქართველოში, ხალხის თანადგომისთვის ჩამოვედით. ამას გარდა, არგენტინელი და ქართველი ფეხბურთელების დაახლოებასაც შევუწყობთ ხელს.

**- თუ იცით, რომ თქვენი ქართველი მეგობრებიდან ერთ-ერთი, შოთა არველაძე, 25 ოქტომბერს ვერ ითამაშებს?...**

- გავიგე და გული დამწყდა. „რეინჯერსში" თამაშისას შოთა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, ერთმანეთის კარგად გვესმოდა ცხოვრებაშიც და მოედანზეც. დიდი იუმორის პატრონია. მისი ნახვა ყოველთვის გამიხარდება.

**- საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენს ქვეყანასა და ქართულ ფეხბურთზე თუ იცოდით რამე?**

- რა თქმა უნდა, ვიცოდი, რადგან შოთა და გიორგი (ნემსაძე) თავიანთ სამშობლოზე ბევრს მიყვებოდნენ. მე ხომ „ნემსასთანაც" ვმეგობრობ.

» 3

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო მარადონა საქართველოში

## აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი

« 2

შოტლანდიაში ქართველებს ძალიან დავუახლოვდი. მათი მონაყოლით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ჩვენსავით უბრალო და გულღია ხალხი ცხოვრობს... სხვათა შორის, ადრეც იყო ჩვენი ჩამოსვლის შანსი, მაგრამ არ გამოვიდა, ახლა კი ხელიდან აღარ გავუშვი. მართლა ძალიან მინდოდა თქვენი ქვეყნის ნახვა.

**- წამოსვლამდე ქართველ მეგობრებს მართლა შეეხმიანეთ?**

- დიახ, ნემსაძეს და შოთას დავუკავშირდი...

**- როდის გაიგეთ, რომ საქართველოში გეპატიჟებოდნენ?**

- არც ისე დიდი ხნის წინ... არც დავფიქრებულვარ, უნდა წამოვსულიყავი თუ არა.

**- თუ იცით, რომ არგენტინა და მარადონა საქართველოში ძალიან უყვართ?**

- ხალხის თვალებში ეს აშკარად ჩანს. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ არგენტინელებს საქართველოში ასეთი სიყვარულით ეპყრობიან. ჩვენი ნაკრების მიმართ სიყვარული არ მაკვირვებს, მაგრამ აქაური სითბო მაინც განსაკუთრებულია.

**- რას ფიქრობთ დიეგოს სურვილზე, არგენტინის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. ხორხე ვალდანომ თქვა - მწვრთნელობაში გამოუცდელია და მისი დანიშვნა არ ღირსო.**

- მე მარადონას ნებისმიერ თანამდებობაზე მივესალმები. დიეგოს იმხელა ავტორიტეტი აქვს, მჯერა, არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობამდე მიიყვანს.

**- ის ამბობს: დროა, 1986 წლის თაობამ მართოს არგენტინული ფეხბურთიო...**

- ...და უნდა მართოს კიდეც. ჩვენ კარიერა დავამთავრეთ და გვსურს, არგენტინის ნაკრებს ძველი დიდება დავუბრუნოთ.

**- ახლა მთელი საქართველო ელის შაბათს, როცა თქვენ, მარადონა და კომპანია ჩვენს სტადიონზე პირველად ითამაშებთ...**

- მეც იმედი მაქვს, რომ რაც საქართველოსა და თქვენს გულშემატკივრებზე მსმენია, ის აზრი გამართლდება. ჩვენც სიამოვნებას მივიღებთ და ქომაგებსაც ვასიამოვნებთ.

## კანიჯას ვაჟს ფეხბურთი არ უყვარს

**კანიჯა** თბილისში ვაჟთან ერთად ჩამოფრინდა. სანამ დიდი არგენტინელი ინტერვიუებს არიგებდა, მის 12 წლის ბიჭუნასაც გავესაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ თურმე, ის ფეხბურთს არ თამაშობს...

*"ფეხბურთი არ მიყვარს, ჩოგბურთზე დავდივარ. მამაჩემი დიდი მოთამაშე იყო, მაგრამ ამ სახეობამ რატომღაც არ მიმიზიდა".*

ისე, კარგიც უქნია. დიდი ადამიანების შვილებზე ბუნება ისვენებსო, ამბობენ. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მსოფლიო ჩოგბურთის დიდი ვარსკვლავი ეზრდება?

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ თენგიზ სულაქველიძესთან

# დიეგოს წინააღმდეგ კვლავ სიამოვნებით ვითამაშებდი

## მარადონამ სულაქველიძეს მადა დაუკარგა

**დიეგო მარადონას წინააღმდეგ ნათამაშები ექვსი ქართველიდან თენგიზ სულაქველიძე იმითია გამორჩეული, რომ არგენტინელს პერსონალურად მეურვეობდა. თანაც არა ერთ, არამედ სამ შეხვედრაში. პირველად შედარებით გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ ჯერზე უკვე თამამად ეთამაშა. საინტერესოა, როგორ იხსენებს მარადონასთან ჩატარებულ მატჩებს თენგიზ სულაქველიძე. მას გუშინ დავუკავშირდით და დაუვიწყარი წარსული გავახსენეთ.**



ფოტო გაზეთ 11X11-ის არქივიდან

თენგიზ სულაქველიძე დიეგო მარადონას წინააღმდეგ

- მარადონა საფეხბურთო ღმერთის საჩუქარი იყო. ასეთები საუკუნეში ერთხელ თუ დაიბადებიან. გუშინ ტელევიზიით ვნახე მისი თბილისში ჩამოსვლის კადრები, გაზეთებშიც გავეცანი სტატიებს. ალალად გეტყვით, ტანში გამცრა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მარადონას თბილისში ჩამოსვლა ისტორიული მოვლენაა. ეს ნამდვილად ასეა. ჩვენც გვაქვს საშუალება, ცოცხლად ვნახოთ ფეხბურთის ლეგენდა, მილიონობით ქომაგის კერპი, ყველა თაობის საუკეთესო ფეხბურთელი და კიდევ რა ვიცი... სიტყვები აღარ მყოფნის იმ გრძნობის გამოსახატავად, რომელსაც დიეგო მარადონა ჰქვია.

**- მის წინააღმდეგ სამჯერ მოგიწიათ თამაშმა...**

- დიახ, ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ არგენტინაში ვითამაშეთ და ორივე მატჩი 1:1 დასრულდა. მესამედ 1985 წელს გერმანიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე მომიხდა მარადონასა წინააღმდეგ თამაში.

**- მოდით, იქნებ სამივე მატჩი ორიოდე სიტყვით მაინც გაიხსენოთ. პირველი შეხვედრით დავიწყოთ.**

- პირველად არგენტინის ნაკრებს მარ დელ პლატაში ვეთამაშეთ. მატჩის დღეს, საუზმემდე ნაკრების თავკაცმა კონსტანტინ ბესკოვმა მითხრა, მარადონას პერსონალურად უნდა ეთამაშოო. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ ნორმალურად ვერც კი ვისაუზმე. თავდაპირველად ვნერვიულობდი, მაგრამ მობილიზება მაინც შევძელი. მარადონას წინააღმდეგ მაშინ მართლა გამიჭირდა. ჩემი ვალდებულება იყო, დიეგოსთვის ხელი შემეშალა. ის ტექნიკურადაც გამორჩეული იყო, გონებაც უჭრიდა, მოედანსაც კარგად ხედავდა, გამოზომილი პასიც ჰქონდა - ფიზიკურადაც ჩინებულად იყო მომზადებული. სხვათა შორის, იმ თამაშში ანგარიში მანვე გახსნა. დასაევმა ხელით დაუგორა ბურიაკს, მარადონამ ეს გადაცემა ჩაჭრა და...

**- მეორე მატჩიც არგენტინაში ჩატარდა...**

- დიახ, ბუენოს აირესში. ამჯერად შედარებით თამამად ვეთამაშე დიეგოს. ერთ ეპიზოდში უხეშადაც კი მომივიდა თამაში, მაგრამ მარადონას პროტესტი არ გამოუთქვამს...

მესამე მატჩი კი ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ 4:1 მოვუგეთ. მეორეც, მატჩის დაწყებამდე ჩემთვის დაუვიწყარი ეპიზოდი მოხდა. მარადონამ მიცნო, მომიახლოვდა, მხარზე ხელი მომითათუნა და ესპანურად რაღაც მითხრა. ეს ენა არ მესმის, მაგრამ მივხვდი, რომ კომპლიმენტი მესროლა.

**- მარადონა დღეს თბილისშია. ხომ არ გინახავთ? მის წინააღმდეგ თამაშს კიდევ ერთხელ ხომ არ აპირებთ?**

- უპირველეს ყოვლისა, მადლობა ამ პროექტის ინიციატორ ნიკო პატარქალიშვილს, ფეხბურთის ფედერაციასა და ყველა სპონსორს. ბედნიერი კაცი ვარ, რომ დღემდე სამჯერ ვეთამაშე დიეგოს, თანაც სამივეჯერ პერსონალურად. კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. თუნდაც ისევ პერსონალურ მეურვედ მიმამაგრონ... (იცინის) იმედი მაქვს, შემეხმიანებიან და თამაში მომიწევს. მარადონას თბილისში არ შევხვედრივარ. როგორც გავიგე, აპირებს ჩვენთან თამაშს. ქართველებიდან მე, ჩივაძე, შენგელია და ხიზანიშვილი ვართ დარჩენილი, ვისაც ოდესმე დიეგოს წინააღმდეგ გვითამაშია. სამწუხაროდ, დარასელია და ყიფიანი აღარ არიან.

**- რას ეტყვით მარადონას?**

- თავდაპირველად, მის მიმართ დიდ პატივისცემას გამოვხატავ, მერე კი ძველ დროს, განვლილ მატჩებს გავიხსენებთ... გასახსენებელი კი მართლაც ბევრი გვაქვს.

**- შაბათის მატჩში რას ელით?**

- კარგ სანახაობას, ისეთს გულშემატკივარი რომ ისიამოვნებს და მარადონას ძველი თამაშები გაახსენდება. ჩვენ, ძველი და ახალი დინამოელებიც შევეცდებით, ჩვენი შესაძლებლობები ვაჩვენოთ დიეგოსა და მის გუნდს. მჯერა, რომ ეს მატჩი ქომაგებს დიდხანს ემახსოვრებათ.

**დავით ცაბაძე**

ჩვეულებრივი ღვარძლი

# რუსები თავის სტიქიაში: მარადონა ცხინვალში უნდა ჩასულიყო...

**საქართველოში** დიეგო მარადონას ჩამოსვლა დიდი მოვლენაა. ბუნებრივია, ამას უცხოელთა რეაქციებიც ახლავს თან, მათ შორის, რუსულ მედიაშიც. არ გვსურს, ხალხს ომით გამოწვეული ტკივილები გავახსენოთ, იმედია, ამას იუმორით მიიღებთ. რუსულ მასალებში ჩვეული ღვარძლი და შური იკითხება. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ სტატიებიდან:

### მარადონას ნომრიდან ალკოჰოლი ამოიღეს

დიეგო მარადონა და მისი მეგობრები ფეშენებელურ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" განათავსეს. სასტუმროს ადმინისტრაციის თქმით, მარადონას თხოვნით, მისი ნომრის მინი-ბარიდან ყველა ალკოჰოლური სასმელი ამოიღეს.

*ინტერნეტ-პორტალი "სტრანა"*

### მარადონა სააკაშვილის მოედანზე ითამაშებს

ოპოზიცია 7 ნოემბრის საპროტესტო აქციებისთვის, ხელისუფლება კი „თბილისობის" აღსანიშნავად ემზადება. გასული წლებისგან განსხვავებით, „თბილისობა" ტრადიციული სუფრების და ზეიმის გარეშე ჩაივლის. სამაგიეროდ, მასში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონა. ოპოზიციის თქმით, კასტროს, ჩავესისა და მორალესის მეგობარი პოლიტიკურად გაუნათლებელი აღმოჩნდა და ჩავიდა ქვეყანაში, რომელსაც ჯორჯ ბუშის მიერ ხელდასმული სააკაშვილი მართავს.

*„ნეზავისიმაია გაზეტა", იური სიმონიანი*

### მარადონას ქართული ავტოგოლი

საქართველოს ხელისუფლება დიეგო მარადონას ვიზიტს ცალსახად აღიქვამს, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნისადმი მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი რადიკალური მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებებისაა და მეტად ნეგატიური მოსაზრება აქვს ამერიკასა და მის სატელიტებზე. მისმა მეგობრებმა, უგო ჩავესმა და ფიდელ კასტრომ, მხარი დაუჭირეს რუსეთს სამხრეთ ოსეთში, მარადონა კი პროამერიკელ მიხეილ სააკაშვილის გვერდით აღმოჩნდა.

შესაძლოა, მარადონა საქართველოში სულაც არა ჩასულა ფულის გულისთვის. მან, უბრალოდ, გადაწყვიტა "პატარა, დაუცველი ქვეყნის" თანადგომა, ქვეყნისა, რომელსაც "საშინელი რუსი დათვი" დაესხა თავს. მარადონა კი ცნობილია, როგორც სუსტების დამცველი...

ამ კონფლიქტის შესახებ მას შეეძლო, ეხელმძღვანელა არა ვაშინგტონისგან ანგაჟირებული მედიაწყაროებით, არამედ უგო ჩავესისა და ფიდელ კასტროსთვის ეკითხა აზრი... თუმცა მას მერე, რაც ნარკოტიკებს მიეძალა, მისი საქციელი სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე გადის. არადა, თავისუფლად შეეძლო, პარალელები გაევლო ფოლკლენდის კუნძულებსა (არგენტინის სანაპიროსთან მდებარე ფოლკლენდის კუნძულების გამო, 1981 წელს ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანას ინგლისთან ხანმოკლე ომი ჰქონდა) და სამხრეთ ოსეთს შორის.

...ეტყობა, ამერიკის პრეზიდენტ ბუშთან ბრძოლის ახალი ეგიდით გაემართა მარადონა მის თანამზრახველ და მოკავშირე სააკაშვილთან... ასეთი არათანამიმდევრულობის გამო, შესაძლოა, მარადონამ ბევრი გულშემატკივარი დაკარგოს. ასეთ ვითარებაში საქართველოში მარადონას ჩასვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარ კარში ბურთის გატანა. მან ეს გააკეთა. ამ საქმეში "ეშმაკის ხელი" ურევია. უკეთესი იქნებოდა, ბურთის ჯადოქარს ფერფლიდან აღმდგარი ცხინვალი მოენახულებინა...

*"რუსბიზნესკონსალტინგ დეილი",*
*ნიკოლაი ივაშოვი*

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი
დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ვენაცვალე მარადონას, კოკაინის მუდამ მონას

დიეგო მარადონას თბილისში ჩამოსვლამ აკა მორჩილაძის ნარკვევის სათაური გამახსენა – "ღმერთისხელა კაცის სიბერე". მარადონაზე მართლაც უხერხულია იმის თქმა, რომ ის გენიოსი იყო ან კორიფე, კარუზო თუ თუნდაც მეფე. ის სულ სხვა იყო და ფეხბურთელობის შემდეგ არც დამსგავსებია პელეს, ბეკენბაუერს, კრუიფსა თუ პლატინის.
მარადონა სხვა კაცია და ამიტომაც არის სხვაზე მეტი. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში - "მე ვარ დიეგო" - არის ასეთი ფრაგმენტი: მარადონა თვითმფრინავში ზის და მგზავრები მასზე ჭორაობენ, ერთ-ერთი მათგანი კი განსაკუთრებულად ლანძღავს მარადონას კოკაინისა და დოპინგის მოხმარების გამო. დიეგო ველარ მოითმენს, მიუბრუნდება მგზავრს და ეტყვის - გულწრფელად მეცოდებითო.
მარადონას ყველაფერი ეპატიება, ისევე, როგორც პიკასოს - ახალმომწიფებული გოგონების ჟლეტა. ის ხომ ღმერთისხელა კაცია. საკუთარი თავი ჯერ კიდევ



1978 წლის მუნდიალისთვის შექმნა, როცა ლუის მენოტიმ ეროვნულ ნაკრებში არ წაიყვანა. უკვე მაშინ იცოდა ყველამ, რომ ვილაც დიდი უნდა შესჭიდებოდა რალაც განსაკუთრებულს. მარადონას თამაში ბევრს არ ჰქონდა ნანახი და მაინც ამბობდნენ - ის ძალიან მაგარიაო.
არიან ფეხბურთელები, რომელთა თამაში არ უნახავთ, მაგრამ მაინც უყვართ. მაგალითად, ჩემს თაობას არ უნახავს მიშა მესხის თამაში, მაგრამ ის მაინც ძალიან გვიყვარს. გმირი თავის ეპოქაში თუ არ ნახე, მას ვერ შეიცნობ, მაგრამ ზოგს ეს არ ეხება, მათ შორის მარადონას.
ესპანეთის მუნდიალი (1982) მარადონას ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. "ბოკადან" "ბარსელონაში" ხუთ მილიონ გირვანქად გადასულმა დიეგომ ესპანეთში მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა - მენოტის გუნდმა უნგრეთს 4:1 რომ მოუგო, ორი გოლი მარადონასი იყო. ყასაბმა კლაუდიო ჯენტილემ იტალიასთან ფეხი არ გაანძრევინა, ბრაზილიასთან წაგებულ შეხვედრაში კი ბატიშტას ქაცვები ჩააზილა და გააძევეს. ეს დასაწყისი იყო. ამის მერე მარადონა უკვე დაკაცდა ორომტრიალისთვის.
"ბარსელონაში" ჯერ ჰეპატიტი შეეყარა, მერე ბილბაოელმა ანდონი გოიკოეჩეამ ფეხი მოსტეხა, შემდეგ "ბარსას" პრეზიდენტ ლუის ნუნიესს წაეჩხუბა, მაგრამ ყველაფერი ეს გადალახა, "ნაპოლიში" გადავიდა და... მარადონა ნეაპოლის სტადიონის მინდორზე ვერტმფრენით დაჯდა - პირველად, სწორედ ასე მიესალმა იქაურ ქომაგს.
დიეგო "ნაპოლიში" ჯადოქრობებს ახდენდა და მექსიკური მუნდიალისთვის (1986) ემზადებოდა. კარლოს ბილარდოს მიერ გაწვრთნილ არგენტინის ნაკრებში მარადონა მუშაც იყო და მხატვარიც. ინგლისს გოლი ხელით გაუტანაო... მართალია, მაგრამ ხომ შევთანხმდით იმაზე, რომ მას ყველაფერი ეპატიება? გლენ ჰოდლი, პიტერ რიდი, კენი სენსომი, ტერი ბაჩერი, ტერი ფენვიკი და პიტერ შილტონი - მარადონამ ექვსი კაცი მოატყუა და ინგლისს მეორე გოლი გაუტანა. მეოთხედფინალის შემდეგ არგენტინა ბელგიას გადაეყარა და იქაც მარადონას ჯადო-გოლებით მოუგო მეტოქეს, ფინალში კი, როცა ანგარიში 2:2 იყო, მარადონამ საგოლე პასი მიართვა ხორხე ბურუჩაგას და... არგენტინა ჩემპიონი გახდა.
ოთხი წლის შემდეგ მუნდიალის ფინალში ისევ გერმანია და არგენტინა შეხვდნენ ერთმანეთს. არგენტინამ წააგო, თუმც ფინალამდე რომ მივიდა, დიეგოს გრძნეულობებს უნდა უმადლოდეს. მერვედფინალში არგენტინამ ბრაზილიას მოუგო, მარადონამ სამ მეტოქეს აურა გვერდი და საგოლედ გაუჭრა პასი კანიჯას...
გასახსენებელი ძალიან ბევრია. მის ილეთებს და სასწაულებს ენა ვერ მისწვდება. ფეხბურთელ მარადონას დიდი გზა კი 1994 წელს, ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დასრულდა - დოპინგზე გასინჯეს და ეფედრინი აღმოუჩინეს.
ავტობიოგრაფიაში მარადონა ამბობს, რომ მისმა პირადმა მწვრთნელმა მას ძალის აღმდგენი საშუალება დაალევინა და წამლის ფორმულაში რალაც შეეშალა...
მარადონა კოკაინს ჯეელობიდან ყნოსავდა. 90-ანი წლების ბოლოს კი კოკაინზე მიძალებამ მისი ჯანმრთელობა ისე შეარყია, შვეიცარიისა და კუბის კლინიკებში მკურნალობდა, 2004 წლის 18 აპრილს კი კოკაინის ზედმეტი დოზისგან კინალამ დაილუპა - გულმა სასწაულებრივ გაუძლო გადატვირთვას. შემდეგ ის ზედმეტმა წონამ და ჰიპერტონიამ შეაწუხა, საოპერაციო გახდა. კუჭის ოპერაცია გაუკეთეს, რათა მის ორგანიზმს საკვების მოთხოვნილება შემცირებოდა. დიეგომ ამასაც დააღწია თავი და ახლა თბილისშია. მისი სტუმრობა იმითიც არის კარგი და ნამდვილი, რომ ის არ გამოდგება ქართული "პიარისთვის". მარადონას არ უყვარს ამერიკა და ბუში, მარცხენა ფეხზე ფიდელ კასტროს პორტრეტი აქვს ამოსვირინგებული, მარჯვენა ხელზე - ერნესტო ჩე გევარასი, ჯორჯ ბუშს კი ერთხელ "ადამიანის ნარჩენები" უწოდა.
"მძულს ყველაფერი, რაც შეერთებული შტატებიდან მოდის" - ესეც მარადონას სიტყვებია. 2005 წელს ბუში არგენტინაში რომ ჩავიდა, მაისურაც კი ჩაიცვა წარწერით – STOP BUSH!
მარადონას არ ადარდებს, რას ფიქრობენ მასზე, არც არასდროს ყოფილა ბიზნესმენი და ფულიც ამიტომ შემოაკლდა. თავის სამყოფს ყოველთვის იშოვის და არასდროს შეშურდება ფეშენებელური პელესი, ის სულ სხვაა.
მარადონა ვერ იქნება მაგალითი ახალგაზრდობისთვის, მაგრამ მასზე ლოცულობდნენ არგენტინაში და, ალბათ, კიდევ ბევრ ქვეყანაში, რადგან სჯერათ, რომ ნიჭი ღმერთისგან მოდის და დიეგო კი ღმერთისხელა კაცია.
"ვენაცვალე მარადონას, კოკაინის მუდამ მონას" - მასზე საქართველოშიც გარითმეს სიტყვა. დიეგო არმანდო მარადონა უკიდეგანოა.

პრობლემა

# გვაჩვენეთ შეპირებული ლარები

ახალციხის მესხეთის პრეზიდენტი გია მესხელი „დინამოსთან" მატჩში მოედანზე შეიჭრა და თავის ფეხბურთელებს თამაშის მიტოვება მოსთხოვა. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მესხეთი" 2 000 ლარით დააჯარიმა. მატჩი ბორჯომში გაიმართა, მასპინძელი „მესხეთი" იყო და მოედანზე სხვადასხვა საგანიც ისროლეს.

ქართული კლუბების მესვეურთაგან მესხელი პირველი არ არის, ვინც მოედანზე შეიჭრა და არც იმაშია პირველი, იაფი რომ დაუჯდა ეს ყველაფერი. დისციპლინარები პირნათელნი არიან, თუ შეედავები, დებულებას მოიშველიებენ. ვერც ფედერაცია შეირჩენს კრიტიკას - სასჯელი რომ გავამკაცროთ, ქართული კლუბები ვერ შესწვდებიანო. არც იმისთვის სცალია ვინმეს, კლუბებთან რომ იმუშაოს და, რაც ყველაზე მთავარია, არავინ მუშაობს გულშემატკივართან.

კარგია, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა შემცირდა და გაისად უკვე 10-მდეც დავა; კარგია, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ეროვნული ჩემპიონატის კომერციალიზაციას ცდილობს; და კარგია ისიც, რომ გამოჩნდა მედიაკომპანია, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ტელევიზიით გადასცემს და ტელემიმოხილვასაც აკეთებს. მაგრამ ისმის კითხვა - ამით ფეხბურთს რა?

წესით და რიგით, პროფლიგამ ტელეტრანსლაციის უფლება უნდა გაყიდოს, მაგრამ ქართული ტელეარხებიდან ამ უფლების ყიდვაზე მოთხოვნა არ არის. ეს უფლება „კოლხიდამ" დაიბევა, მაგრამ გადაიხადა კი ამაში რამე? ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი ლიგის კლუბებს ტელეტრანსლაციებიდან ჯერ თეთრიც არ მიუღიათ.

რასაც „კოლხიდა" აკეთებს, ფული ღირს: ტექნიკა და მისი მომსახურე პერსონალი, ჟურნალისტის შრომა და კიდევ სხვა ხარჯები. თუ ყოველივე ამაში „კოლხიდა" საკუთარ ფულს ხარჯავს, ამონაგების იმედიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ საიდან უნდა ჰქონდეს მოგება "კოლხიდას", თუ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ტელეტრანსლაციებზე მოთხოვნა არ არის?

არც „კოლხიდაა" პირველი, საქართველოს ჩემპიონატისა და თასის თამაშებისთვის რომ იწუხებს თავს. მიუხედავად ამისა, მას კარტბლანში მისცეს - 20 წლით გადასცეს ტელეტრანსლაციების უფლება. ხელშეკრულების თანახმად „კოლხიდამ" პროფლიგას 2 წლის განმავლობაში 300 000 ლარი უნდა გადაუხადოს. ხელშეკრულება შარშან გაფორმდა, მაგრამ უმაღლესი ლიგის კლუბებს ჯერ არაფერი მიუღიათ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რამდენიმე კლუბის მესვეურს დავუკავშირდი და მითხრეს - „კოლხიდასგან" ჯერ არ გვიხეირიაო.

ასეთი ვერსიაც კი გავიგეთ - ეროვნულ ჩემპიონატს პროფლიგის მიერ მოძებნილი სპონსორები რომ ჰყავს, მათგან შემოსული ფულის უმეტესი ნაწილი „კოლხიდას" მიაქვს და ამ ფულით ფარავს თავის ხარჯებსო. რა თქმა უნდა, ამ ვერსიის სისწორეზე თავს ვერ ვდებთ, მაგრამ კლუბებში უკვე რომ ლაპარაკობენ ამაზე, პირველ რიგში პროფლიგისთვის უნდა იყოს საყურადღებო.

ისიც საკითხავია, როცა პროფლიგა სპონსორულ ხელშეკრულებებს აფორმებს, მისი წევრი ყველა კლუბის თანხმობით ხდება ეს, თუ რაიმე სხვა მექანიზმია შემუშავებული. პროფლიგას სულ 7 სპონსორი ჰყავს და ზოგადად, ეს კარგია, მაგრამ სპონსორებთან კონტრაქტის მთავარი არსი ხომ ის უნდა იყოს, რომ ამით კლუბებმა იხეირონ? სუპერთასისა და ეროვნული თასის გათამაშებისთვის დაწესებული საპრიზო ფონდის გარდა, კლუბებს შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნიათ.

ისიც საკითხავია, თუ აწარმოებს პროფლიგა კონსულტაციებს თავის წევრ კლუბებთან - რამდენად აკმაყოფილებს მათ „კოლხიდას" ტექნიკურ-ინტელექტუალური დონე. ამას წინათ, ერთი კლუბის პრესატაშემ შემომჩივლა - თამაშის დროს მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა ჩვენს ლეგიონერს პანლური ამოსცხო, ეს ვიდეოკასეტაზეც გვაქვს ჩაწერილი, მაგრამ ამის გამო არავინ დაუსჯიათ, ეს მომენტი მიმოხილვაშიც არ დაუფიქსირებიათო. რა თქმა უნდა, უნაკლო არავინაა და სავსებით შესაძლებელია, ყველა მომენტი თორმეტმა კამერამაც ვერ დააფიქსიროს... თუმცა უმაღლესი ლიგის 11 კლუბის აზრი მართლაც საინტერესოა - რა ხეირს ელიან პროფლიგის კომერციული საქმიანობისგან?

მოედანზე პრეზიდენტების შეჭრას კი როგორმე მოევლება. მთავარია, კომერციალიზაციის პროცესი წარმატებული და გამჭვირვალე იყოს.

ფუტზალი
ინტერვიუ აკაკი კაკაშვილთან

# აქ ბურთი სხვანაირად ხტუნავს...

## ფუტზალზე თებერვლიდან უნდა ვინერვიულოთ

სეზონი მალეც ფუტზალსაც დაეწყება - ეროვნული ჩემპიონატი და სანაკრებო პერიპეტიები. ფეხბურთის ეს სახეობა ჩვენში პოპულარული ჯერ არ არის, თუმც საქართველო ასე თუ ისე მაინც საფეხბურთო ქვეყანაა და ალბათ, ფუტზალი ჩვენთანაც დაფასებული სპორტი გახდება. "ლელოს" რესპონდენტი "ტაოპრივატბანკისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი აკაკი კაკაშვილია, ვინც მანამდე ჩვეულებრივ ფეხბურთს თამაშობდა და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა...

**- გულშემატკივართა უმეტესობა კარგად არ იცნობს ქართულ ფუტზალს. იქნებ, მოგვიყვე რალაცები ჩვენს ფუტზალზე...**

- ეროვნული ჩემპიონატი 26 ან 27 ოქტომბერს დაიწყება, ტურნირში ოთხი გუნდი იასპარეზებს: "იბერია", საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, "ტაოპრივატბანკი" და "ქუთაისი". ჩემპიონატი რამდენიმე წრედ ჩატარდება და გაზაფხულზე დასრულდება.

**- რამდენი ხანია, რაც ჩვეულებრივ ფეხბურთს თავი დაანებე და ფუტზალში გადახვედი?**

- ხუთი წელია. "ტაოპრივატბანკამდე" ოთხი წელი ვთამაშობდი "საბურთალოში", რომელიც დაიშალა.

**- ფუტზალის სერიოზული სტაჟი გქონია და ნაკრებში, ალბათ, ამიტომაც აგიყვანეს. კიდევ რომელი გუნდებიდან თამაშობენ ფუტზალის ნაკრებში?**

- ჩვენი ეროვნული ნაკრები მხოლოდ "ტაოპრივატბანკის" ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. კლუბს და ნაკრებსაც ერთი მწვრთნელი ჰყავს - ავთანდილ ასათიანი.

**- ნაკრებს როდის ეწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და ვინ არიან ჩვენი მეტოქეები?**

- შესარჩევ ციკლამდე ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ. 27 ნოემბერს პორტუგალიაში ჩავალთ და სტუმართა ნაკრებს ორჯერ გავეჯიბრებით. თებერვალში კი მალტას გავემგზავრებით შესარჩევი ეტაპისთვის. მასპინძლების გარდა, იქ ჩვენი მეტოქეები - ალბანეთი და საბერძნეთი იქნებიან. სულ ოთხი შესარჩევი ჯგუფია, საიდანაც მომდევნო ეტაპზე პირველ ადგილზე გასული გუნდი და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის.

**- საქართველოს ნაკრების შანსები ძალიან მცირეა?**

- არა, მომდევნო ეტაპზე გასვლა სავსებით რეალურია.

**- რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს? მეტოქეთა ქვეყნებში ფუტზალი ჩვენზე დაბალ საფეხურზეა?**

- ჩვენ ძალიან კარგად ვემზადებით ასათიანისა და მისი თანაშემწე ბესო არველაძის ხელმძღვანელობით. ჩვენი ძალა ჩვენს მომზადებაშია.

**- რამდენი ხანია, რაც ფუტზალის ნაკრებში ხარ?**

- ერთ წელიწადზე მეტია. ინგლისის ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრებში აქ 7:3 და 3:1 რომ მოვუგეთ, მეც ვითამაშე. ინგლისშიც მიგვიწვიეს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ წავედით.

**- ძნელია ფუტზალში ადაპტაცია? მოედნისა და ბურთის ზომების გარდა, კიდევ რა არის მთავარი განსხვავება ჩვეულებრივ ფესბურთთან? პირველ რიგში რას უნდა აუღო ალლო?**



- პირველი ერთი წელი საკმაოდ გამიჭირდა, ზომებისა და წესების გარდა, ფუტზალთან შეჩვევას ისიც ართულებს, რომ ბურთი ისე კარგად არ ხტუნავს, როგორც დიდ ფეხბურთში.

**- ფუტზალის ნაკრებში შენ გარდა ისეთი კიდევ ვინ არის, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია?**

- აჩიკო ბოკერია, მიშა მაზიაშვილი და კახა ახალაია.

**- ფუტზალი დაახლოებით იმავე ჯანსა და გამძლეობას მოითხოვს, რასაც ჩვეულებრივი ფეხბურთი?**

- როცა კარგ გუნდს ეთამაშები - თუ ძალიან კარგად არ ხარ ფიზიკურად მომზადებული - ორ-სამ წუთში ისე დაილლები, თამაშს ველარ გააგრძელებ. ფუტზალში სულ უნდა იაქტიურო, სულ მოძრაობაში უნდა იყო. სამაგიეროდ, შეგიძლია მოედნიდან გახვიდე, ცოტა ამოისუნთქო და ისევ დაბრუნდე, თანაც ეს ლიმიტირებული არ არის. მოკლედ, ფუტზალი სულ სხვა სპეციფიკაა.

გვერდი მოამზადა
დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

VII ტურის წინათქმა

# აბა, უინტრიგოდ როგორ იქნება

**24.10. გორი ქართლი. 15:00**

**სპარტაკი – სიონი**

მთავარი მსაჯი: მ. ურუშაძე
ასისტენტები: ს. სპიცინი, ზ. ბერულავა;
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

**24.10. ზესტაფონი ცენტრალური. 15:00**

**ზესტაფონი – მგლები**

მთავარი მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: დ. კურტანიძე, დ. სანოძე;
მეოთხე მსაჯი: გ. ვადაჭკორია

**24.10. რუსთავი ფოლადი. 15:00**

**ოლიმპი – ბორჯომი**

მთავარი მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი
ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

**25.10. თბილისი მ. მესხი. 15:00**

**ლოკომოტივი – გაგრა**

მთავარი მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
ასისტენტები: კ. გუდურაშვილი, გ. ყრუაშვილი;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

**25.10. ახალციხე ცენტრალური. 14:00 Live**

**მესხეთი – ვიტ ჯორჯია**

მთავარი მსაჯი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: დ. კვეტენაძე, ზ. ხუციშვილი;
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე



რამაზ მუმლაძე ბორჯომში ლიდერობის შენარჩუნებას შეეცდება



ვარლამ კილასონია დებიუტისთვის ემზადება

თერთმეტგუნდიან ჩემპიონატს უარყოფითთან ერთად, დადებითი მომენტებიც ახლავს. ადრეც არაერთხელ ალგვინიშნავს, რომ თითქმის ყველა ტურში, სულ ცოტა, ერთი ისეთი მატჩია, პრინციპულ და ცენტრალურ დაპირისპირებად რომ ვაფასებთ. თითქმისო, ვამბობთ და ახლა უკვე დავკონკრეტდებით: ფავორიტთა ურთიერთშეხვედრები პირველიდან მეჩვიდმეტე ტურის ჩათვლით (ანუ, შესვენებამდე) არის. გამონაკლისი მხოლოდ ერთადერთი, მეშვიდე ტურია, როცა ფავორიტებს, ერთი შეხედვით, შედარებით „მშვიდი" მატჩები ელის. ანუ, დღეს და ხვალ... „ბომბა-მატჩი" არ გველოდება! თუმცა ყველა შეხვედრას თავისებური დატვირთვა აქვს და შევეცდებით ცალკეულ მატჩზე დაწვრილებით ვისაუბროთ.

„სპარტაკმა" პირველი გამარჯვების გემო წინა ტურში გაიგო და დღესაც ფიცხელ ბრძოლას გაუმართავს „სიონს". **სერგო გაბელაიას** გუნდს დღემდე ორივე საშინაო მატჩი წაგებული აქვს და, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს, ეს უსიამოვნო „ტრადიცია" რომ დაარღვიოს. განსაკუთრებული მოტივაცია ექნება მასპინძელთა ორ ფეხბურთელს - **გიგა იაშვილსა** და **ირაკლი სირბილაძეს**, სხვადასხვა დროს „სიონის" ღირსებას რომ იცავდნენ. რაც შეეხება ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ იმედგაცრუებას - ბოლნისის „სიონს", ალბათ, ყველაფერს საზღვარი აქვს! უბრალოდ, უცნაურზე მეტია, ასეთი შემადგენლობის მქონე გუნდი მერვე ადგილზე რომ იმყოფება. თანაც, თამაშის ხარისხიც ვერ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, დიდი ამბიციის გუნდს რომ უნდა ჰქონდეს. ჰო, ბოლნისელებს ერთობ მწირი ქულათა მარაგი აქვთ და „სპარტაკის" მერე, სათასო მეოთხედფინალის გარდა... ზედიზედ ოთხი პრინციპული მატჩი ელოდება. საერთოდ კი, „სპარტაკისა" და „სიონის" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში უპირატესობა ბოლნისელთა მხარეს არის: სამი მოგება და ერთი ფრე. ყველაზე დიდი ანგარიში კი 2005-06 წლების სეზონში დაფიქსირდა, როდესაც „სიონმა" სტუმრად დაამარცხა „სპარტაკი" - 6:1. იმ შემადგენლობიდან ბოლნისურ კლუბში სამი ფეხბურთელიღა შემორჩა: **მინდია ბობლიაშვილი, დავით სვანიძე** და **მიხეილ კობაური**.

„სიონის" მსგავსად, ამ ჩემპიონატში სტაბილურობით ვერც მეორე ფავორიტი - „ზესტაფონი" დაიკვეხნის. თუმცა **თემურ მახარაძის** გუნდს საწყის ტურებში ერთობ ძლიერ მეტოქეებთან მოუწია თამაშმა და ახლა სწორედ ის დრო მოვიდა, ქულების დაგროვება რომ დაიწყოს. მით უმეტეს, ლიდერებთან არც კატასტროფული ჩამორჩენაა და ერთი მატჩითაც ნაკლები აქვს ჩატარებული. ამ ყველაფრის მიუხედავად, დღევანდელ მატჩში მაინც გვიჭირს „ზესტაფონის" უპირობო ფავორიტად დასახელება - „მგლები" ხომ ტურიდან ტურამდე გვაოცებს და ავტორიტეტებს არ ცნობს. თანაც, **ბესიკ შეროზიას** გუნდი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია ჩემპიონატში, მაშინ როცა „ზესტაფონი", ტრადიციულად, ყველაზე ნაკლებ გოლს უშვებს საკუთარ კარში. დღევანდელი მეტოქეები უმაღლეს ლიგაში პირველად შარშან შეხვდნენ და „ზესტაფონმა" ორ მატჩში ოთხი ქულა აიღო.

ჩემპიონატის დაწყების წინ, ვინ იფიქრებდა, რომ ექვსი ტურის მერე „ბორჯომი" ოთხი ქულით წინ იქნებოდა „ოლიმპზე"? აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაცდა მთავარ მოულოდნელობაზე, „ოლიმპს" დღემდე მოგება რომ არ აქვს! მასპინძლები, ალბათ, დღესვე შეეცდებიან ნავსის გატეხას, მით უმეტეს, ტრადიციულად, ახალი მწვრთნელის ფაქტორი ბევრს ნიშნავს. გუშინაც ალვნიშნეთ, რომ **ვარლამ კილასონია** მეხუთედ დაბრუნდა მშობლიური ქალაქის გუნდში მთავარ მწვრთნელად. სამუშაო, რალა თქმა უნდა, ბევრი ექნება ახალ მწვრთნელს, მით უფრო, რომ „ოლიმპში" ფეხბურთელების ერთობ მწვავე საკადრო დეფიციტია. ვერ გეტყვით, რას დავაბრალოთ, მაგრამ ფაქტია: გუნდში, ფაქტობრივად, 18 ფეხბურთელი ირიცხება და ვინმეს ტრავმისა თუ დისკვალიფიკაციის შემთხვევაში სათადარიგოთა სკამზე ორ-სამ მოთამაშეს ვხედავთ ხოლმე. ასეთი შემთხვევები კი ამ ჩემპიონატში უკვე რამდენჯერმე იყო...

ტურის ორი შეხვედრა ხვალ გაიმართება: „ლოკომოტივი"-„გაგრა" და „მესხეთი-„ვიტ ჯორჯია". პირველ დაპირისპირებაში ფავორიტად, რალა თქმა უნდა, მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ და ძნელად დასაჯერებელია, რომ **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდმა „მგლებთან" დაშვებული შეცდომები არ გაითვალისწინონ. ანუ, მეტოქის შეუფასებლობას ვგულისხმობთ; ისე კი საინტერესოა: ერთი მხრივ - ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანებისა და, მეორე მხრივ - სტუმართა გუნდის 18-19 წლის ერთობ პერსპექტიული ბიჭების დაპირისპირების ხილვა.

დაბოლოს, ტურის ყველაზე დამაინტრიგებელ შეხვედრაზეც მოგახსენებთ. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის ნებისმიერი მატჩი, თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევს. მერე, არ დაგვავიწყდეს, რომ **რამაზ მუმლაძის**, მართლაც, რომ საინტერესო გუნდი როგორ წარმატებით ასპარეზობს სტუმრად. თავად განსაჯეთ: „ვეტერინარებმა" სტუმრად ჩატარებულ სამ შეხვედრაში ორი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს; ეგ კი არა, საკუთარ კარში გოლიც არ გაუშვიათ! ერთი მხრივ, რატომ უნდა გვიკვირდეს: საიმედო მეკარე (**გრიგოლ ბედიაშვილი**), არანაკლებ ჩინებული დაცვის ხაზი (**ლექსო კვახაძის** მეთაურობით), მობილური ნახევარდაცვა და აქტიური შემტევები - „ვიტ ჯორჯია" დღესდღეობით ყველაზე დაბალანსებული და სტაბილური გუნდია. შემადგენლობა არც „მესხეთს" დაეწუნება, თუცა ამ გუნდს საიუბილეო ჩემპიონატში სერიოზული პრობლემა აქვს - საშინაო მატჩებს ბორჯომში ატარებს და არა - ახალციხეში. ამას გარდა, **კობა თედიაშვილის** გუნდისთვის ადვილი არ იქნება წინა ტურის დავიწყებაც: „მესხეთი"-„დინამოს" მატჩი ხომ მეტისმეტად სკანდალური გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, ამ ჩემპიონატში პირველად მოხდა, რომ თამაში ორჯერ გაჩერდა და ორივეჯერვე მოედანზე... „მესხეთის" პრეზიდენტი **გია მესხელი** იმყოფებოდა! კიდევ კარგი, მატჩი არ ჩაიშალა და საერთოდაც, მშვიდობიანად დასრულდა (მეტ-ნაკლებად); მაგრამ არასასიამოვნო ფაქტი რომ მოხდა, ამაში, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. ისე, იმ შეხვედრის მერე, სატელევიზიო პროგრამა „გოლში" „მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა ერთობ „საინტერესო" განცხადება გააკეთა: მომდევნო ტურში „ვიტ ჯორჯია"... თავისი მსაჯებით ჩამოვაო!

ამ შეხვედრაზე ლაპარაკი კი ერთი კონკრეტული ფეხბურთელის ხსენებით გვინდა დავასრულოთ. ვერ გეტყვით, იქნება თუ არა „მესხეთის" ძირითადში **ვლადიმერ გოჩაშვილი**, მაგრამ, ფაქტია, რომ ამ გამოცდილი ფეხბურთელისთვის „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი ჩვეულებრივი შეხვედრა არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, გოჩაშვილი ხომ ათი სეზონი(!) თამაშობდა „ვეტერინარებში" და საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ამ გუნდის მაისურით ყველაზე მეტი შეხვედრაც სწორედ მას აქვს ჩატარებული. საერთოდ კი, ეს სეზონი გოჩაშვილისთვის მეჩვიდმეტეა და ის დღეც არ არის შორს, უმაღლეს ლიგაში საიუბილეო - მესამასე მატჩს რომ ჩაატარებს!..

**გია ტუხაშვილი**

| | სული | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 2. მგლები | 6 | 4 | 0 | 2 | 10-5 | 12 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 3. ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-2 | 12 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10-7 | 9 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 5. ზესტაფონი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-3 | 7 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 2 |
| 6. გაგრა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 7. ბორჯომი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 8. სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 9. მესხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| 10. სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 11. ოლიმპი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| ვაწაძე (დინამო) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| გაბედავა (გაგრა) | 2 |
| ზ. დათუნაშვილი (გაგრა) | 2 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| კვალინიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ჩიკვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 2 |

**მეორე ლიგა**

**დასავლეთი ზონა. VI ტური**

**13–14 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| მერცხალი ოზ-მარტვილი 2 | 1:0 |
| კოლხეთი 2-იმერეთი | 0:1 |
| სამტრედია 2- ბაია 2 | 2:1 |
| ნ/ტორპედო 2008-ადელი | 1:0 |
| მარგვეთი-გურია 2 | 0:3 |
| ტორპედო 2008 2-სქური | 4:0 |

*ჭიათურა-2 ისვენებს*

**VII ტური**

**20–21 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| გურია 2-ტორპედო 2008 2 | 6:3 |
| ბაია 2-ნ/ტორპედო 2008 | 0:0 |
| იმერეთი-სამტრედია 2 | 0:1 |
| მერანი 2-კოლხეთი 2 | 1:2 |
| ჭიათურა 2-მერცხალი | 0:2 |
| ადელი-მარგვეთი | 0:0 |

*სქური ისვენებს*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 7 | 5 | 2 | 0 | 13-6 | 17 |
| 2. გურია 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 17-11 | 13 |
| 3. სამტრედია2 | 7 | 4 | 1 | 2 | 10-8 | 13 |
| 4. კოლხეთი 2 | 7 | 4 | 0 | 3 | 15-9 | 12 |
| 5. მარტვილი 2 | 6 | 4 | 0 | 2 | 10-7 | 12 |
| 6. ბაია2 | 7 | 3 | 2 | 2 | 15-7 | 11 |
| 7. მარგვეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 8. ნ/ტორპ.2008 | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 9. ტორპ. 2-2008 | 6 | 3 | 0 | 3 | 12-12 | 9 |
| 10. სქური | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 11. ადელი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-16 | 4 |
| 12. ჭიათურა 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 8-16 | 3 |
| 13. იმერეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-10 | 3 |

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. III ტური

# აგირე მოხსნას გადაურჩა

## მოურინიომ ქეცბაიას დაცვითი ტაქტიკა დაუწუნა, თუმცა: თემურს დიდ პატივს ვცემო

ჩელსი-რომა. ტერის წინააღმდეგ ტოტიმ ვერაფერი გააწყო




### A ჯგუფი

**ბორდო-კლუჟი 1:0**

"ბორდოსთვის" ამ თამაშის წაგება კატასტროფა იქნებოდა. ფრანგული კლუბი მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ფაქტობრივად დაკარგავდა. **ლორან ბლანის** ბიჭებმა თავდადებულად ითამაშეს, თუმცა „კლუჟის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი შეუპოვრად იცავდა თავს და შესაძლებლობის მიცემისთანავე კონტრშეტევაზე გადადიოდა. რუმინელები, სულ მცირე, ფრეს იმსახურებდნენ, თუმცა **კადუს** მიერ გატანილი ავტოგოლის გამო დაისაჯნენ. რუმინელების ბრაზილიელმა ლეგიონერებმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს, რის გამოც, **დე სოუზამ** ემოციები ვერ შეიკავა და გასახდელში პატარა ბავშვივით ატირდა. ფრანგული პრესის ინფორმაციით, მას ლორან ბლანი ამშვიდებდა.

"ბორდოს" მთავარმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში ნახევარდაცვის მუხლჩაუხრელ მუშაობას გაუსვა ხაზი. ბლანმა შეცდომებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დაცვას მეტი შეთამაშება და კონცენტრაცია სჭირდება.

**ჩელსი-რომა 1:0**

პრობლემებით დამძიმებულმა "რომამ" "სტემფორდ ბრიჯზე" თავი ვერ გადაირჩინა. გეცოდინებათ, რომ იტალიურ კლუბს კრიზისის ხანა დაუდგა. **ლუჩანო სპალეტის** ბიჭებმა სერია A-ში 0:4 წააგეს. აღსანიშნავია, რომ ისინი ჩემპიონთა ლიგაში "კლუჟთანაც" დამარცხდნენ. ლონდონური კლუბი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. მათ უფრო დამაჯერებელი ანგარიშით უნდა მოეგოთ, მაგრამ "ჩელსიმ" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. სპეციალისტები **ვუჩინიჩისა** და **ტოტის** ვარსკვლავური წყვილისგან უფრო შთამბეჭდავ თამაშს ელოდნენ. სხვათა შორის, მათაც ჰქონდათ გატანის შანსი, მაგრამ **პეტერ ჩეხმა** ჩერნოგორიელსა და იტალიელს ამის საშუალება არ მისცა. მიუხედავად იმისა, რომ "არისტოკრატები" დიდი შემართებით უტევდნენ, გულშემატკივრებს გოლის სანახავად დიდხანს მოუხდათ ლოდინი. ასეთ დროს დაძაბულობა იზრდება ხოლმე. წესით, "ჩელსის" ბიჭებს ნერვიულობა უნდა დასტყობოდათ, მაგრამ ისინი არ აღელვებულან და საქმე გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანეს. 77-ე წუთზე **ჯონ ტერიმ** თავური დარტყმით გაიტანა.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** თქმით, მოპოვებულ სამ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ რატომ, ამას მისი განცხადების წაკითხვისას გაიგებთ: *„თითოეული გამარჯვება თავდაჯერებას გვმატებს. მართალია, მინიმალური სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენს აქტივში ახლა 7 ქულა მოინახება. სახლში ჩემპიონა ლიგის მხოლოდ ერთი შეხვედრა გვაქვს გასამართი. ამის გათვალისწინებით, დღევანდელი მატჩის მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლოა, ვინმეს პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ ზოგჯერ 5:0-ის მოგებას სჯობს წინდახედულად ისპარეზო და 1:0 გაიმარჯვო. სხვათა შორის, ფეხბურთელებს თამაშის დაწყების წინ სწორედ ამას ვეუბნებოდი. შეცდომები რომ დაგვეშვა, "რომა" აუცილებლად დაგვსჯიდა. მე სწორედ ამის მეშინოდა. იტალიელებს ჰქონდათ გოლის გატანის შანსი, თუმცა, ეს არ მიკვირს, რადგან "რომა" ძლიერი კლუბია."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 4. ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |

**4 ნოემბერი**

რომა-ჩელსი
კლუჟი-ბორდო

### B ჯგუფი

**ინტერი-ანორთოსისი 1:0**

გუნდების სახელებისა და წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ინტერს" წესით გამანადგურებელი ანგარიშით უნდა მოეგო, მაგრამ ასეთი სცენარი თავად **მოურინიომ** გამორიცხა. წინასამატჩო პრესკონფერენციზე პორტუგალიელმა სპეციალისტმა კვიპროსელების ღირსებებსა და განსაკუთრებით, **თემურ ქეცბაიას** ნიჭს გაუსვა ხაზი. მოურინიო დარწმუნებული იყო, რომ "ნერაძური" იოლ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა. ასეც მოხდა. სტუმრებმა იტალიური გრანდის ვარსკვლავებს უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს. ქეცბაიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ბიჭების ერთადერთი და ექსკლუზიური საზრუნავი საკუთარი კარის უსაფრთხოება არ გახლდათ. "ანორთოსისი" შიგადაშიგ უტევდა კიდეც. თემურმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "სან სიროდან" თავაწეული და ამაყი წამოსულიყო. უბრალოდ, იმ თამაშის მოგებას ტრადიცია, გამოცდილება და მეტი კლასი სჭირდებოდა. დასამალი არ არის, რომ "ინტერის" ფეხბურთელებთან შედარებით, "ანორთისისის" მოთამაშეებს ეს ყველაფერი აკლიათ.

წაგების მიუხედავად, ქეცბაია კმაყოფილი ჩანდა: *"ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია. ძნელია, ფეხბურთელს შეხედო და წაგებული თამაში მიულოცო. ამას ხშირად არ ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს "ინტერთან" დავმარცხდით. ვფიქრობ, დღეს თავი არ შეგვირცხვენია. წინ ორი საშინაო შეხვედრა გველის. ამ მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქულები უნდა მოვიპოვოთ და ბრძოლა გავაგრძელოთ. ახლა 4 ქულა გვაქვს, მაგრამ ეს არ გვეყოფა. ჩვენ ჯგუფიდან გასვლა გვინდა."*

ჟოზე მოურინიომ აღიარა, რომ ქეცბაიას "ანორთოსისთან" მის გუნდს პრობლემები შეექმნა: *„ამ თამაშისთვის მომზადება ძალიან გამიჭირდა, რადგან ფეხბურთელების დიდი ნაწილი ნაკრებებში იყო წასული. ვერ ვიტყვი, რომ "ინტერი" დღეს ფანტასტიკურად გამოიყურებოდა, მაგრამ ტრავმებისა და დაღლილობის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. კამბიასოს ტრავმამ გული დამწყვიტა. იმედია, ჩემი შეგირდი მალე მოახერხებს ვარჯიშის განახლებას. მე თემურ ქეცბაიას უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მისი გუნდი დღეს დაცვაში ჩაიკეტა. შიგადაშიგ კი გვიტევდნენ, მაგრამ დროის დიდ ნაწილს ისინი მაინც საკუთარ საჯარიმოში ატარებდნენ. ბოლო ათი წუთის განმავლობაში კი რამდენჯერმე გვიჩხვლიტეს."*

**პანათინაიკოსი-ვერდერი 2:2**

ბერძნები მოედანზე თავაწეულები გავიდნენ. მათ დიდი შემართებით შეუტიეს და „ვერდერს" პრობლემები პირველივე წუთებზე შეუქმნეს. თუმცა მასპინძელთა აღმაფრენა მხოლოდ 28 წუთს გაგრძელდა. **მერტეზაკერმა** "პანათინაიკოსის" მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. გერმანელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. **მანციოსმა** სულ რაღაც 7 წუთში გაათანაბრა. მან მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა და ბერძნებმა გამარჯვების ინამეს, თუმცა საფინაო სასტვენამდე 7 წუთით ადრე **ალმეიდამ** "ვერდერს" ქულა მოუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. ანორთოსისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 4. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

**4 ნოემბერი**

ანორთოსისი-ინტერი
ვერდერი-პანათინაიკოსი

### C ჯგუფი

**შახტარი-სპორტინგი 0:1**

ევროპელი მიმომხილველები ამ წყვილში ფავორიტად "შახტარს" მიიჩნევდნენ. თუმცა, დონეცკელებს თამაშის მოსაგებად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. მართალია, ისინი უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ საქმე აშკარა საგოლე მომენტებამდე იშვიათად მიდიოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "სპორტინგი" კიდევ უფრო ბევრ შეცდომას უშვებდა. თუმცა **ლიედსონ და სილვამ** შანსი ხელიდან არ გაუშვა და ლისაბონელებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. ამ გამარჯვების წყალობით, "სპორტინგი" მეორე ადგილზე დამკვიდრდა. საფინალო სასტვენის მოახლოებასთან ერთად "შახტარი" მნიშვნელოვნად გააქტიურდა, მაგრამ მასპინძლებს ნახევარდაცვის გადალახვა უჭირდათ. ყოველ შემთხვევაში, **ბრანდაუსა და ფერნანდინიოს რუი პატრისიოს** კარი პრაქტიკულად არ დაუნახავთ.

მიუხედავად ამისა, **მირჩა ლუჩესკუ** ამტკიცებს, რომ "სპორტინგს" გამარჯვება არ დაუმსახურებია: *"სასოწარკვეთილი ვარ. იმედგაცრუებაზე ალარაფერს ვამბობ. დარწმუნებული ვიყავი, მოვიგებდით, მაგრამ უიღბლობისა და რამდენიმე მიზეზის გამო სამი ქულა დავკარგეთ. ჩემი ღრმა რწმენით, "სპორტინგს" გამარჯვება არ დაუმსახურებია. სტუმრებს იმ ნახევრად საგოლე მომენტის გარდა, ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ "შახტარმა" დაცვაში მიუტევებელი შეცდომები დაუშვა. ეს ჩვენი ყველაზე სუსტი მხარეა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პორტუგალიელებს ჩვენ თვითონ მივეცით გოლის გატანის საშუალება. ალბათ, შეტევაში უფრო აქტიური თამაში გვმართებდა, მაგრამ რაღაც არ აგვეწყო და ხელმოცარულები დავრჩით."*



ბაზელი-ბარსელონა.
კრკიჩი შეუდარებელი იყო

# უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. III ტური


შახტარი-სპორტინგი. ლიდსონს გააქვს მატჩის ერთადერთი გოლი

### ბაზელი-ბარსელონა 0:5

"ზანქტ იაკობ პარკზე" "ბარსელონამ" მისი საუკეთესო თამაში აჩვენა. სხვათა შორის, ეს სტადიონი კატალონიური გრანდის დიდი ისტორიის ნაწილია. 1979 წელს ბაზელში დაუვიწყარი ორთაბრძოლა გაიმართა. თასების თასის ფინალში "ბარსამ" დიუსელდორფის "ფორტუნას" 4:3 მოუგო. სხვათა შორის, კატალონიელი გულშემატკივრები დღესაც ამბობენ, რომ ის მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათი კლუბის ისტორიაში. როგორც ხედავთ, ბაზელის სტადიონი "ბარსელონას" გოლების მადას აღუძრავს. კიდევ ერთი ისტორიული მიღწევა ის არის, რომ "ბარსამ" ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად 5-ბურთიანი უპირატესობით პირველად გაიმარჯვა. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ სტუმრებმა უმარტივესი გამარჯვება მოიპოვეს. ამ თამაშის შემხედვარე კაცს **ფრანც ბეკენბაუერის** ძველი განცხადება გაახსენდებოდა. კაიზერი ამბობდა, ფეხბურთში გარკვეული დიფერენციაცია უნდა მოხდეს, თორემ ძლიერი გუნდები სუსტებთან თამაშით დროსა და კვალიფიკაციას კარგავენო. საკამათო თეორიაა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ "ბაზელი" "ბარსელონის" ფრჩხილადაც არ ღირებულა. გოლების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ, მოკლედ მოგახსენებთ, რომ კატალონიელებმა მრავალფეროვანი ფეხბურთის ხარჯზე საკმაოდ ეფექტური ბურთები შეაგდეს. ხაზგასასმელია **ბოიანის** დუბლი. ახალგაზრდა ფორვარდს გუშინწინდელი წარმატება არასოდეს დაავიწყდება, რადგან ჩემპიონთა ლიგაში ეს მისი პირველი დუბლია. სტუმრები შესაძლებლობების ზღვარზე ნამდვილად არ თამაშობდნენ. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ანგარიში ალბათ კიდევ უფრო გამანადგურებელი იქნებოდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისული **ხოსეპ გვარდიოლა** ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მასპინძელთა მთავარი მწვრთნელისთვის თვალებში ჩახედვის რცხვენოდა. თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტმა სათქმელი მაინც თქვა: *"დღეს დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ არ მინდა, რომ ამის გამო ჩემი ფეხბურთელები ეიფორიაში ჩავარდნენ. "ბაზელს" ხვალაც რომ შევხვდეთ, შესაძლოა, ერთი ბურთის გატანაც ვერ მოვახერხოთ. ამით იმის თქმა მსურს, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. შედეგითა და თამაშის ხარისხით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. ძალიან მიხარია, რომ ბოიანმა ორი გოლი გაიტანა. ასევე ხაზს გავუსვამდი ბუსკეტსის წარმატებას. ეს ბიჭები "ბარსელონის" მომავალს წარმოადგენენ. მათ სრულყოფას განსაკუთრებულ ენერგიას ვახმარ. ჩავთვალე, რომ დღევანდელი შეხვედრა საუკეთესო შანსი იყო, რათა მათთვის თამაშის შესაძლებლობა მიმეცა. ახლა მთავარია, ეიფორიაში არ ჩავვარდეთ და პრიმერა დივიზიონის მორიგი ტურის შეხვედრისთვის მოვემზადოთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2. სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. ბაზელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

**4 ნოემბერი**

ბარსელონა-ბაზელი
სპორტინგი-შახტარი

## D ჯგუფი

### ატლეტიკო-ლივერპული 1:1

**ხავიერ აგირესთვის** წაყენებული ულტიმატუმის გამო "ატლეტიკოსა" და "ლივერპულის" შეხვედრას უდიდესი ინტრიგა ახლდა. ამ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ითქვა, რომ მექსიკელ სპეციალისტს "ლივერპული" ნებისმიერ ფასად უნდა დაემარცხებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თანამდებობას დაატოვებინებდნენ. "როხიბლანკომ" ვერ მოიგო, მაგრამ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობამ მუქარა სისრულეში არ მოიყვანა. როგორც ჩანს, მათ გააცნობიერეს, რომ "ლივერპულთან" ფრე ცუდი შედეგი არ არის. მით უმეტეს, "ატლეტიკოს" ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად აქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, პრიმერა დივიზიონისგან განსხვავებით, სადაც აგირეს ბიჭებმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესპანელებს "ლივერპულთან" დაპირისპირება კრიზისულ დროს მოუხდათ. ულტიმატუმით შეშინებულმა აგირემ უცნაური გადაწყვეტილებები მიიღო. მან ახალგაზრდა **დომინგესს** ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარებინა. მექსიკელმა ასევე ახალგაზრდა **კამაჩოს** გამოყვანაც გარისკა. სამაგიეროდ, **სერხიო აგუერო** სათადარიგოთა სკამზე დასვა. ეს, ალბათ, არგენტინელი ფორვარდის გადაღლით იყო განპირობებული, მაგრამ ალბათ, უკეთესი იქნებოდა, აგირეს აგუერო "ბარსელონასა" და "რეალთან" მატჩებში დაესვენებინა. პოსტ-ფაქტუმ საუბარი, რა თქმა უნდა, იოლია, მაგრამ ყველამ დავინახეთ, რომ ესპანურ გრანდებთან აგუერო სამარცხვინოდ თამაშობდა. მოკლედ, "ატლეტიკოს" მთავარმა მწვრთნელმა საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილებები მიიღო. რამდენად გაუმართლა მას, ეს თქვენი გადასაწყვეტია. ფაქტი ის არის, რომ მასპინძლებს გამარჯვება სურდათ.

ასეა თუ ისე, აგირეს რევოლუციურმა ჩანაფიქრმა კარგი შედეგი მაინც ვერ გამოიღო. ყოველ შემთხვევაში, მისი ბიჭების თამაშის გათვალისწინებით, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. **პერეასა** და დომინგესის წყვილმა დაცვაში სერიოზული შეცდომები დაუშვა. მათი დახმარებით **სეიტარიდისი** თავს არ იწუხებდა. ერთადერთი **ანტონიო ლოპესი** გახლდათ, რომელიც ინგლისელებს უშელავათოდ ებრძოდა. ბუნებრივია, ერთი კაცის ძალისხმევა საკმარისი არ იქნებოდა. **ჩაბი ალონსო, ხავიერ მასკერანო** და **სტივენ ჯერარდი** ნახევარდაცვაში ყველაფერს აკეთებდნენ, რისი გაკეთებაც სურდათ. "როხიბლანკო" მეტოქეს წინააღმდეგობას, ფაქტობრივად, ვერ უწევდა. ამ ყველაფრის შემხედვარე ადამიანს აუცილებლად გაუჩნდებოდა წინათგრძნობა, რომ "ლივერპული" მალე გაიტანდა. ინგლისელებმა მართლაც გახსნეს ანგარიში, თუმცა ლაინსმენის დახმარებით. **რობი კინი** აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაშვებულმა გოლმა მადრიდელები ვერ გამოაცოცხლა. ისინი კვლავ დაქსაქსულად და გაუგებრად თამაშობდნენ. ყველაზე კარგად კამაჩო და **მანიშე** გამოიყურებოდნენ, თუმცა ნახევარმცველების ძალისხმევას შედეგი არ მოჰქონდა, რადგან **ლუის გარსია, ფორლანი** და **სინამა** ინერტულად ასპარეზობდნენ.

აგირე მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე და მეორე ტაიმში აგუერო შემოუშვა. არგენტინელი თამაშში კარგად ჩაერთო. ზოგადად "ატლეტიკოც" ნორმალურად ათამაშდა. მეორე ტაიმი აბსოლუტურად განსხვავებული გახლდათ. მასპინძლები შეტევაზე გადავიდნენ და თამაში გადაარჩინეს. სერხიომ ლამაზი გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. სამაგიეროდ, **სიმაოს** გაუმართლა. პორტუგალიელმა ნახევარმცველმა შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთით ადრე გაათანაბრა. ამ გოლით მან აგირე სახლში გაშვებისგან გადაარჩინა.

ბატონმა ხავიერმა რთული შეხვედრა ასე შეაფასა: *"არ მეგულება მწვრთნელი, რომელიც ყოველთვის გამარჯვებაზე არ ფიქრობს. რა თქმა უნდა, მეც სამი ქულის მოპოვება მინდოდა, მაგრამ ისეთი ღირსეული და გენიალური მეტოქე გვყავდა, რომ ყაიმისაც არ მრცხვენია. სიმართლე გითხრათ, შედეგით კმაყოფილი გახლავართ. ეს კმაყოფილება სატურნირო მდგომარეობაზეა დაყრდნობილი. საუცხოო შანსი გვაქვს იმისთვის, რომ ფლეი ოფში გავიდეთ. აგუეროს სათადარიგოთა სკამზე დასმის მიზეზი, ალბათ, ყველასთვის გასაგებია. კუნი დაღლილია. ამიტომ, ვიფიქრე, რომ 90 წუთის დატვირთვას ვერ გაუძლებდა. ჩემი აზრით, სერხიო თამაშში კარგად ჩაერთო და ქულის მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანა."*

**რაფაელ ბენიტესი** კი **ფერნანდო ტორესს** მისტიროდა. შეგახსენებთ, ესპანელმა სპეციალისტმა "ელ ნინიო" მისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ტრავმის გამო ვერ ათამაშა: *"ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, ტორესს რომ ეთამაშა, სულ სხვა შეხვედრას ვიხილავდით. ის დღეს ჰაერივით გვჭირდებოდა. სამწუხაროდ, ტრავმამ მადრიდში ჩამოსვლის საშუალება არ მისცა. პრაგმატული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებ, უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. "ვისენტე კალდერონიდან" ერთი ქულის წაღება არ არის ურიგო შედეგი. თუმცა გული იმაზე მწყდება, რომ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით და უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ."*

### ეინდჰოვენი-მარსელი 2:0

ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. წაგება, ფაქტობრივად, ჩემპიონთა ლიგასთან გამოთხოვებას ნიშნავდა. "მარსელს" მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ ეს თეორია პრაქტიკაში არ განხორციელდება. ეინდჰოვენში გულშემატკივრებმა საკმაოდ საინტერესო თამაში იხილეს. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "მარსელი" სახიფათო მომენტებს გაცილებით მარტივად ქმნიდა, მაგრამ სტუმართა ფორვარდებმა და ნახევარმცველებმა **ისაკსონს** ვერაფერი მოუხერხეს. პსვ-ს მეკარემ არაერთი რთული დარტყმა მოიგერია. ფრანგები **ბენ არფას** არააკურატულმა თამაშმა დაღუპა. მას სულ მცირე, სამჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ წესიერად ვერა და ვერ დაუმიზნა. სამაგიეროდ, **დენი კუვერმანსმა** იყოჩაღა. მას, ფაქტობრივად, ორად-ორი მომენტი ჰქონდა და ორივე გოლად აქცია. იმ ეპიზოდებში მცველებმა დაუშვეს ბრიყვული შეცდომები.

ბუნებრივია, შედეგმა მთავარ მწვრთნელებს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა მოუტანა. თავდაპირველად "ოლიმპიკის" მთავარი მწვრთნელის **ერიკ გერეტსის** განცხადებას გაგაცნობთ: *"მატჩის შეფასებისას, პირველ რიგში, ის უნდა ვთქვა, რომ ჩემი გუნდი პსვ-ზე ოდნავ მეტად დაღლილი იყო. შესაძლოა, ეს საფრანგეთის ჩემპიონატის ბრალი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიელებს მეტი ენერგია აღმოაჩნდათ, ჩვენ კი ნაკლები იღბალი. მომენტების ნახევარი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ალბათ, არ წავაგებდით. დასანანია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ერთი ქულის მოპოვებას ვერ მოვახერხებთ. იმედია, მომდევნო ტურებში უფრო გაგვიმართლებს."*

**ჰუუბ სტევენსმა** ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა და გულშემატკივრებს პირველი გამარჯვება მიულოცა: *"ძალიან ბედნიერი საღამოა. ჩემმა ბიჭებმა თავდაუზოგავად ითამაშეს, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ პსვ-ს ერთ-ერთი მთავარი კოზირი დისციპლინაა. ურთულეს მონაკვეთებშიც კი ორგანიზებულად და დისციპლინირებულად ვთამაშობდით. ეს თვისება რომ არ გვქონდეს, ალბათ, ყველასთან დავმარცხდებოდით. გულშემატკივრებს გამარჯვებას ვულოცავ. ეს სამი ქულა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს გვიტოვებს. ბრძოლა უშელავათო და დაუნდობელი იქნება, მაგრამ ჩვენ უკან არ დავიხევთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3. ეინდჰოვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. მარსელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

**4 ნოემბერი**

მარსელი-ეინდჰოვენი
ლივერპული-ატლეტიკო

გვერდები მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**


პანათინაიკოსი-ვერდერი. უტევს ჟილბერტო სილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგის ალტერნატიული მიმოხილვა

# ნირწამხდარი დივები





**ოთხშაბათი** ვერ გამოდგა ისეთი გოლუხვი, როგორიც სამშაბათი იყო, თუმცა ამით მესამე ტურის მეორე დღეს ბევრი არაფერი დაჰკლებია - ფეხბურთი ყოველთვის მხოლოდ გოლი როდია.

უცნაური გუნდია **ლუჩანო სპალეტის** "რომა". უცნაური ტაქტიკით თამაშობს და განსაკუთრებით გასვლით მატჩებში, თანაც ინგლისურ კლუბებთან, ისე გამოიყურება ხოლმე, თითქოს ფეხებზე ჰკიდია, მოიგებს, წააგებს თუ ფრეს ითამაშებს. ასე იყო ამჯერადაც, „სტემფორდ ბრიჯზე". პირველიდან ბოლო წუთამდე, იტალიელები რალაცას ჯახირობდნენ და ისე ჩანდა, თითქოს სრულებითაც არ აინტერესებდათ, როგორი შედეგი დაფიქსირდებოდა საფინალო სასტვენის შემდეგ. არც **ჯონ ტერის** გოლამდე და არც ამ გოლის შემდეგ, „რომას" განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. **ტოტიმ** და კომპანიამ **ჩეხის** კარისკენ სულ ექვსჯერ გაისროლა და ლონდონელთა მეკარეს ერთხელაც არ დასდგომია ჯაფა. როგორც ჩანს, სპალეტის რევოლუციურმა ტაქტიკამ და მიდგომამ თავისი დრო მოჭამა. ყოველ შემთხვევაში, „რომაში" მაინც.

„კლუჟი" ველარ „კლუჟობს" და როგორც ირკვევა, მეტოქეებმა ამ გუნდს უფრო იოლად აულეს ალლო, ვიდრე **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისს". „ბორდოსთან" მატჩიდან ორი მომენტია დასამახსოვრებელი. პირველი: ფრანგების თავდამსხმელმა **მარუან შამახმა ტონი და სილვა** კინალამ ძვლებში რომ დაამტვრია, ნამდვილად გასაგდები იყო, მაგრამ მსაჯმა **ივან ბებეკმა** ოდენ გაფრთხილება აკმარა. და მეორე: 53-ე წუთზე „კლუჟის" მცველი **კადუ** საყოველთაო დაცინვის ობიექტი გახდა, როდესაც ფრანგების აბსოლუტურად უაზრო და უხიფათო ჩაწოდების შემდეგ, ბურთს კუნგ-ფუს ილეთი ჩაუტარა და საკუთარ კარში შეაგდო. მიუხედავად ამისა, „კლუჟი", ისევე, როგორც „ანორთოსისი", სამი ტურის შემდეგაც მეორე ადგილზე რჩება და მაინც „კლუჟობს" გარკვეულწილად.

„ვერდერის" სათადარიგო მეკარე **კრისტიან ფანდერს კრისტიანო რონალდოსთან** საერთო რა უნდა ჰქონდეს? პორტუგალიელი სიმპათიური ბიჭია, ბრემენელი კი... ისე რა... კრისტიანომ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, კრისტიანის უდიდესი მიღწევა კი ის არის, რომ საკუთარი ვებგვერდი აქვს. მაგრამ ოთხშაბათის შემდეგ ფანდერს და რონალდოს საერთო გამოუჩნდათ. თებერვალში, მანჩესტერელს ლიონში ლაზერით აბრმავებდნენ, ახლა კი, ლაზერული შეტევის მსხვერპლი კინალამ ფანდერი გახდა. „პანათინაიკოსთან" მატჩში, პირველი 20 წუთის განმავლობაში, ერთ-ერთი ბერძენი ფანი „ვერდერის" მეკარის დაბრმავებას მწვანე შუქით ცდილობდა. ფანდერი არ დაბრმავდა, ნორმალურად ითამაშა, მაგრამ **მანციოსის** მეორე გოლის დროს მაინც შეცდა – ძალიან წინ იყო გამოსული და ბურთს ველარ მისწვდა.

ფაქტია, რომ „სან სიროზე" გაცილებით საინტერესო და თვალსასეირო მატჩები გამართულა, ვიდრე „ინტერი"-„ანორთოსისი". მილანელებმა ქეცბაიას გუნდთანაც ისე ამაყად ითამაშეს, როგორც „ვერდერთან", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კვიპროსულ კლუბს ანგარიშის გათანაბრებისთვის კლასი და ძალა არ ეყო. ცუდი დღე გაუთენდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**...

„ბაზელისა" და „ბარსელონის" მატჩს გენიალური **როჯერ ფედერერი** ესწრებოდა, მაგრამ ლეგენდარული ჩოგბურთელი „ბაზელს" ვერაფერში მიჰბაძავს. 0:5 და „ბარსას" თავისუფლად შეეძლო, 10:0-იც მოეგო. კატალონიელებმა მეტოქის შეცოდება არ იციან, უბრალოდ, მეტის გატანა საჭიროდ აღარ მიიჩნიეს.

ესპანურმა პრესამ **სერხიო აგუეროს** ამჯერად **სტივ ჯერარდთან** "დაუნიშნა დუელი", მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. "ატლეტიკოს" თავკაცმა **ხავიერ აგირემ** არგენტინელის ძირითად შემადგენლობაში გამწესება საჭიროდ არ მიიჩნია და როცა მოედანზე შეუშვა, "ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** ცუდ ფორმაში მყოფი ჯერარდი მალევე მოხსნა თამაშიდან. "ლივერპული" სჯობდა მეტოქეს, მაგრამ მადრიდელებმა ფრე დაიმსახურეს – რადგან ბოლოს მართლაც შთამბეჭდავად შეუტიეს.

მართალია, „ეინდჰოვენს" „მარსელის" დამარცხების შემდეგ მერვედფინალში გასვლის შანსი შერჩა, მაგრამ ჩვენ ყველამ ამთავითვე ვიცით, რომ ეს იყო დუელი მესამე ადგილისთვის. ჯგუფიდან კი, ყველა წესისა და კანონის მიხედვით, "ატლეტიკო" და "ლივერპული" უნდა გავიდნენ...

გერმანიის ნაკრები

# ეს როგორ გაბედე, მიხაელ?

## ნუთუ ბალაკს ნაკრებიდან გააგდებენ?

**გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა მიხაელ ბალაკი "კაბინეტში დაიბარა" რადგან მასთან "დალაპარაკება" სურს. მას მერე, რაც ბუნდესკაპიტანმა ბუნდესმწვრთნელს მაგრად შეუტია, კევინ კურანისა და ტორსტენ ფრინგსის შემდეგ, აღარც ბალაკია შეურყეველი ფიგურა! მიხაელთან საუბრის შემდეგ ლიოვი გადაწყვეტს, რა სანქცია დააკისროს ბალაკს. პირველი ვარიანტი კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევაა, მეორე კი... არც მეტი, არც ნაკლები, გერმანიის ნაკრებიდან გაძევება!**



**ფრანც ბეკენბაუერმა**, როგორც გერმანული ფეხბურთის ნათლიმამამ, უკვე გამოთქვა საკუთარი მოსაზრება და რა თქმა უნდა, ბალაკს უთავაზა ალიყური – ყველამ ხმა აიმაღლა, ყველა რალაცის გამოა უკმაყოფილო, მათ ურჩევნიათ, ფეხბურთი ითამაშონ და თავიანთი შესაძლებლობები მოედანზე დაამტკიცონო. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაიზერი ძველმოდური კაცია, მაგრამ ნამდვილად ვერ დავიჩემებთ, რომ საქმის არსი არ ესმის. ის, რაც ბალაკმა საჯაროდ თქვა (გუშინდელ ნომერში დეტალურად ვწერდით), ლიოვისთვის პირში უნდა ეთქვა, მაგრამ როგორც ჩანს, პირში თქმამ შედეგი არ გამოიღო, თორემ აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, ბალაკს ასე საჯაროდ წაეგრძელებინოს ენა. მეტიც, მიხაელი ელემენტარულ კარდინალურ განცხადებებსაც კი არ აკეთებდა ხოლმე.

მაინც რა ხდება? რისი ბრალია ის ანარქია, რაც ბოლო დროს გერმანიის ნაკრებში დაიწყო (კურანი, ფრინგსი და ახლა ბალაკიც)?

ფაქტია, რომ ლიოვი ბალაკის საქციელის გამო ძალიან გაბრაზდა. შესაძლოა, მას საერთოდ არ აინტერესებდეს კევინ კურანი, უკვე ნაკლებად აინტერესებდეს ტორსტენ ფრინგსი, მაგრამ ბალაკი კი აინტერესებს, ყოველ შემთხვევაში, ვალდებულია, აინტერესებდეს. სწორედ ამიტომ, ბუნდესმწვრთნელმა სასწრაფოდ გაიარა კონსულტაციები გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერთან**, მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფთან** და თავის თანაშემწე **ჰანსი ფლიკთან**, რის შემდეგაც ბალაკთან დაკავშირება სურდა, რათა მისთვის ეთქვა, რომ მასზე განრისხებულია! *"ეს უკვე მეტისმეტია, ასეთ რამეს არ დავუშვებ!"* – აცხადებს ბუნდესმწვრთნელი, - *„ბალაკი სასწრაფოდ უნდა ჩამოვიდეს გერმანიაში და შემხვდეს. სხვა კითხვებზე მხოლოდ მასთან შეხვედრის შემდეგ გიპასუხებთ."*

დამაინც: დიდი შანსია, რომ მიხაელს კაპიტნის სამკლაური ჩამოართვან ან სულაც ნაკრებიდან მოკვეთონ. ის, რომ კაპიტანმა მწვრთნელის ავტორიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და ის, რომ მიხაელი კურანის და ფრინგსს მიემხრო, თანაც ამის ფონზე ლიოვი გააკრიტიკა, იოგისთვის მიულებელი და შეურაცხმყოფელია.

*"ფეხბურთელი პატივს უნდა მცემდეს, სხვა ყველაფერი დაუშვებელია. მიხაელი ამბობს, რომ მე აღარ ვცემ ფეხბურთელებს პატივს. როგორც ჩანს, გუნდში გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთელისთვის პატივისცემა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაშობდეს. ეს აბსურდია,"* – ამბობს ლიოვი.

სხვათა შორის, ბალაკმა "კიკერის" კოლუმნისტ **ოლაფ ტონსაც** შეუტია, რომელმაც თავის სვეტში დაწერა, გერმანიის ნაკრების კაპიტნობას მიხაელზე მეტად **ბასტიან შვაინშტაიგერი** იმსახურებსო. *"შვაინი უფროა ლიდერი, ვიდრე ბალაკი,"* – წერდა ტონი და მიხაელმა ამ მოსაზრებას მისი პირადი შეურაცხყოფა უწოდა. ტონი ამბობს, ჩემი კრიტიკით რისი მიღწევაც მსურდა, მივაღწიე და ახლა ყველა სხვანაირად შეხედავს ნაკრების კაპიტანსო. ეს კი უკვე ბალაკის დემონტაჟს ჰგავს. მიხაელი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმაც** გააკრიტიკა: *"ცხადია, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ლიოვის ავტორიტეტი არ შეილახოს."*

მაინც რა იმალება ამ ბრძოლების უკან, - ბრძოლებისა, რაც ბალაკისა და ბირჰოფის დატაკებით დაიწყო?

**პირველი მიზეზი:** ევრო 2000-ის, ევრო 2004-ის და 2002, 2006 წლების მუნდიალებისგან განსხვავებით, ბუნდესგუნდში კონკურენცია უფრო გაზრდილი და გამძაფრებულია. ჯერ კიდევ 2006 წელს **იურგენ კლინსმანს** საკმაოდ დაბალანსებული და კარგი გუნდი ჰყავდა, შესაბამისად, დიდი არჩევანიც ჰქონდა. მას მერე, ზოგიერთმა მეორეხარისხოვანმა ფეხბურთელმა უდიდესი პროგრესი განიცადა - მაგალითად **რენე ადლერმა**, **პიოტრ ტროხოვსკიმ**, **პატრიკ ჰელმესმა** და **სიმონ როლფესმა**.

**მეორე მიზეზი:** ბალაკი და ფრინგსი 2010 წლის მუნდიალისთვის 33 წლისანი იქნებიან. შესაბამისად, ისინი იბრძვიან, რათა არ დაკარგონ ძალაუფლება და ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ფაქტია, რომ ასეთი საფრთხე უკვე ორივე მათგანს ემუქრება.

**მესამე მიზეზი:** მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესგუნდი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ავსტრიასა და შვეიცარიაში ლიოვის გუნდს ძალიან კარგი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ლიოვმა მაშინაც თქვა, რომ ევრო 2008-ის შემდეგ გუნდში კონკურენციას გაამძაფრებდა.

ფაქტია, რომ ფრინგსისა და ბალაკის შეტევების შემდეგ, იოგის ავტორიტეტი სასწორზეა. და ფაქტია ისიც, რომ მიხაელი გერმანიის ნაკრებს ძალიან სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

იტალიური გუნდები ჩემპიონთა ლიგაში

# ფავორიტთა შორის მხოლოდ ინტერია



**იტალიური** სპორტული პრესა ჯერაც ჩემპიონთა ლიგის განვლილი შეხვედრების ანალიზითაა დაკავებული, განსაკუთრებული ყურადღება კი რა თქმა უნდა აპენინურ გუნდებს ეთმობა. სერია A-ს ბინადრებმა განსხვავებული რეზულტატები აჩვენეს: "იუვენტუსმა" მადრიდის "რეალთან" დიდებული გამარჯვება იზეიმა, "ინტერმა" "ანორთოსისს" მოკრძალებული ანგარიშით მოუგო, "რომა" და "ფიორენტინა" კი დამარცხდნენ და სატურნირო მდგომარეობა ერთობ გაირთულეს. "კორიერემ" ვრცელი მასალა მიუძღვნა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე იტალიურ გუნდებს, რომლის გადმოქართულებულ ვარიანტს აქვე გთავაზობთ.

## ინტერი

ვფიქრობთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში "ინტერი" ერთადერთი იტალიური გუნდია, რომელიც ფავორიტთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ. ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ "ნერაძურიმ" ევროასპარეზზე გაიბრწყინოს და ასე ნანატრი ტროფეი მოიპოვოს. დადგა დრო "ინტერნაციონელემ" ტიფოზები გაახაროს, რომლებიც უკვე დიდი ხანია ითხოვენ ევროპის უპრესტიჟულესი ტურნირის მოგებას.

რა აკლდა "ინტერს" ევრონარმატებისთვის? - უპირველეს ყოვლისა, თავდაჯერებულობა, გამარჯვებულის მენტალიტეტი. "ნერაძური" გადამწყვეტ მომენტში ტყდებოდა, არადა, ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებ, თუ გადამწყვეტი თამაშის მაღალ დონეზე ჩატარება არ ძალგიძს. მაგალითისთვის მილანური დერბის მოყვანაც კმარა - "ინტერი" მადონინაში გამარჯვებას მთელი ექვსი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა. ისიც გემახსოვრებათ, რომ "მილანს" "ნერაძური" ჩემპიონთა ლიგიდანაც ჰყავს დაფრენილი. დერბიში წარუმატებელი ასპარეზობის უმთავრესი მიზეზიც თვითრწმენის არქონა გახლდათ.

დღეს "ინტერს" ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებს, რაც გვაძლევს კიდეც იმის თქმის საფუძველს, რომ გუნდი ლიგის ერთ-ერთი ფავორიტია. თავდაჯერებულობა **ჟოზე მოურინიოსთან** ერთად მოდის, პორტუგალიელი წარმატებული მწვრთნელია, ის გამარჯვებასთან ასოცირდება და ბუნებრივია, ფსიქოლოგიურად ეს გუნდზე ძალიან კარგად მოქმედებს.

მოურინიოს სწორი კურსი აქვს აღებული, გუნდში მოსვლის დღიდან შეტევის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა და მიზანს მიაღწია კიდეც. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ინტერს" ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შეტევის ხაზი ჰყავს. პორტუგალიელი ტრადიციულად დიდ ყურადღებას უთმობს ფლანგებს და ყოველთვის სწყალობს გარემარბებს. სეზონის წინ **მასიმო მორატიმ** მწვრთნელის მოთხოვნით **ამანტინო მანსინი** და **რიკარდო კვარეშმა** გადაიბირა, ეს ფეხბურთელები დღეს გარემარბის პოზიციაზე თამაშობენ და "ინტერის" შემტევ სამკუთხედში თავისი როლი აქვთ. განსაკუთრებით, ექსრომაელი გამოირჩევა, მან იდეალურად აუღო ალღო მოურინიოს ტაქტიკურ მონახაზს.

ჟოზეს შეტევაში ძალიან დიდი არჩევანი აქვს, მის განკარგულებაში ერთმანეთზე უკეთესი თავდამსხმელები არიან. მძლავრია "ინტერის" შუა ხაზიც, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ **ხავიერ ძანეტი, ესტებან კამბიასო** და **პატრიკ ვიეირა** ის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლიათ მოედნის ცენტრზე გაბატონება. დავუმატოთ ამ ყველაფერს ის თავდაჯერებულობა, რომელიც გუნდს მოურინიომ შემატა და დავრწმუნდებით, რომ "ინტერისგან" მომავალში ბევრს უნდა ველოდეთ. "ტიფოზები" კი პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგას ელოდებიან.

## იუვენტუსი

მადრიდის "რეალის" ძლევის შემდეგ ტიფოზებმა "იუვენტუსის" ირწმუნეს და იმედი იმისა, რომ ტურინელებს მიმდინარე სეზონში წარმატებულად ასპარეზობა შეუძლიათ, ჩვენც გაგვიჩნდა. ბებერმა სენიორამ სერია A ძალიან ცუდად დაიწყო და თავი თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიყენა. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "იუვე" სკუდეტოსთვის ველარ იბრძოლებს. ბევრი შესაძლოა შეგვედავოს, მაგრამ აზრს ნამდვილად ვერ გადაგვათქმევინებს. გუნდმა ძალიან ბევრი ქულა დაკარგა, რომლის ანაზღაურება ფაქტობრივად შეუძლებელია.

თუმცა ამან შეიძლება ტურინელთა წისქვილზეც კი დაასხას წყალი. "იუვეს" არ აქვს იმის რესურსი, რომ ორ ფრონტზე იბრძოლოს. ჩვენი აზრით, **კლაუდიო რანიერიმ** ძალები სწორად უნდა გადაანაწილოს და აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთოს. კლაუდიომ იტალიის პირველობაზე მიზნად ოთხეულში მოხვედრა უნდა დაისახოს, რაც "იუვეს" ნამდვილად ხელეწიფება. აი, რას ამბობს "ბებერი ქალბატონის" სალიგო შანსებზე გუნდის პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი**: "*ერთი კონკრეტული თამაშის მოგება ნებისმიერ გუნდთან შეგვიძლია და ამაში სამშაბათსაც დავრწმუნდით. "რეალის" დამარცხებამ ნათლად დაგვანახვა, რომ გუნდს დიდი მიზნების მიღწევა ძალუძს. ჩემპიონთა ლიგაში კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს. უსამართლობა იქნებოდა ფეხბურთელებისთვის აუცილებლად ლიგის მოგება მოგვეთხოვა. მეორე მხრივ, "იუვეს" მხოლოდ პირველობის ამბიცია აქვს. ასე რომ, ჩვენი მიზანი თითოეული მატჩის მოგებაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს*".

პრეზიდენტი ტყუილად არ ამბობს, რომ შეგირდებს ლიგის მოგებას უპირობოდ ვერ მოსთხოვდა. ის მართალიცაა, დღეს "იუვე" კონკრეტულ მატჩებზე უნდა განეწყოს და იქნებ, შედეგიც ასე მოვიდეს.

## რომა

"ჯალოროსი" ღრმა კრიზისშია და ეს ცხადზე ცხადია. "ჩელსის" წინააღმდეგ "რომამ" ორგანიზებულად ითამაშა და მთლიანობაში ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ვერც ის დაგვანახვა, რომ გუნდი კრიზისიდან გამოსვლის გზას ადგას.

რამ განაპირობა ასეთი ჩავარდნა? - ჩვენი ღრმა რწმენით, კრიზისს ორი მთავარი მიზეზი აქვს. პირველი ფსიქოლოგიური ფაქტორია და ამაზე თავად ფეხბურთელებიც ხშირად საუბრობენ. რომაელებს მოტივაციის პრობლემა აქვთ, რაც პირველ რიგში წარუმატებელმა სატრანსფერო კამპანიამ გამოიწვია.

"რომა" უკანასკნელ წლებში სტაბილურად ძლიერი იყო, მაღალი მიზნებისთვისაც იბრძოდა, მაგრამ დიდ გამარჯვებამდე ყოველთვის რაღაც აკლდებოდა. მას ყოველთვის უსწრებდა გაცილებით უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული "ინტერი". სეზონის წინ, თავად ფეხბურთელები გაიძახოდნენ, რომ ექსტრაკლასის მოთამაშეთა დამატება იყო აუცილებელი, რათა ამ სეზონში მაინც მიეღწიათ სანუკვარი მიზნისთვის - სკუდეტოსთვის. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით მოხდა, "რომა" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, კონკურენტი გუნდები კი ძალიან გაძლიერდნენ. ასეთი პრეკამპანია ძალიან ცუდად აისახა ფეხბურთელების მოტავაციაზე.

მეორე მიზეზი **ლუჩანო სპალეტია**. ის ძალიან ნიჭიერი მწვრთნელია და მისი უფორვარდო ტაქტიკაც დიდხანს ამართლებდა, მაგრამ დადგა დრო, როცა რაღაც უნდა შეცვალოს და თანაც, ეს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთოს. სპალეტისეული "რომა" უკვე გაშიფრულია, მის წინააღმდეგ თამაში უკვე ყველამ ისწავლა, მწვრთნელი კი ჯიუტად ცდილობს, კვლავაც ძველი სქემით გავიდეს ფონს. სპალეტიმ ახალი "რომა" უნდა შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისის დაძლევა წარმოუდგენელია.

რა შეუძლია მიმდინარე სეზონში "რომას"? - რაც უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს, სპალეტის გუნდი დიდი ტიტულისთვის არც წელს არის მზად - ფლეი-ოფი ლიგაში და ოთხეული სერია ა-ში, ეს "ჯალოროსის" მაქსიმუმია.

## ფიორენტინა

ფლორენციელების მთავარი პრობლემა არასაკმარისი საკადრო რესურსია. "ფიორენტინას" არ ჰყავს იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი, რომ ორ ფრონტზე ბრძოლას გასწვდეს. გამომდინარე აქედან, ვვარაუდობთ, რომ ვიოლას სერია A-ში ოთხეულში მოხვედრა მეტისმეტად გაუჭირდება. ჩემპიონთა ლიგა ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს, რაც უკვე აისახება კიდეც გუნდის თამაშზე. "ფიორენტინა" მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ სეზონი აქტივში ჩაეთვალოს. ამისთვის ლიგის ჯგუფიდან გასვლაა საჭირო. არადა, "ბაიერნთან" განადგურებით ფლორენციელებმა საქმე მეტისმეტად გაირთულეს.

შემდეგ ტურში **ჩეზარე პრანდელის** გუნდი მიუნხენელებს უკვე საკუთარ მოედანზე გაეჯიბრება და აქ უპირობო გამარჯვება იქნება აუცილებელი. ფრეს შემთხვევაშიც კი "ფიორენტინა" გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. თავად განსაჯეთ, "ბაიერნი" სავარაუდოდ "სტიაუასაც" მოუგებს და ბოლო ტურის წინ ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებს. ბუნებრივია, მოტივაციადაკარგული გერმანელები საფრანგეთში "ლიონს" ქულებში არ შეეცილებიან და ამით "ფიორენტინას" გზას გადაულობავენ. ასე რომ, ვიოლამ ფლორენციაში უნდა იძალოს და "ბაიერნი" ბეჭებზე გააკრას. ამავე აზრისაა კლუბის პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე**: "*ცხადია, "ბაიერნის" ძლევა ურთულესი საქმეა, მაგრამ ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადოთ. გამარჯვება ყველასთან შეიძლება, მთავარია მობილიზებულნი და კონცენტრირებულნი ვიყოთ. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ სამი ქულა ჰაერივით გვჭირდება. დიდი იმედი მაქვს ტიფოზების, გერმანელებთან ყველაზე მეტად სწორედ მათი მხარდაჭერა გვჭირდება*".

თავადაც ხვდებით, რომ "ვიოლას" მდგომარეობა მთლად სახარბიელო არაა, მაგრამ ამან ტიფოზები არ უნდა შეაშინოს. "ფიორენტინა" ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადი გუნდია იტალიაში და დავიტოვოთ იმედი, რომ პრანდელი საქმეს კვლავაც წარმატებით გააგრძელებს.

**ლაშა ნიკლაური**





ინტერი

# ადრიანო მოურინიოს ემადლიერება

"**ინტერის**" ბრაზილიელი თავდამსხმელი **ადრიანო** ფორმას სწრაფი ტემპებით იბრუნებს და თუ ასე გააგრძელა, სულ მალე გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალადაც მოგვევლინება. იმპერატორმა ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ტურის შეხვედრაშიც გაიბრწყინა და კვიპროსის "ანორთოსისს" გამარჯვების გოლი გაუტანა. მატჩის შემდეგ ადრიანო ძალიან გახარებული ჩანდა და კომენტარიც უხვად არიგა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მოურინიოსთან მუშაობით ძალიან კმაყოფილია: "*კვიპროსელებთან ბევრი ვირბინე და ცოტა დაღლილიც ვარ. მიუხედავად ამისა, შემიძლია თუნდაც ხვალ გავიდე მოედანზე და 100%-ით დავიხარჯო. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ თამაში მოურინიოს ხელმძღვანელობით მიწევს. მან დამაბრუნა დიდ ფეხბურთში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. მიხარია, რომ ჯერჯერობით მწვრთნელის ნდობას ვამართლებ, შრომას არ ვწყვეტ და მჯერა, მომავალში კიდევ უკეთესად ვითამაშებ*".

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელთა ახალი ვარსკვლავი

# ჩუმი მკვლელი

## სისწრაფე მოედანზე და მის მიღმა



ასტონ ვილის ახალგაზრდა ვარსკვლავი ეშლი იანგი

**აგვისტოში** ინგლისისა და ჩეხეთის ნაკრებების ამხანაგური მატჩის წინ ფაბიო კაპელომ ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. ნახევარდაცვაში ტრადიციული გვარები იყო – ლემპარდი, ჯერარდი, კოული, ბერი, ბენტლი, ბექჰემი, ქერიკი, დაუნინგი – მეორე დღეს ბირმინგემის ოფისში გაკვირვებულები იყვნენ: "ფაბიო, არ ხუმრობ? როგორ? იანგის გარეშე?" ხოლო ადგილობრივმა გაზეთმა დაწერა: "ჩვენ შეგვიძლია დიდი ხანი ვისაუბროთ ეშლი იანგისა და სტიუარტ დაუნინგის შედარებაზე და საბოლოოდ მივალთ დასკვნამდე, რომ ასტონვილელი სჯობს კონკურენტს. შეგვეძლო ისიც დაგვეწერა, რომ დაუნინგი ნაგავია და იანგი ფეხბურთის ღმერთი, მაგრამ ვიცით, რომ ასე არ არის და ამიტომ თავს შევიკავებთ. ვიცით, ერთი რამეც - სწორედ ეშლი გახლავთ ის ფეხბურთელი, ვინც ნაკრებში უნდა თამაშობდეს". ამ სიტყვების ავტორი, რა თქმა უნდა, სუბიექტურია, რადგან აშკარად ჩანს, რომ ის "ასტონ ვილას" გულშემატკივრობს, თუმცა ზოგადად მის სტატიაში ობიექტური სურათიცაა დახატული.

**მაშ ასე, ვინ არის ეშლი იანგი, რომლის თაობაზეც ასეთი ვნებები ღაღვივდა? ეს არის ფეხბურთელი, რომელიც სექტემბერში პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა და ვინც დღე-დღეზე გუნდთან ახალ გაუმჯობესებულ კონტრაქტს გააფორმებს.**

ეშლი საიმონ იანგი დაიბადა 1985 წლის 6 ივლისს, ლონდონთან ახლოს, ქალაქ სტივენიჯში იამაიკელი ემიგრანტების ოჯახში. ეს ქალაქი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყნის ინფრასტრუქტურულ გარდაქმნას უნდა უმადლოდეს, რომ დღეს ის თანამედროვე, კოხტა ადგილია, სადაც უამრავი პრესტიჟული სკოლა და კოლეჯი მდებარეობს. ერთ ასეთ დაწესებულებაში, ჯონ ჰენრი ნიუმანის სკოლაში სწავლობდა **ეშლი იანგიც**. ის გაძლიერებულად ეუფლებოდა ჰუმანიტარულ საგნებს.

ვერ გეტყვით, რამდენი პოეტი და ფილოსოფოსი გაზარდა ამ სკოლამ, მაგრამ ორი ბრწყინვალე სპორტსმენი რომ აჩუქა ბრიტანეთს, ფაქტია. პირველზე უკვე მოგახსენეთ. აი, მეორე კი, ჯერჯერობით, იანგზე წარმატებული და პოპულარულია. ლაპარაკია ფორმულა 1-ის ლიდერ **ლუისს ჰემილტონზე**. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ, მართალია, ერთ კლასში არ იყვნენ, მაგრამ ფეხბურთს ხშირად ერთად თამაშობდნენ. დღეს სპორტსმენები საუკეთესო მეგობრები არიან.

აღსანიშნავია, რომ სწორედ სტივენიჯიდანაა პრემიერლიგის ოდინდელი საუკეთესო მეგოლე **კევინ ფილიპსიც**. ქალაქს ჰყავს კლუბი, ოღონდ მოყვარულთა ლიგაში - "სტივენიჯ ბორო", მაგრამ იანგს იქ არასოდეს უთამაშია. ეშლი ლონდონის მეორე სატელიტი ქალაქის, უოტფორდის კლუბის აღზრდილია. ასტონვილელი ვარსკვლავის უმცროსი ძმები ახლაც "უოტფორდში" თამაშობენ.

"უოტფორდისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **გრემ ტეილორი** იხსენებს: *"ეშლი ჩვენთან ათი წლისა მოვიდა და მაშინვე ყურადღება მიიპყრო თამაშის მისეულმა მანერამ, ბურთთან მოპყრობის კულტურამ. ერთმნიშვნელოვანია, რომ ის თანატოლებში ყველაზე ნიჭიერი გახლდათ. უამრავი ფეხბურთელისთვის კარიერის საბედისწერო მონაკვეთია დიდ ფეხბურთში გადასვლის დრო. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ნიჭიერი ბიჭი დაკარგა ფეხბურთმა სწორედ ამ ასაკში, მაგრამ ეშლის ეს არ შეხებია. ის დაუღალავად დადიოდა თავისი ქალაქიდან უოტფორდში და მუხლჩაუხრელად შრომობდა. ერთ დღესაც ბავშვთა გუნდის მწვრთნელ კრის კამინსის რეკომენდაციით ძირითადმა გუნდმა მას კონტრაქტი გაუფორმა."*

იანგის დებიუტი ისეთი გამოდგა, ნებისმიერი პატარა ბიჭი რომ ინატრებდა. ეს მოხდა 2003 წლის 13 სექტემბერს. "უოტფორდს" მაშინ **რეი ლევიგტონი** თავკაცობდა. "მილუოლთან" შეხვედრის 76-ე წუთზე ის **ლი კუკის** ნაცვლად შევიდა და 24 წუთში გოლი გაიტანა ("უოტფორდმა" 3:1 მოიგო). იანგი მომდევნო ტურშიც გამოჩნდა მინდორზე "დერბი ქაუნთისთან" - ისევ კუკის ნაცვლად. 18 წლის ბიჭმა ისევ გაიტანა, თუმცა "უოტფორდი" დამარცხდა. მომდევნო სეზონში ლი კუკი "ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადავიდა და იანგს ძირითადისაკენ გზა გაეხსნა. ფეხბურთელი მთელი წელი სტაბილურად ასპარეზობდა. ის ხან სასტარტო შემადგენლობაში იყო, ხანაც შეცვლებზე შედიოდა. თუმცა "უოტფორდი" სუსტად გამოიყურებოდა. მარტში კრიზისმა პიკს მიაღწია. გუნდი გასავარდნ ზონაში დაეშვა. ხელმძღვანელობამ ლევინგტონი დაითხოვა. გუნდი ახალგაზრდა სპეციალისტმა, **ადრიან ბუთროიდმა** ჩაიბარა, ვისაც იქამდე სამწვრთნელო გამოცდილება საერთოდ არ გააჩნდა. ვერ გეტყვით, რომ "უოტფორდმა" გაიბრწყინა, მაგრამ ჩემპიონშიფში 24 გუნდში მე-18 ადგილი დაიკავა და დაქვეითებას გადაურჩა.

სწორედ ბუთროიდის ხელში დაიწყო იანგმა იმ ფეხბურთის თამაში, რისი წყალობითაც ის ახლა პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფებურთელია. 2005-2006 წლის სეზონში ფეხბურთელმა 43 შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა. დაუვიწყარი იყო გოლი 43-ე ტურში "ქუინზ პარკ რეინჯერსის" კარში. ანგარიში 2:1 გახდა. იმავე დღეს "პრესტონმა" ფრედ ითამაშა. შედეგად, "უოტფორდი" პრემიერლიგის საგზურისათვის ფლეი ოფში ჩაება.

ფლეი ოფში ბუთროიდის ბიჭების მეტოქე "კრისტალ პალასი" იყო. იანგმა და კომპანიამ ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი პირველსავე შეხვედრაში გადაწყვიტა, დაამარცხა რა ლონდონური გუნდი 3:0. გოლები გაიტანეს **მარლონ კინგმა**, ეშლი იანგმა და **მეტიუ სპრიგმა**. პრემიერლიგისკენ გზაზე ბოლო წინაღობა პოპულარული "ლიდს იუნაიტედი" იყო. შეხვედრა მოსალოდნელი სცენარით წარიმართა და უოტფორდელთა სასარგებლოდ დასრულდა, 3:0.

გუნდი პრემიერლიგაში აღზევდა, მაგრამ მის მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო და ისევ ჩემპიონშიპს დაუბრუნდა. პრემიერლიგის დონეზე სათამაშოდ მხოლოდ ეშლი იანგი იყო მზად და მან ეს ყველას დაუმტკიცა. მე-7 ტურში მან დუბლი შესრულა "ფულჰემის" კარში, თანაც მაშინ, როცა მისი გუნდი 3:1-ს აგებდა. ამას გარდა, სწორედ მისი გოლების წყალობით მოახერხა გუნდმა ორი გამარჯვების მოპოვება - ლიგის თასზე "ჰალ სიტისთან" და ჩემპიონატში "მიდლსბროსთან".

ამავე პერიოდს დაემთხვა ფეხბურთელის დებიუტი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებშიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს იანგი 21 წლისა გახლდათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ "უოტფორდს" 2007 წლის იანვარში მსურველთა რიგი დაუდგა. ბუთროიდმა ადვილად განსაზღვრა, რომ ნიჭიერი შეგირდის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა, ამიტომაც დაიწყო ვაჭრობა... მისტერ ადრიანმა უარი შეუთვალა "ვესტ ჰემს", რომელიც ფეხბურთელში 10 მილიონი გირვანქას იხდიდა. ამბიციურმა ფეხბურთელმა თავადაც არ მოისურვა პრემიერლიგის აუტსაიდერთან კონტრაქტის გაფორმება. ამ დროს საქმეში ჩაერთვნენ "ასტონ ვილა" და **მარტინ ონილი**. მათი წინადადება შედარებით მოკრძალებული იყო - 8 მილიონი გირვანქა და გარკეული ბონუსები... ბუთროიდს სხვა გზა არ დარჩენოდა და ეშლის გზა დაულოცა.

ფეხბურთელმა პირველი გოლი სადებიუტო შეხვედრაშივე გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა "ნიუკასლთან" 1:3 წააგო. იანგმა იმ სეზონში (2007-08) შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. "ვილის" არც ერთი შეტევა მის გარეშე არ იწყებოდა. სეზონის ბოლოს მან ფანტასტიკურ სტატისტიკას მოუყარა თავი: ყველა ტურნირზე ერთად 37 თამაში, 8 გოლი და 17 (!) საგოლე პასი. განსაკუთრებით სახიფათო იყო მისი ფლანგური გარღვევები, საჯარიმო მოედანში ბურთის ჩაწოდებები და სტანდარტული მდგომარეობები. ბირმინგემულ კლუბში ასპარეზობს რეაქტიული ფორვარდი **გაბრიელ აგბონლაორიც**, ვისთან ერთადაც ეშლი იანგმა ეფექტური დუეტი შეკრა - მათი სისწრაფე ნებისმიერი გუნდის დაცვისთვის შოკისმომგვრელია. სეზონის მიწურულს კონპეტენტურმა ექსპერტებმა იანგი პრემიერლიგის წლის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. ამ გუნდში მხოლოდ ის და **დევიდ ჯეიმსი** არ წარმოადგენდნენ ლიგის "დიდ ოთხეულს".

წლევანდელი სეზონი ფეხბურთელმა ისე დაიწყო, თითქოს შარშანდელი არც დასრულებულიყოს. ის ისეთივე სწრაფია, ისევ გააქვს გოლები, არიგებს პასებს, ურტყამს და იტანს საჯარიმოებს. გარდა იანგისა, "ვილის" შუა ხაზში თამაშობენ **გარეთ ბერი** (27), **ნაიჯელ რეო-კოკერი** (24), **ჯეიმს მილნერი** (22), **სტილიან პეტროვი** (29). ასეთი ნახევარდაცვის ნებისმიერ გუნდს შეიძლება შეშურდეს, განსაკუთრებით პერსპექტივის თვალსაზრისით - ყურადღება მიაქციეთ ფეხბურთელების ასაკს.

როგორია ეშლი იანგი მინდორს მიღმა? თავდაჯერებული და მშვიდი, ამასთან საკმაოდ არაორდინარული. რეო-კოკერის თქმით, ეშლი "ცოტა ვერ არის", რადგან მასთან საუბარი ერთობ სერიოზული გამოცდაა ნებისმიერი ადამიანისთვის. ის საკმაოდ უცნაური მოსაუბრეა. ერთადერთი სერიოზული პრობლემა, რაც იანგს აწუხებს, ესაა თავად ქალაქი, სადაც მას ცხოვრება უწევს – ბირმინგემი. ის თვლის, რომ "ეს არაა ის ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრებას ინატრებდა". ამიტომ მისი მეუღლე და შვილი დღემდე სტივენიჯში ცხოვრობენ. გარკვეულწილად მას აქვს საამისო მიზეზი, რადგან ქალაქში სულ რამდენიმე დღის ჩასულს დანის მუქარით ფული გამოსძალეს. ეშლის უყვარს სწრაფი მანქანები. ამიტომაც მუდამ BMW-თი მოძრაობს. ბავშვობაში "არსენალს" ქომაგობდა და **იან რაიტზე** ამოსდიოდა მზე და მთვარე.

ეშლის იანგს ისღა დარჩენია, ცხოვრებით დატკბეს და აღებული ტემპი შეინარჩუნოს. მას ხომ ერთადერთი მწვერვალიღა დარჩა დასაპყრობი – ინგლისის ნაკრების მარცხენა ფლანგი... თუ ასე გააგრძელა, ფეხბურთელი მიზანს აუცილებლად მიაღწევს.




ვარსკვლავი

# მოურინიო დროგბას გადასწვდა

## წიგნში გაკეთებული კომენტარისათვის კოტდივუარელს სასჯელი ელოდება

**ჟოზე მოურინიომ** იტალიურ პრესას განუცხადა, რომ ახლა, როცა ის აღარ არის "ჩელსის" მწვრთნელი, შეუძლია, ბევრ ისეთ თემაზე ილაპარაკოს, რაზეც ინგლისში ყოფნისას თავს შეიკავებდა. აი, რა თქვა „ინტერის" დამრიგებელმა: *"შემიძლია, გამოგიტყდეთ, რომ დიდიე დროგბა დიდი ყურუმსალი ვინმეა. მას შესანიშნავად ეხერხება მსაჯების გაცურება, განსაკუთრებით - საჯარიმო მოედანში. ჩემს გუნდს ამით რამდენჯერმე უსარგებლია კიდეც. გეტყვით იმასაც, რომ ამ საქმეში არანაკლები ოსტატები არიან კრისტიანო რონალდო, რობინ ვან პერსი და ფერნანდო ტორესი. დავაკვირდი, რომ ინგლისში მწვრთნელები ბავშვებს ფეხბურთის თამაშს ასწავლიან. ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში კი - სხვა და სხვა ეშმაკობებს, რათა ნებისმიერ ფასად მოიგონ თამაში... კუნძულელებს სძულთ სიმულიანტი ფეხბურთელები. ზემოხსენებული ვარსკვლავები, დიდი ხანია, ინგლისში ასპარეზობენ. ამიტომაც ცდილობენ, აღარ იაფერისტონ... არც მე მიყვარს სიმულიანტობა, მაგრამ არც ის მიყვარს, როცა თავდამსხმელის წინაალმდეგ უხეშობენ, ის კი ცდილობს, არ წაიქცეს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, გოლი შეაგდოს. იშვიათად მინახავს, მსაჯს პენალტი დაენიშნოს მაშინ, როცა ფორვარდი მიწაზე არ ეცემა. ასეთი შემთხვევებისას არბიტრის იმედად ყოფნა გულუბრყვილობაა."*

**დროგბას** შესახებ კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ცოტა ხნის წინ „ჩელსის" თავდამსხმელმა ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა. დიდიემ ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ფინალი გაიხსენა. „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოსკოვური მატჩისას ის **ნემანია ვიდიჩს** წაეკიდა, რის გამოც მინდვრიდან მიაბრძანეს. თავდამსხმელის წერს, რომ მას ვიდიჩისათვის ხელი ამ გაურტყამს. ამიტომ წითელი ბარათს არ იმსახურებდა - მაგრამ რაკი გამაძევეს, კარგი იქნებოდა, ვიდიჩისათვის ნამდვილად დამერტყაო.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას დიდიეს განცხადება არ გამორჩენია. მან გამოძიების ჩატარება გადაწყვიტა. დროგბა, შეიძლება, დიდი თანხით დააჯარიმონ. ეს არ იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ფეხბურთელს ავტობიოგრაფიაში გამოქვეყნებული კომენტარებისათვის გაასამართლებენ. 2002 წელს **როი კინს** ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 150 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. მან თავის წიგნში აღიარა, რომ „ლიდს იუნაიტედის" ნახევარმცველ **ალფ ინგე ჰაალანდს** ტრავმა განზრახ მიაყენა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ნორვეგიელმა ფეხბურთელმა კარიერის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

დროგბასთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ ფეხბურთელი ავტობიოგრაფიის გაყიდვით მიღებულ მთელ შემოსავალს კოტ დივუარში ლტოლვილი ბავშვებისათვის კლინიკის აშენებას მოახმარს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# მძიმეთი მძიმედ დავიწყეთ

## ბანგკოკიდან კოკა წყალს ველარ მოიტანს

გუშინ, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატი დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის, რომელიც ახალი წესებით ტარდება. პირველი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები უმედლოდაა.

ჩვენი დელეგაცია ტაილანდში სტამბოლის გავლით ჩაფრინდა, სასტუმრო "ჩაალენაში" დაბინავდა, რომელიც დარბაზთან ახლოსაა. ჩვენ ბანგკოკში ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელ მდივანს, **ზურაბ უსუფაშვილს** დავუკავშირდით: "სასტუმრო დარბაზთან ახლოსაა, ორგანიზატორებიც კარგად დაგვხვდნენ. პრობლემები, თითქოს, არ არის. ერთი ეგაა ნორმალურ დარბაზში, რომელიც 8 ათას მაყურებელს იტევს, ხალხი ცოტაა. მსოფლიოს ჩემპიონატის აფიშები მხოლოდ დარბაზის სიახლოვეს ვნახეთ. 12-მილიონიან ქალაქში თითქმის არაფერი იცის, იქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ. თუმცა რომელ ძიუდოზეა ლაპარაკი, როცა მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ქვეყნის პრეზიდენტის სახელი, მხოლოდ ორმა მათგანმა გაიხსენა, რა ჰქვია მათ მეფეს".

შეჯიბრების პირველ დღეს ბიჭებში (მთავარი მწვრთნელი **ბორის ფირცხელიანი**) მხოლოდ მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლები გაიმართა, გოგონებში კი ორ წონაში გაირკვა მედალისტთა ვინაობა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია – გუშინ გოგონებში უფრო წარმატებულად გამოვედით.

მძიმე წონაში **ლევან მუქერია** ჭიდაობდა. ის პირველ წრეში მონღოლ **სუგარჯარგალ ბოლდპურევს** შეხვდა. მუქერია შედარებით ტანდაბალია, მონღოლი კი, პირიქით – ახმახი. მართალია, მონღოლმაც ვერაფერი დაუპირისპირა ჩვენებურს, მაგრამ ლევანმა ორი შიდო (გაფრთხილება) მიიღო, მეტოქემ კი მხოლოდ – ერთი. ის ამ ნაგების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა.

გოგონებში (მთავარი მწვრთნელი **გია თენაძე**), **ნაია ვეშაგურმა** (48 კგ) ფილიპინელი **ნადინ ენკარნასიონი** ბეჭებზე გააკრა, მეორე წრეში კი მან იპონით წააგო რუმინელ **დუმიტრუსთან** და ტურნირს დაემშვიდობა. **მაია ტარუაშვილმა** (52 კგ) მაკაოელ **კუან მას** მოუგო ორი ვაზარით. შემდეგ კი მან ევროპის ჩემპიონ პოლონელ **კუბანთან** წააგო იუკოთი, თუმცა ეს იუკო საეჭვო იყო. ვეშაგური და ტარუაშვილი ახალი წესების პირველი მსხვერპლნი შეიქნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეტოქეები ნახევარფინალში გავიდნენ, ისინი ტურნირს დაემშვიდობნენ. თუ რატომ, ქვემოთ აგიხსნით.



მაია ტარუაშვილი

დღეს ბიჭებში ორ წონით კატეგორიაში გაიმართება შეჯიბრება. 100 კგ-ში **კონსტანტინე მუკვანი** იჭიდავებს, ხოლო 90-ში ჩვენი მთავარი იმედი, **ვარლამ ლიპარტელიანი**. ლიპარტელიანი პირველ წრეში კანადელ **ლუკას მოზდზენს** შეხვდება, ხოლო მუკვანი – **სტეფან ცვაიერს** (კანადა).

*"კენჭისყრამ ნაკლებად გაუმართლა ვარლამ ლიპარტელიანს, თუმცა თავად ვარლამი ამას ნაკლებად დარდობს, იმედიანადაა, რომ ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ გაახარებს. გუნდში კარგი განწყობილებაა, ტრავმები არავის აწუხებს. წესებში ცვლილებებს ტესტის სახით ახორციელებს საერთაშორისო ფედერაცია, თუ გაამართლებს, ყველა ცვლილებას წესად დაამკვიდრებს. ჯერჯერობით, ახალი წესები ძიუდოისტებს და მსაჯებს აბნევს, თუმცა, პირადად, სიახლეები მომწონს – ძიუდო უფრო დინამიკური გახდა. ყველაზე დიდი ცვლილილება ისაა, რომ კოკა გაუქმდა. აგრეთვე შეიცვალა შიდოს მიღების კრიტერიუმები, თუკი ძიუდოისტი წრიდან გავა, ბრძოლა მაშინვე აღარ წყდება, ამის გამო ადრე ხშირად იყო პაუზები, გამარტივდა რეპეშაჟი – ახლა მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხებულები აგრძელებენ ბრძოლას ბრინჯაოს მედლისთვის, ადრე პირველ წრეებში დამარცხებულიც კი გადიოდა რეპეშაჟში, თუკი მისი მძლეველი ნახევარფინალში გააღწევდა"*, - გვითხრა უსუფაშვილმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. 23-26 ოქტომბერი. ბანგკოკი (ტაილანდი)

**გოგონები**

**48 კგ.**

1. სარა მენდესი (ბრაზილია); 2. დერია ჩიბირი (თურქეთი); 3. იუმი ასაკა (იაპონია); 3. გლინის როხოტი (ჰოლანდია)

**52 კგ.**

1. ჩიჰო კაგაია (იაპონია), 2. შაჰარ ლევი (ისრაელი), 3. ბარბარა მაროში (უნგრეთი); სუზი ციმერმანი (გერმანია).

**ბიჭები**

**+100 კგ.**

1. ტედი რინერი (საფრანგეთი); 2. მასარუ მომოსე (იაპონია); 3. მაგომედ ნაუმუდინოვი (რუსეთი); 3. ჰაო ვანგი (ჩინეთი)

ჩოგბურთი

# ჩიხლაძე ფინალშია

ზედიზედ მეორე კვირაა, საფრანგეთში **ლადო ჩიხლაძე** წყვილთა თანრიგში „ფიუჩერსის" სერიის ტურნირის ფინალში გადის. გასულ კვირას ლადომ ლა როშში ტიტულის მოგება შეძლო. როდეზში მას და ახალ პარტნიორ **რაბი ჩაკის** (მაროკო) ფინალური ორთაბრძოლა დღეს ელის. ტურნირის ნახევარფინალში მათ **ინსაუსტის** და **პენოს** ფრანგული დუეტი დაამარცხეს – 6:3, 6:4. ფინალში მათი მეტოქეები მე-2 ნომრად განთესილები, **ჟერემი ბლანდინი** და **მატიუ როდრიგესი** (საფრანგეთი), იქნებიან.

პუატიეს ტურნირის (100 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში დამარცხდა **მაკა ჩახნაშვილი**. მაკა და უკრაინელი **იულია ბეიგელციმერი** მე-4 ნომრად განთესილ ჩეხურ დუეტთან (**ჩეტკოვსკა, საფაროვა**) ვერას გახდნენ – 4:6, 4:6. მაკა პუატიეს დაემშვიდობა, რადგან ერთეულებში ძირითად ბადეში ვერ გააღწია.

ესპანურ სანტ კუგატში (10 ათასი) 16 წლის თანამემამულეს, **ეკა გორგოძეს** ვერ აჰყვა მასზე 4 წლით უფროსი **სოფიო ქვაცაბაია**, რომელმაც პირველ წრეში მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ **ფედერიკა კუერსიასთან** წააგო - 4:6, 2:6. მერვედფინალში ეკა გორგოძე 18 წლის ჩინელ **ლი სის** ეთამაშება.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

## პლეი ოფში ფრანგები იმსაჯებენ

საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ხვალ და ზეგ ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართება. პლეი ოფის ოთხი მონაწილიდან სამის ვინაობა ცნობილია: „ლოკომოტივი", „ლელო" და „ყოჩები". მეოთხე მონაწილე ბოლო ტურში გაირკვევა. პრეტენზიას სამი გუნდი - „უნივერსიტეტი", „აია" და „აკადემია" აცხადებს.

პლეი ოფის ოთხივე შეხვედრას, საქართველოს რაგბის კავშირის მოწვევით, ფრანგი არბიტრები განსჯიან. 30 ოქტომბერს შესარჩევ ფინალსა და წინასწარ ფინალს **ბერნარ დალ მასო** და **პატრიკ პეშამბერი** მოემსახურებიან. 4 ნოემბერს მცირე ფინალს **ჟერომ ლამირანი** იმსაჯებს. მთავარი ფინალის არბიტრი კი 9 ნოემბერს **მატიე რეინალი** იქნება.

ოთხივე შეხვედრა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება.

## ბორჯღალოსნები შოტლანდიაში ორ მატჩს გამართავენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 14 ნოემბერს ედინბურგში შოტლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდება. თამაშისთვის მოსამზადებლად ბორჯღალოსნები 9 ნოემბერს საფრანგეთში შეიკრიბებიან.

ჩვენს ეროვნულ გუნდს, კიდევ ერთი შეხვედრა საფრანგეთში ან იტალიაში უნდა გაემართა. თუმცა როგორც გაირკვა, ქართველ მორაგბეებს შორს გამგზავრება აღარ მოუწევთ და იქვე, 18 ნოემბერს ედინბურგის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

15 ნოემბერს კი, საქართველოს ნაკრები, შოტლანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების ტესტმატჩსაც დაესწრებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქართული ჭიდაობა



სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორი გელა ჯავახიშვილი ღია ტურნირის აბსოლუტურ ფალავან დიმიტრი ტურაშვილს აჯილდოებს

# მოთელვა ფალავნობის წინ

გუშინ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში (ცენტრის დირექტორი **დოდო ჟორჟოლიანი**) უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, პროფესორ **გელა ჯავახიშვილის** ინიციატივითა და ხელშეწყობით, ქართული ჭიდაობის ზეიმი გაიმართა. ხალიჩაზე შვიდი უნივერსიტეტისა და ფალავანთა კლუბის წარმომადგენლები გამოვიდნენ. თავიდან წონითი კატეგორიების მიხედვით (მთავარი მსაჯი **სპარტაკ ჯინორიძე**) გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ. ყველაზე დიდი ინტერესი აბსოლუტურმა ფალავნობამ გამოიწვია, რადგან ჩემპიონს მედალთან ერთად მთავარ პრიზად ყოჩი ელოდა. წინასწარი ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს შარშანდელი ვიცე-ფალავანი **დიმიტრი ტურაშვილი** და ცნობილი მოჭიდავის **მალხაზ ბერუაშვილის** ვაჟი **შავლეგო**. გამოცდილებამ თავისი გაიტანა - ტურაშვილმა მცირე უპირატესობით აჯობა ახალგაზრდა მეტოქეს.

- ქართული ჭიდაობა ჩვენი ერის უკვდავი საუნჯე, ქართული გენისა და სულის გამოვლინებაა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მის აღორძინება-პოპულარიზაციაში საკუთარი წვლილი შევიტანოთ, - გვითხრა ბატონმა გელა ჯავახიშვილმა, - უნივერსიტეტის ღია პირველობის გამართვის იდეა შარშან დაიბადა. ვეცდებით, იგი ტრადიციული გავხადოთ და უფრო დიდი მასშტაბები შევძინოთ. ჭიდაობისა და ქართული ჭიდაობის ფედერაციებს ვთხოვთ, ეს შეჯიბრება თავიანთ კალენდარში ისეთ დროს ჩასვან, რომ მასში მონაწილეობა უძლიერესმა ფალავნებმაც შეძლონ.

**იური იმერლიშვილი**, ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: სასიამოვნოა, რომ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პირადად მისი რექტორი გელა ჯავახიშვილი ასეთ ყურადღებას აქცევს ქართულ ჭიდაობას. კარგი იქნება, ამ წამოწყებას სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც მხარს თუ აუბამენ.

**- წლევანდელ საქართველოს ფალავნობაზე რას გვეტყვით?**

- საბედნიეროდ, ეს საკითხი სპორტის დეპარტამენტის დახმარებით დადებითად გადაწყდა. დროულად გამოიძებნა სახსრები მის ჩასატარებლად. შეჯიბრება 30 ოქტომბერს ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში 12 საათზე დაიწყება. უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. მოასპარეზეთა შორის იქნებიან საქართველოს შვიდგზის ფალავანი **ალექსი დავითაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე** და სხვები. გამარჯვებული 3 ათას ლარს მიიღებს; მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, ორი ათასი და ათასი ლარით დაჯილდოვდებიან. შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ღია პირველობა ერთგვარი რეპეტიციაც კი იყო მომავალი დიდი შეჯიბრების წინ.

**ვაჟა დანელია**

**პრიზიორები**

**60 კგ**

1. გიორგი გუჯეჯიანი (სსუ)
2. ბიძინა გოგოჭური (სსუ)
3. გიორგი კალომლეწავი (სსუ)

**65 კგ.**

1. გიორგი ძიზიძელაშვილი (სსუ)
2. ოთარ ველთაური (სსუ)
3. კახა ცუცქირიძე (სამედ. უნ.)

**70 კგ.**

1. რევაზ აბელაშვილი (სსუ)
2. დავით ლომიძე (სსუ)
3. დიმიტრი მუმლაძე (ჭავჭ. უნ.)

**75 კგ.**

1. ამბაკო ავალიანი (სსუ)
2. მანუჩარ მარგიანი (ჭავჭ. უნ.)
3. ხვიჩა წიკლაური (თსუ)

**80 კგ**

1. ზაქრო ფოლადაშვილი (სამედ. უნ.)
2. შალვა ბიბილაშვილი (ჭავჭ. უნ.)
3. დიმიტრი მაისურაძე (სამედ. უნ.)

**90 კგ**

1. გიორგი ცოციაშვილი (სტუ)
2. ლევან ნოზაძე (სამედ. უნ.)
3. დავით ფიცხელაური (სსუ)

**აბსოლუტური ფალავნობა**

1. დიმიტრი ტურაშვილი (ფალ. კლუბი)
2. შავლეგო ბერუაშვილი (სსუ)
3. მიხეილ აბრამიშვილი (ჭავჭ. უნ.)

თავისუფალი ჭიდაობა

# ონის ტრადიციული

ონმა გიორგი სხირტლაძისა და შურა მაისურაძის სახელობის ჭაბუკთა ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა რაიონის და ქალაქის 120 ნორჩი მოჭიდავე ჩაერთო.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 26 კგ - **ალეკო ხიდეშელი** (ონი), 29 კგ - **აგელ მაგომედოვი** (ქარელი), 32 კგ - **გიორგი ხელავა** (ქუთაისი), 35 კგ - **ხალიმ მახმუდოღლი** (ქარელი), 38 კგ - **არტურ მოდოსიანი**, 42 კგ - **ხვთისო იორამაშვილი**, 46 კგ - **თორნიკე ასწრაფაშვილი** (სამივე - გორი), 50 კგ - **ალეკო ხაჩატურიანი** (ყვარელი), 54 კგ - **კახაბერ ელბაქიძე** (გორი), 58 კგ - **ლაშა გომელაური** (გარდაბანი), 63 კგ - **კოტე ხაბელაშვილი**, 69 კგ - **ჯაბა ყველაშვილი**, 76 კგ - **ავთანდილ გიგაშვილი**, 85 კგ - **ვანო პეტრიაშვილი** (ყველა - გორი), 100 კგ - **ტარიელ ლაბაძე** (გარდაბანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



ავტორის ფოტო

## ფოთი პირველია, დღეს მეორე გაირკვევა

ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გუშინ საქართველოს ჭაბუკთა პირველობის მატჩები გაიმართა. თბილისური ტურნირის ბოლოს წინა ტურში „ფოთმა“ პირველი ადგილი დაიბევა. ზღვისპირელებმა უპრინციპულეს მატჩში „რუსთავს“ ერთი ბურთით აჯობეს და ეროვნული ჩემპიონატის საგზური დაიბევეს.

გათამაშება დღეს დასრულდება. უმნიშვნელოვანესია „რუსთავისა“ და „სამტრედიის“ შეხვედრა, რომელიც მეორეადგილოსანს და შესაბამისად, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მონაწილეს გაარკვევს.

სატურნირო ცხრილში „ყვარელი“ ამ ორი გუნდის გვერდითაა, მაგრამ კახელებმა ტურნირი უკვე დაასრულეს.

| | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ფოთი | 5 | 1 | 0 | 11 |
| 2. რუსთავი | 4 | 0 | 1 | 8 |
| 3. სამტრედია | 4 | 0 | 2 | 8 |
| 4. ყვარელი | 3 | 2 | 1 | 8 |
| 6. ქუთაისი | 2 | 0 | 4 | 4 |
| 5. ძარიშხალა | 1 | 1 | 3 | 3 |
| 7. გორი | 0 | 0 | 6 | 0 |

ფოთი-რუსთავი 31:30
სამტრედია-გორი 38:23
ყვარელი-ქუთაისი 27:24

**დღეს:**

11:00 ქუთაისი-ძარიშხალა
12:30 რუსთავი-სამტრედია
14:00 გორი-ფოთი

**ლევან ჯანეზაშვილი**

### სტუ-ში ისევ გაურკვევლობაა

მას შემდეგ, რაც სტუ-"თელავი" აღარ არსებობს, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს. სტუ-"შევარდენი" უსახსრობის გამო ჯერჯერობით, სრულ გაურკვევლობაშია. ხელბურთის ფედერაციაში განაცხადის შეტანის ბოლო ვადა 29 ოქტომბერია და თუ ამ დღემდე საქართველოს მარადიულმა ჩემპიონმა საჭირო ფინანსები ვერ მოიძია, ჩემპიონატი მის გარეშე ჩაივლის.

ყველაფრის მიუხედავად, სტუ-"შევარდენს" ვარჯიში არ შეუწყვეტია. **ირაკლი კეკელიძე** კვლავ ახალგაზრდულ შემადგენლობას ავარჯიშებს. გუნდს უკვე შეუერთდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **რატი მსხვილიძე**, რომელიც ბოლოს ისლანდიაში ასპარეზობდა.

*"ჯერ კიდევ გვაქვს იმის იმედი, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გამოყოფას შეძლებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. თუ ჩემპიონატში ვერ ვითამაშეთ, გუნდი მაინც არ დაიშლება და ფორმს ამხანაგური მატჩებით გავალთ",* - გვითხრა, სტუ-"შევარდენის" მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი კეკელიძემ**.

შეგახსენებთ, რომ თუ სტუ-მ ჩემპიონატში ასპარეზობა ვერ შეძლო, მის ადგილს ჭაბუკთა პირველობის მესამეადგილოსანი დაიკავებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ოლიმპიზმი

## ოლიმპიელები მოსწავლეთა სასახლეში



ნინო სალუქვაძე

თბილისის მოსწავლეთა სასახლეს, თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყნის თუ უცხოეთის არაერთი გამოჩენილი პიროვნებისა და ჯგუფებისთვის უმასპინძლია. ამ კარგი ტრადიციის გაგრძელება იყო გუშინდელი შეხვედრაც, რომელიც არასდროს დაავიწყდებათ სასახლეში საზეიმო შეხვედრაზე მიწვეულ პეკინის ოლიმპიადის ქართველ გმირებს. ნორჩებმა და მათმა აღმზრდელებმა ჩვეული სითბოთი უმასპინძლეს ოლიმპიადის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, ვეტერანი პედაგოგის **გრიგოლ ჩიგოგიძის** სცენარით უჩვენეს თავიანთი ხელოვნება, რომელიც ყველთვის და ყველას თვალში წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

დარბაზი ფეხზე წამომდგარი, ოვაციით მიესალმა **ნინო სალუქვაძეს, მანუჩარ კვირკველიას, რამაზ ცირეკიძეს, ოთარ თუშიშვილს** და **გიორგი გოგშელიძეს**. სტუმრებს მიესალმა სასახლის დირექტორი **გიორგი შალამბერიძე**, საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის ხელმძღვანელი **ნანა ალექსანდრია**, სეოკ-ის პრეზიდენტი **გოგი თოფაძე**, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი**, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**, ჟურნალისტები **ჯამლეტ ხუხაშვილი** და **პაატა ნაცვლიშვილი**.

შეხვედრის შემდეგ ოლიმპიელებმა ავტოგრაფები დაურიგეს სასახლის აღსაზრდელებს.

**თენგიზ თომაშვილი**

## ლექცია ოლიმპიურ მუზეუმში



ვაჟა კაჭარავასთან

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ მუზეუმში პირველად ჩატარდა გასვლითი ლექცია ოლიმპიზმის ისტორიაში. მსმენელები იყვნენ ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის“ პირველი კურსის სტუდენტები. ოლიმპიზმის ისტორიაზე მათ სეოკ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ოლიპიურ თემაზე რამდენიმე წიგნის ავტორმა **დავით კინწურაშვილმა** მოუთხრო. იქვე პირველკურსელებს შეხვდა და ესაუბრა ტოკიოს (1964) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრენბურთში **ვაჟა კაჭარავა**.

## სალუქვაძე არტესმა ოროთახიანი ბინით დააჯილდოვა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი – **ნინო სალუქვაძე** 2-ოთახიანი ბინით დაჯილდოვდა. სალუქვაძე, ვინც საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას პეკინში პირველი მედალი მოუტანა, ბინით სამშენებლო კომპანია „არტესის“ დამფუძნებელმა – **ზაზა კაპანაძემ** დაასაჩუქრა. დიღმის მასივში მშენებარე კორპუსში ბინა გაისად დასრულდება. სალუქვაძის დაჯილდოების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატი - **გია ნაცვლიშვილი** გახლდათ, რომელიც გუშინდელ ცერემონიას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურთან** ერთად დაესწრო და სალუქვაძის მიღწევას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძიუდოში **ირაკლი ცირეკიძემ** სამი სამშენებლო კომპანიისგან მიიღო ბინები. ასევე ჩემპიონები - მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა) ორ-ორი ბინით დასაჩუქრდნენ, ხოლო კიდევ ერთ ბრინჯაოსანს ოთარ თუშიშვილს (თავისუფალი ჭიდაობა) ერთი ბინა გადაეცა.

**დავით ნამგალაური:** *„ნინო სალუქვაძის წარმატება ჩვენთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი იყო. ნინომ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა იმ დროს, როდესაც ჩვენ ყველანი უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ვიყავით და ამ მედალმა მართლაც რომ სტიმული მოგვცა. თავადაც მეტის მიღწევა შეეძლო, იარაღს რომ არ ემტყუნა. ამ მონაპოვარით ნინომ თავის ოლიმპიური კოლექცია ყველა სინჯის მედლით შევსო, რაც მართლაც გამორჩეული მოვლენაა. ვიმედოვნებთ, რომ ნინო 2012 წლის ოლიმპიადაზეც დაიცავს საქართველოს ღირსებას.“*

**გია ნაცვლიშვილი:** *„ნინო სალუქვაძე ლეგენდაა. 6 ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა, რაც უდიდესი მიღწევაა, ხოლო ის, რომ ნინოს უკვე სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული - მართლაც უნიკალურია. ამ შედეგით ნინო ჩვენ მესამე ადგილზე შეგვიძლია დავაყენოთ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის - ვიქტორ სანეევისა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის - ლევან თედიაშვილის გვერდით. ასეთი სპორტსმენები კი აუცილებლად უნდა დავაფასოთ.“*

**ნინო სალუქვაძე:** *„კომპანია „არტესის“ მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. ასევე მადლობელი ვარ თანადგომისათვის გია ნაცვლიშვილისა და დავით ნამგალაურის. ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ მართლაც გულს მწყვეტდა ის ფაქტი, რომ ყველას მიღწევას აღნიშნავდნენ, მე კი თითქოს განზე ვრჩებოდი. ასევე მადლობა მსურს გადავუხადო ჟურნალისტებს, რომლებმაც ჩემი გულსატკივილი გაიზიარეს და სრულიად დამოუკიდებლად არაერთი სტატია დაწერეს, რითაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის აზრი გამოხატეს“*

**ზაზა კაპანაძე:** *„ჩვენმა კომპანიამ ნინო სალუქვაძის ბინით დასაჩუქრებით საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა მის მიმართ. „არტესი“ ქართველი სპორტსმენების მხარში დგომას სამომავლოდაც განაგრძობს.“*

**გიორგი ჭანიშვილი**

ავტოსპორტი

ინტერვიუ გიორგი ფირცხალაიშვილთან

# ქართული ავტოსპორტის მომავლის მჯერა!



**გიორგი ფირცხალაიშვილი ავტოსპორტში უცხო კაცი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობიდან მოსდევს ავტომობილების სიყვარული. დაიბადა თბილისში, 30 წლისაა. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავტომანქანებისა და საავტომობილო მეურნეობის სპეციალობით. პროფესიიდან გამომდინარე, გიორგიმ ავტორბოლებში მოსინჯა ბედი.**

**- გიორგი, როდის დაუმეგობრდი ავტოსპორტს?**

- 2002 წლიდან სერიოზულად ჩავერთე ქართულ ავტოსპორტში. მეგობარ ავტომრბოლებთან ერთად ჩამოვაყალიბე ავტომობილისტთა კლუბი. 2005 წელს შევიძინე „ჰონდა სივიკი“ და დღემდე ამ მანქანით ვასპარეზობ. იმავე წელს, ევროპის ჩემპიონატის ეტაპზე, მეოთხე ადგილი დავიკავე. ახალი სეზონიდან, სხვა მანქანის შეძენას ვაპირებ.

**- უახლოეს ხანში, წრიულ რბოლაში საქართველს ჩემპიონატის ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი უნდა გაიმართოს. ჩემპიონობის კანდიდატი ორია - ოთარ თავართქილაძე და არჩილ ბიძინაშვილი. დაახასიათე თითოეული და ახსენი - ვის რა შანსი აქვს?**

- ორივე ძლიერი პილოტია და დღემდე, უკვე მერამდენედ, დაძაბული პაექრობით მოდიან, რაც მაყურებელს ძალიან მოსწონს. ჩემი აზრით, ოთარ თავართქილაძეს გაჩემპიონების უფრო მეტი შანსი აქვს.

**- მანქანის ექსტრემალური მართვის სკოლაში თუ მოღვაწეობ?**

- დიახ, ვეხმარები კოლეგებს. ერთად ვასწავლით ავტომობილების მომავალ მფლობელებს ექსტრემალურ პირობებში მართვას.

**- ცოტაოდენი უცხოურ ავტოსპორტზეც ვილაპარაკოთ. შენთვის რომელი უფრო ახლოსაა, ფორმულა 1 თუ რალი? რომელ პილოტებს გულშემატკივრობ და რატომ?**

- რალი მირჩევნია. „ფორდის“ ფინელ პილოტს, მიკო ჰირვონენს ვგულშემატკივრობ. მომწონს მანქანის მართვის მისი სტილი და, რაც ყველაზე საჭიროა ავტოსპორტში, მოთმინება. თურქეთში გახლდით, რალიზე და იქ სწორედ მას შევხვდი, ასევე „სუბარუ იმპრეზათი“ მოასპარეზე ნორვეგიელ, პეტერ სოლბერგს, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს.

**- როგორ მოგწონს მოტორბოლაში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების იდეა? რაღაც სუპერბაიკის ტურნირის მსგავსი შეიძლება იყოს. ქართველებში ავტომობილთან ერთად ხომ მოტოციკლიც პოპულარულია. მგონი, ურიგო არ უნდა გამოვიდეს.**

- მოტორბოლა ძალიან კარგია , მაგრამ ჯერჯერობით შესაფერისი ტრასა არ გვაქვს. თუ მთავრობისგან მხარდაჭერა იქნება, რა პრობლემაა, მოტოსპორტიც განვითარდება საქართველოში.

**- როგორ გგონია, აქვს თუ არა ქართველ ავტომრბოლს უცხოეთში გამოსვლის და იქ უმაღლეს დონეზე ასპარეზობის შანსი?**

- დიახ, ჩვენ, ყველა სახეობაში მოასპარეზე ავტომრბოლებს, შეგვიძლია ჩვენი სიტყვა ვთქვათ მსოფლიოში, თუ მხარში ამოგვიდგებიან.

**- რა სიახლეებია საქართველოს ჩემპიონატში?**

- მომავალი წლიდან ბევრი ახალი ღონისძიება იგეგმება და ხელისუფლებაც შეგვპირდა დახმარებას. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად წინ მიდის ქართული ავტოსპორტი. მისი მომავლის მჯერა!

ესაუბრა
**დავით ჩუბინიძე**

**„ლელოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი**

**ვაჟა ჭიაურელი**

**და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

ჭადრაკი

# მეოთხეში ოთხოსნები ქართველებს არ გვყავს

მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ტურმაც ჩაიარა და ზოგ შემთხვევაში ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო შედეგები მივიღეთ: პირველ რიგში იმას ვგულისხმობთ, აქამდე ქულადაუკარგავები რომ შეფერხდნენ, თორემ საერთო სურათი კვლავაც პერსპექტიულია ჩვენთვის. გუშინ ყაიმით ითამაშეს **მერი არაბიძემ** და **მერი ყორყოლიანმა** და მათ 3,5-3,5 ქულა აქვთ. საბედნიეროდ, მათ წინ მხოლოდ თითო-ოროლა მეტოქეა, რაც 4 გათანაბრების საშუალებას, ცხადია, იძლევა. 3,5 ქულა მოუგროვდა და სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა **ნათია ჯალაბაძემ**, რომელმაც შავებით დაჯაბნა მეტოქე. სამწუხაროდ, შავებით დამარცხდა **მარიამ დანელია** და ლიდერებს ჩამორჩა. **ქეთი წაწალაშვილმაც** ვერ მოიგო, ოღონდ არც წაუგია – შავებით ყაიმს გამორჩა. ქეთი კვლავაც ლიდერებში რჩება. ათწლამდელებში **ნინო ხომერიკმა** გაგვახარა და გაიმარჯვა, რის შემდეგაც 3 ქულას მოუყარა თავი და წინა რიგებში გადაინაცვლა. **ანა შამათავამ** თეთრებით იწვნია მარცხი. მას 2,5 ქულა დაურჩა, რაც არც ისე ცოტაა და თამამად შეუძლია პრიზიორობაზე ფიქრი.

ვაჟებში თორმეტწლამდელმა **გიგლა ბენიძემ** ყაიმით ითამაშა და 2 ქულა გაუხდა. ეს მარაგი საკმაოდ ჩამორჩება ლიდერთა მოზრდილ ჯგუფს. თოთხმეტწლამდელმა **ნოდარ ლორთქიფანიძემ** გაიმარჯვა და სამი ქულა აქვს, რაც სოლიდური შედეგია. **ლევან ბრეგაძეს** კი რამდენიმე მეტოქესთან ერთად ცხრილის სათავეში ვხედავთ – გუშინ შავებით იმარჯვა და 3,5 ქულა აქვს მეხუთე ტურის წინ. ბრეგაძე დღეს თეთრებით ხვდება თურქ **მუსტაფა ილმაზს**, რომელსაც ზუსტად იმდენივე რეიტინგ-ქულა აქვს, რამდენიც ქართველს – 2387, თუმცა ჩვენებურის გამარჯვების უფრო გვწამს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში თურქულმა ჭადრაკმა საკმაოდ წინ წაიწია და ახალგაზრდა თურქები აქა-იქ წარმატებებსაც აღწევენ, მაინც ქართული საჭადრაკო სკოლის სიძლიერემ უნდა აჯობოს...

თვრამეტწლამდელებში **ლუკა პაიჭაძემ** საკუთარ მარაგს ნახევარი ქულა შემატა. ეგებ მეტსაც ველოდით გუშინდელ შეხვედრაში მისგან, მაგრამ მეტოქედ ჩინელი ჰყავდა და თანაც შავებით თამაშობდა. ერთი კია, რომ ჩინელი ქართველს ლამის 200 პუნქტით ჩამორჩებოდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩინური საჭადრაკო სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში და დაბალრეიტინგიანების კვალიფიკაციაც კი ძალიან მაღალია.

ტურნირი ეკვატორს უახლოვდება. ჩვენებურებს წმინდა საჭადრაკო პრობლემები არ აწუხებთ, მაგრამ იქაური კლიმატი ვერ არის მთლად მოსაწონი, - საშინლად ცხელა და სუნთქვა გვიჭირსო, დაიწუწუნეს ქართველებმა. აზიელთათვის ეს ფაქტორი, შესამჩნევი ჰანდიკაპია, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ამ უპირატესობის გაბათილებას ქართველები მაღალი საშემსრულებლო კლასითა და გამოცდილებით შეძლებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

კალათბურთი



მარჯვნივ გიორგი ცინცაძე

ევროთასი

# ცამეტიანების გარემოცვაში

ისეთი გუნდი, რომელიც ლეგიონერებს მხოლოდ ევროტურნირისთვის იმატებს და საქართველოს ჩემპიონატში არ ათამაშებს, ევროჩელენჯზე "სუმიქიმპრომთან" გასვლაზეც რომ წააგებდა, კარგად მოგეხსენებათ. თუ "ენერჯის" გამოვარდნა ადვილი სავარაუდო იყო, "ტარტუ როკის" ევროთასიდან პირველსავე რაუნდიდან გამოთიშვას ვერავინ იფიქრებდა. **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** გუნდი ხომ შარშან სწორედ ევროთასის ფინალურ ოთხეულში გავიდა.

ავსტრიის "სვანსთან" პირველ მატჩში 22 ქულის სხვაობით დამარცხების შემდეგ "როკერებს" მდგომარეობის გამოსწორება საშინაო შეხვედრაში შეეძლოთ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს - ავსტრიელები ოდენ 75:60 დაამარცხეს და ევროთასს დაემშვიდობნენ.

...არადა, მატჩის პირველ წუთებზე ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ტარტუელებს სჭირდებოდათ. საწყისი პერიოდის ბოლო წუთებზე სანიკიძემ სამქულიანი ჩააგდო, ამას ორი საჯარიმო მიაყოლა, ხოლო მეოთხედის საბოლოო ანგარიში გიორგი ცინცაძის შორეული ტყორცნის შემდეგ დაფიქსირდა - 28:12.

ესტონელებმა უპირატესობა მეორე ათწუთეულში კიდევ უფრო გაზარდეს და დიდ შესვენებაზე 23-ქულიანი ფორით გავიდნენ (48:25). აი, სწორედ ამ სხვაობის შენარჩუნება სჭირდებოდათ მასპინძლებს, რათა მომდევნო ეტაპის საგზური მოეპოვებინათ. თუმცაღა, მეორე ტაიმში აკრეფილი სიჩქარე ოდნავ დააგდეს და, როგორც უკვე ვთქვით, საფინალო სირენამ 15-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა.

ახლა სტატისტიკაზე: გიორგი ცინცაძემ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე 33 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში მან თითო ორქულიანი და სამიანი ჩააგდო, ზედ 8 საჯარიმო მიაყოლა და 13 ქულას გამორჩა. გარდა ამისა, ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზე 7 მოხსნა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრაა. "როკის" მე-13 ნომერმა ვიქტორ სანიკიძემ 13 წუთი ითამაშა და შეტევაში ძველებურად ვერ იაქტიურა. მან მხოლოდ 2 ორქულიანი, ერთი სამიანი და 2 საჯარიმო ისროლა და 5 ქულა მოაგროვა, რასაც 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიამატა. „ტარტუს" სნაიპერი ამერიკელი **ტანოკა ბერდი** გახდა (16 ქულა), ხოლო მატჩის სნაიპერობა ავსტრიელმა **მაიესმა** იკისრა - 23 ქულა ჩააგდო.

მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო ავსტრიელთა დამრიგებელი **ბობ გონენი:**

- მომდევნო ეტაპზე იმიტომ გავედით, რომ ავსტრიის კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე გვყავს - დიტერ მაიესი. მეორე ტაიმში მისი წინამძღოლობით თამაში გამოვასწორეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

"როკის" თავკაცმა **ულარ კერდემ** ყურადღება გაამახვილა 27-ქულიან უპირატესობაზე:

- მესამე ათწუთეულში 27 ქულით დავწინაურდით, მაგრამ მის შესანარჩუნებლად ძალა აღარ გვეყო.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი გიორგი ცინცაძის მოსაზრებაა:

- დღევანდელ წარუმატებლობას ერთი ახსნა აქვს: მეტოქის კალათბურთელები მეოთხე პერიოდში რთული პოზიციებიდან ზუსტად ისროდნენ, ჩვენ კი მათ შესაჩერებლად საკმარისი ენერგია არ აღმოგვაჩნდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ფრენბურთი

# მოგებით უკმაყოფილო



**დუშეთი-ბათუმი 1:3**

23:25, 25:22, 20:25, 14:25

**ჯიკო-ბოლნის 3:0**

25:17, 25:18, 25:19

დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის დარბაზში გრძელდება საქართველოს ქალ ფრენბურთელთა მე-18-ე ჩემპიონატი. გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს „დუშეთი"-„ბათუმი" და „ჯიკო"-„ბოლნისი" დაუპირისპირდნენ.

პირველად სათამაშოდ დუშურ-ბათუმური წყვილი გამოვიდა. მათი შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. „ბათუმი" შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებებით განებივრებული არ იყო, თუმცა წლეულს „თბილისიდან" **ძნელაძისა** და **მეფარიშვილის** დამატებით ეს გუნდი საკმაოდ გაძლიერდა. პირველ შეხვედრაში „ბოლნისთან" თანაბარ ბრძოლაში დამარცხებული ზღვისპირელები გუშინ მოგების ჟინით გავიდნენ სათამაშოდ და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. თუმცა „დუშეთის" გატეხა არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. ბოლო პერიოდს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენ სეტებში დუშელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და წინასწარ ვერავინ იტყოდა, რომელ გუნდს დარჩებოდა უპირატესობა. პირველ პერიოდში ბათუმმა 25:23 მოიგო და დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ სეტში „დუშეთმა" მობილიზება მოახერხა და 25:22 გაიმარჯვა. გადამწყვეტი გამოდგა მესამე სეტი, სადაც ასევე დაძაბულ ბრძოლაში „ბათუმმა" 25:20 სძლია მეტოქეს და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. ამის მერე აჭარულმა გუნდმა ბოლო სეტში იოლად დაამარცხა მეტოქე და საკუთარ აქტივში პირველი ქულები ჩაიწერა.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ჯიკო" წლეულს რომ სრულიად უკონკურენციოდაა, ეს გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. მიმდინარე ჩემპიონატში ერთადერთი გუნდი, რომელსაც ნაკრების ფრენბურთელებით დაკომპლექტებული „ჯიკოსთვის" მეტ-ნაკლები წინააალმდეგობის გაწევა „შეუძლია" - „ბოლნისია". ქვემოქართლელებმა წინა შეხვედრებში „ქუთაისი" და „ბათუმი" დაამარცხეს და „ჯიკოსთან" ერთად სატურნირო ცხრილს ლიდერობდნენ. **დავით ჯანაძის** გუნდმა გუშინაც ბოლომდე იბრძოლა და გულშემატკივრების სიმპათიებიც დაიმსახურა, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა, მხოლოდ მონდომებით ფონს გასვლა შეუძლებელია. გამოცდილმა ჯიხაიშელებმა მეტოქე სამივე სეტში დაამარცხეს და ქულათა მაქსიმუმით სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობენ. სხვათა შორის, „ჯიკოს" მწვრთნელი **ნუგზარ მიქაძე** გამარჯვების მიუხედავად, მისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა: ფრენბურთელები ბევრ შეცდომებს უშვებდნენ და თამაში უნდა გამოვასწოროთო...

ხვალ მორიგი ტურის შეხვედრებში ერთმანეთს „ბათუმი"-„ჯიკო" და „დუშეთი"-„ქუთაისი" დაუპირისპირდებიან. ბოლნისელებს კი ხვალ დასვენება უწევთ.

**დავით კოხრეიძე**
დიდი ჯიხაიშიდან

პროფესიული კრივი

# ცირკში, დაუმარცხებელი უზბეკის წინააღმდეგ

დღეს 21 წლის პროფესიონალი მოკრივე **ბექა საჯაია** ლვოვის ცირკში მორიგ სარეიტინგო ბრძოლას გამართავს. მსუბუქწონასანი ქართველი უზბეკ **ალიშერ რახიმოვს** გაეჯიბრება. ორთაბრძოლა ათრაუნდიანია. საჯაიას პროფესიულ რინგზე 22 შეხვედრა აქვს გამართული, აქედან 16 მოგებული და 1 ფრედ დამთავრებული. ალიშერ რახიმოვი ძლიერი მოკრივეა, უზბეკი WBO-ს ვერსიით რეიტინგით მე-7 ადგილზეა ამ წონით კატეგორიაში. 31 წლის რახიმოვს 17 ორთაბრძოლა აქვს გამართული და ყველა მოგებული. ბოლოს მან ანკარაში (თურქეთი) ქართველი **ნუგზარ მარგველაშვილი** დაამარცხა ნოკაუტით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




# ლიტვური კრიზისი

არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ ლეგენდარული ლიტვური კლუბი "ჟალგირისი" სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის. ამის გამო, გუნდმა საუკეთესო კალათბურთელი და მთავარი მწვრთნელი დაკარგა. **მარკუს ბრაუნი** უფრო საიმედო ადგილას - თელ-ავივის "მაკაბიში" გადავიდა სათამაშოდ, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რიმანტას გრიგასის** ადგილი კი მისმა თანაშემწე **გინტარას კრაპიკასმა** დაიკავა.

ბრაუნმა "მაკაბისთან" კონტრაქტს ორი დღის წინ მოაწერა ხელი. ამერიკელი მცველი ამ გუნდში თანამემამულე **ტრი სიმონსს** შეცვლის და სეზონში მილიონ დოლარს მიიღებს.

იმ ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, რაც ახლა "ჟალგირისში" სუფევს, მარკუს ბრაუნის ლიტვური გუნდიდან გაქცევა მოსალოდნელი იყო. კლუბის ყველაზე ძვირადღირებულმა კალათბურთელმა უფრო მომგებიანი ვარიანტი აირჩია - გადახტა იმ გემიდან, რომელიც აგერ უკვე ორი თვეა იძირება. არადა, თავის დროზე, ამ გემზე ბრაუნი, როგორც ბალასტი, ისე აიყვანეს.

სხვათა შორის, სხვადასხვა გუნდიდან ლამაზი წასვლით მარკუსი არასოდეს გამოირჩეოდა. მოსკოვის ცსკა-ში ორი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, ის პრაქტიკულად გაიქცა გუნდიდან (ორმხრივი შეთანხმებით გაუქმდა მოქმედი კონტრაქტი), რათა ისევ ეცადა ძალები ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მაგრამ საბოლოოდ, ესპანეთის ქალაქ მალაგაში ამოყო თავი, სადაც ადგილობრივ "უნიკახაში" ჩაირიცხა. იქ თავად კლუბის ხელმძღვანელობამ მიუთითა კარისკენ, რადგან ბრაუნმა ტრავმა მიიღო.

სწორედ ამ დროს, მარკუსის კარიერის ყველაზე რთულ მომენტში, ჰორიზონტზე "ჟალგირისი" გამოჩნდა. ტრავმირებული ამერიკელი ლიტვაში "ჟალგირისის" პრეზიდენტ **არვიდას საბონისთან** ძველი მეგობრობის (ისინი "პორტლენდში" ერთად თამაშობდნენ) წყალობით გადაბარგდა. მაშინ საბონისმა ბრაუნს ტრავმის აღდგენისთვისა და გონს მოსასვლელად გარკვეული დრო მისცა, ამერიკელმა კი ლეგენდარულ ცენტრს ვალი არ დაუბრუნა.

"მაკაბი" ბრაუნით ამ ზაფხულს დაინტერესდა, მაგრამ "ჟალგირისთან" მოლაპარაკებებს კალათბურთელის მოქმედი კონტრაქტი უშლიდა ხელს.

13 ოქტომბერს, ლიტვური კლუბის ლეგიონერები (სულ ოთხი კაცი) "ჩემოდნებზე დასხდნენ" და ბალტიის ლიგის მორიგ ტურში "ვალმიერასთან" თამაშზე უარი განაცხადეს. თურმე, მოთამაშეებს სეზონის სტარტიდან არ ჰქონდათ მიღებული ხელფასი და სექტემბრის დასაწყისში, მოსკოვში გამართული გომელსკის თასი პრაქტიკულად ენთუზიაზმის ხარჯზე მოიგეს (იმ ტურნირზე ლიტველებმა ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი ცსკაც კი დაამარცხეს). კრიზისის პირველ ეტაპზე ლეგიონერებს ნერვიულობა დაეტყოთ (**ლორენ ვუდსმა** "ასკ რიგასთან" მატჩში ჩხუბი მოაწყო), შემდეგ კი მოთმინებამაც უღალატა. თუ ლიტველი კალათბურთელები კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინებას დაჰპირდნენ, უცხოელები პირდაპირ ულტიმატუმზე გადავიდნენ. და ეს ყველაფერი ევროლიგის გათამაშების სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე ხდებოდა.

გაფიცვის მეორე დღეს სრული შემადგენლობით გადადგა "ჟალგირისის" ხელმძღვანელობა. მენეჯერების მიმართ სოლიდარობა მთავარმა მწვრთნელმა რიმანტას გრიგასმაც გამოხატა. მწვრთნელის ეს გადადგომა იმითაც იყო განპირობებული, რომ ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე "ჟალგირისმა" ოთხიდან სამი მატჩი წააგო (მეტოქეებს კალათში საშუალოდ 84 ქულას აგდებინებდა).

"ჟალგირისის" ყოფილმა მენეჯერმა **გედიმინას ნავიკაუსკასმა**, რომელიც დიდი ხანი ახერხებდა კლუბის არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის დამალვას, აღიარა, რომ გუნდს დაახლოებით 2 მილიონი დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა. მისმა შემცვლელმა **პაულიუს მოტეიუნასმა** მოკლე დროში მოახერხა ბანკთან ხელშეკრულების გაფორმება და დაახლოებით 850 ათასი დოლარის შოვნა. მაგრამ მთელ ევროპაში მოგზაურობებს თუ გავითვალისწინებთ (ევროლიგის ტურები ყოველ კვირას იმართება), ეს ფული გუნდს დიდხანს ვერ შეინახავს.

*"ჩვენ კლუბში არსებულ სიტუაციაზე არც ლიტვურ და არც უცხოურ გაზეთებს არ ვაძლევთ კომენტარს. ასეთია ჩვენი პოზიცია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდი ფუნქციონირებს, ყველა კალათბურთელი ადგილზეა და არავინ არსად წასულა. ასე რომ, მუშაობას ვაგრძელებთ. იმედია, ამ სეზონს ნორმალურად ვითამაშებთ"*, - ამბობდა მოტეიუნასი ჯერ კიდევ ბრაუნის "მაკაბიში" გადასვლამდე.

კაუნასის გაზეთ Kauno Dieno-ს ცნობით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ბრაუნს დანარჩენი ლეგიონერებიც მიბაძავენ, არადა ლორენ ვუდსი, **რატკო ვარდა** და **უილი დინი** "ჟალგირისის" დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. ამ მოთამაშეებს უკვე არაერთი შემოთავაზება აქვთ ევროპული კლუბებიდან. თუ ეს ტრიოც წავა, "ჟალგირისში" შვიდი კალათბურთელი დარჩება. მათგან ორი - **იანკუნასი** და **კალნეიტისი** ტრავმირებულები არიან.

ასეთი "მოკლე სკამით" ეჭვქვეშ დადგა ლიტვური გუნდის ევროლიგაზე თამაში. ამიტომაც, კლუბმა სასწრაფოდ გაიფორმა სამი ახალგაზრდა კალათბურთელი - **ვასილაუსკასი, ბუკტევიჩუსი** და **მილაკნისი**, რომლებიც ადრე "კაუნასში" თამაშობდნენ.

*"სიტუაცია საკმაოდ სტაბილურია,* - ამბობს "ჟალგირისის" პრესატაშე **ალმანტას ტივერისი**. - *ევროლიგის ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა გუნდში შექმნილ რთულ სიტუაციას და ტურნირიდან არ გაგვრიცხა. ევროლიგაზე საუკეთესო 16 გუნდში მოხვედრას ვაპირებთ, რათა მომავალი წლის ტურნირში მონაწილეობის უფლება დავიბევოთ".*

ანეკდოტურია ისტორია, თუ რატომ აღარ ეხმარება "ჟალგირისს" კაუნასის მუნიციპალიტეტი, რომელიც დიდი ხანი კლუბის ფინანსური სტაბილურობის გარანტად გვევლინებოდა. მერია ამ სეზონისთვის გუნდს მილიონ დოლარზე მეტის გამოყოფას დაჰპირდა. მაგრამ თანხის "ჟალგირისის" ანგარიშზე გადარიცხვა ვერ შეძლო.

საქმე იმაშია, რომ კაუნასის მუნიციპალიტეტი აღარ ითვლება "ჟალგირისის" ერთ-ერთ მსხვილ აქციონერად. თავისი აქტივები მან კლუბის პრეზიდენტ არვიდას საბონისს გადაულოცა და ახლა, ლიტვური კანონმდებლობის თანახმად, არ შეუძლია ქალაქის ბიუჯეტიდან კლუბში ფულის გადარიცხვა. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, "ჟალგირისი" ზაფხულში აქტიურად ეძებდა ინვესტორს, მაგრამ უშედეგოდ.

# კობი ტრავმას გადაურჩა

შარშანდელი სეზონის საუკეთესო კალათბურთელის **კობი ბრაიანტის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. "ლეიკერსის" ლიდერი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და სავარაუდოდ, დღეს "პორტლენდთან" წინასასეზონო მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

ბრაიანტმა ტრავმა სამი დღის წინ მიიღო და თავიდან ექიმებმა არცთუ სახარბიელო დიაგნოზი დაუსვეს. თუმცა განმეორებითმა გამოკვლევამ უმნიშვნელო დაზიანება დააფიქსირა.

*"იმ მომენტში ძალიან შემეშინდა. მუხლის ძვლის ხმაც კი გავიგონე. თუმცა ახლა ყველაფერი კარგადაა"*, - დაიმედა თავისი გულშემატკივრები კობიმ.

■ ■ ■

უფრო უარესად აქვს საქმე "ჩიკაგო ბულზის" მცველ **ლარი ჰიუზს.** მან გუშინ, მესამე მეოთხედში მიღებული მარჯვენა მხარის ტრავმის გამო "მინესოტა ტიმბერვულვზთან" საჩვენებელი მატჩის დასრულება ვერ შეძლო. ჰიუზის ტრავმა "მგლების" ფორვარდ **მაიკლ მილერთან** შეჯახებამ გამოიწვია.

სამედიცინო შემოწმებამ კუნთის სერიოზული დაჭიმულობა აჩვენა. ამ დაზიანების აღმოსაფხვრელად მოთამაშეს ორკვირიანი მკურნალობა დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის რეგულარული ჩემპიონატის რამდენიმე ტურის გამოტოვება მოუწევს.

■ ■ ■

"ჰიუსტონ როკეტსის" პირველი ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** კმაყოფილია ბოლოდროინდელი ვარჯიშებითა და თავისი ფიზიკური კონდიციებით.

*"დღეს თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, სათამაშო ფორმით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ,ვინაიდან დაცვაში თამაში მიჭირს, მაგრამ ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებს ვუახლოვდები და ეს პრობლემაც მალე მოგვარდება. ჩემი აზრით, სეზონის გახსნისთვის სპორტული ფორმის სრულად აღდგენას მოვასწრებ და რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ტურიდანვე ჩავებმები"*, - ამბობს ტი-მაკი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე "ჰიუსტონის" ლიდერი ეჭვს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ მხარისა და ფეხის ტრავმის გამო სეზონის პირველ მატჩში მოედანზე გასვლას ვერ შეძლებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




სხვადასხვა

კრივი

## ტრაგედია მექსიკაში

მექსიკელი **დანიელ აგუილონი** მეხიკოს ერთ-ერთ ჰოსპიტალში გარდაიცვალა. კვირას ეს მოკრივე ნახევრად საშუალო წონაში ცენტრალური ამერიკის ჩემპიონის ტიტულისთვის **ალეხანდრო სანარბიას** ხვდებოდა. ბრძოლის დასრულებამდე 40 წამით ადრე, სანარბიამ ნოკაუტში გაგზავნა მექსიკელი. 24 წლის აგუილონი კომაში ჩავარდა და ხუთი დღის შემდეგ გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

ამ ტრაგედიას გამოეხმაურა კრივის მსოფლიო საბჭო (WBC), რომელიც მექსიკელის ოჯახს ფინანსურ დახმარებას გაუწევს.

ჩოგბურთი

## აბუ-დაბიში საჩოგბურთო ელიტა შეიკრიბება

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში, 2009 წლის საჩოგბურთო სეზონის სტარტზე სამდღიანი ელიტური ტურნირის ჩატარებაა დაგეგმილი. აქ მთავარი პრიზისთვის ექვსი საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელი იბრძოლებს.

ორგანიზატორები ამით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და 2010 წლისთვის ქალებს შორისაც აქვთ დაგეგმილი ანალოგიური ტურნირის გამართვა.

აბუ-დაბის ტურნირი დუბაის ღია პირველობის ერთგვარ დამატებად უნდა იქცეს. დუბაის ჩემპიონატი, როგორც წესი, წლის დასაწყისში ტარდება ხოლმე.

## ბრისბენში რაფტერის არენა შენდება

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში ახალი საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობა სრულდება. სტადიონს ამერიკის ღია პირველობისა და უიმბლდონის ორგზის ფინალისტის **პატრიკ რაფტერის** სახელი მიენიჭება.

რაფტერის არენის მთავარის კორტის ტრიბუნებზე 5500 ათასი მაყურებელი დაეტევა. კომპლექსი იანვრის დასაწყისში გაიხსნება და ის ATP-ისა და WTA-ის ტურნირებს უმასპინძლებს. ჩოგბურთელებისთვის ეს შეჯიბრება ერთ-ერთი ეტაპი იქნება ავსტრალიის ღია პირველობის მოსამზადებელ ციკლში.

მომავალ ტურნირზე მონაწილეობის სურვილი უკვე დაადასტურეს სერბებმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა**, აგრეთვე კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა**. აღსანიშნავია, რომ ბრისბენში ასეთი დონის ტურნირი 1994 წლიდან არ ჩატარებულა.

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა-ფლორიდა 1:3**

0:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ოლეში-1 (გ. კემპბელი-1), 0:2 ჰორტონი-2 (სტილმანი-3, სკრასტინსი-1), 1:2 ალფრედსონი-2 (სპეცა-5, კუბა-8), 1:3 სტილმანი-3 (მაკლინი-2).

**ნიუ ჯერსი-დალასი 5:0**

1:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ლანგენბრუნერი-1 (პარიზე-3, ზაიაცი-2), 2:0 მადენი-2 (პ. მარტინი-2, პანდოლფო-2), 3:0 მადენი-3 (სალვადორი-1, ჯონტა-3), 4:0 პარიზე-4 (ე. გრინი-1, ზაიაცი-3), 5:0 კლარკსონი-1 (ლეტურნო-ლებლონი-1, ა. გრინი-2).

**ფილადელფია-სან ხოსე 6:7 (ბ)**

4:5, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-4, 1:1 პაველსკი-3 (ერჰოფი-4, ქლოუ-3), 1:2 ქლოუ-1 (პაველსკი-2, ვლასიჩი-5), 2:2 მ. რიჩარდსი-4 (ნოდლი-1), 2:3 მარლო-3 (სეტოგუჩი-3, სემიონოვი-1), 3:3 აპშოლი-1 (ჰარტნელი-1, სბისა-1), 3:4 სეტოგუჩი-4 (მარლო-3, ჯ. ტორნტონი-6), 4:4 ლუპული-1 (ჰარტნელი-2), 4:5 ბოილი-2 (გოკი-1, მარლო-4), 4:6 მარლო-4 (გოკი-2, გრირი-3), 5:6 ლუპული2 (მ. რიჩარდსი-2), 6:6 ბრიერი-3 (ჰარტნელი-3, აპშოლი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** პაველსკი (სან ხოსე), რიონიკი (სან ხოსე).

**სტ. ლუისი-დეტროიტი 3:4**

0:1, 1:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-2 (სამუელსონი-4, ფრანცენი-1), 0:2 ჰოლმსტრიომი-6 (მარიან ჰოსა-5, დაციუკი-6), 0:3 ლიდსტრიომი-2 (რაფალსკი-6, დაციუკი-7), 1:3 ტკაჩუკი-7 (ე. მაკდონალდი-7, ბოიესი-4), 2:3 ბოიესი-5 (მაკლემანი-2), 2:4 ფრანცენი-4, 3:4 ოში-1 (კარია-9, ე. მაკდონალდი-8).

**ჩიკაგო-ედმონტონი 3:0**

2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 შარპი-5 (ტეუვზი-4), 2:0 სიბრუკი-2 (ბოლანდი-3, ვერსტეეგი-6), 3:0 ა. ჯონსონი-1 (ჰავლატი-4, შარპი-5).

# უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი



### A ჯგუფი

**შალკე–პსჟ 3:1**

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი (64. კრსტაიჩი), ბორდონი (54. ჰოვედესი), კობიაშვილი, ჯონსი, ფ. ერნსტი (72. რაკიტიჩი), ენგელაარი, ფარფანი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი.

**პსჟ:** ლანდრო, მულუმბუ (46. სახო), მაბიალა, ტრაორე, არმანი, ნ'გოი, კლემანი, სანხარე, შანტომი, კეუმანი, არნო.

**გოლები:** 1:0 მაბიალა (13-საკ. კარში), 2:0 კურანი (40), 3:0 ჰალილ ალთინთოფი (69), 3:1 შანტომი (90+3)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 50 000

**ტვენტე–რასინგი 1:0**

**ტვენტე:** ბოშკერი, რ. სტამი (66. ველენბერგი), ვიელაერტი, ფრანკო, ჰოიბახი, კ. პერესი (73. ჰერსი), ტიოტე, ბრამა, დენებოომი (88. არნაუტოვიჩი), ნკუფო, ელია.

**რასინგი:** კოლტორტი, პინილიოსი (46. ოსკარ სერანო), სესპი, სესარი, მარკანო, ლუქსენი (60. ხუანხო), ბედია (46. ვალერა), ჩიტე, კოლსა, მუნიტისი, გონკალვეში.

**გოლი:** 1:0 დენებოომი (7)

**გაფრთხილება:** 0-4

**მაყურებელი:** 21 000

### B ჯგუფი

**გალათასარაი–ოლიმპიაკ. 1:0**

**გალათასარაი:** დე სანკტისი, ემრე აშიქი, ფერნანდო მეირა, სერვეთ ჩეთინი, ჰაქან ბალთა, არდა თურანი, აიჰან აქმანი (71. ვოლქან იამანი), ლინკოლნი, საბრი სარიოგლუ, კიუელი (86. მეჰმეთ გუვენი), ბაროში (78. ნონდა).

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, პაპადოპულოსი, დომი, პაცაცოგლუ (74. ოსკარ გონსალესი), პანტოსი (58. ლეტო), მიხ. ჟევლაკოვი, გალეტი (79. დ. კოვაჩევიჩი), ბელუში, დიოგო.

**გოლი:** 1:0 კიუელი (25)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 33 000

**ჰერტა–ბენფიკა 1:1**

**ჰერტა:** დრობნი, შაჰედი, ა. ფრიდრიხი (53. კაკა), შიმუნიჩი, მ. შტაინი (66. პანტელიჩი), სიჩერო, დარდაი (46. კაჩარი), ლუშტენბერგერი, ნიკუ, რაფაელი, ვორონინი.

**ბენფიკა:** კუიმი, პერეირა პაესი, ლუიზაო, სიდნეი, ჟორჟე რიბეირუ, დი მარია, კაცურანისი (66. კარლუშ მარტინში), ბინია, რეიესი (72. ურეტავიზკაია), ნუნუ გომეში, კარდოსო (46. სუასო).

**გოლები:** 0:1 დი მარია (51), 1:1 პანტელიჩი (74)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 25 000

### C ჯგუფი

**სევილია–შტუტგარტი 2:0**

**სევილია:** პალოპი, კონკო, სკილაჩი, ესკუდე, ფერნანდო ნავარო, ადრიანო, ფასიო, ხესუს ნავასი (74. ფერნანდო), აკოსტა (20. დე მული), რენატო (62. მარესკა), რომარიკი.

**შტუტგარტი:** ლემანი, ტრაში (46. მარიკა), დელპიერი, ბულარუზი, მანინი, პარდო, ჰიტცლშპერგერი, ჰილბერტი, ბოკა (73. რუდი), ლანიგი (57. ელსონი), გომესი.

**გოლები:** 1:0 რომარიკი (15), 2:0 რენატო (16)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 30 000

**პარტიზანი–სამპდორია 1:2**

**პარტიზანი:** ბოჟოვიჩი, სტევანოვიჩი (46. მილიკოვიჩი), იოვანოვიჩი, კნეჟევიჩი, ობრადოვიჩი, ტომიჩი, ფეისა (65. ლაზიჩი), იუცა, მორეირა, ლამინ დიარა, პაუნოვიჩი (58. ბოგუნოვიჩი).

**სამპდორია:** კასტელაცი, აკარდი, ბოტინელი, ლუკინი, სტანკევიჩუსი, დესენა, ჯ. დელვეკიო (73. სამარკო), ფრანჩესკინი, ციგლერი, კასანო (61. ბელუჩი), ბონაცოლი.

**გოლები:** 0:1 ბონაცოლი (20), 1:1 ლამინ დიარა (34), 1:2 დესენა (55)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 23 780

### D ჯგუფი

**უდინეზე–ტოტენჰემი 2:0**

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, მოტა, კოდა, დომიცი, ლუკოვიჩი (89. პასკუალე), ინლერი, დ'აგოსტინო (86. ფლორესი), ისლა, სანჩესი (79. პეპე), კუალიარელა, დი ნატალე.

**ტოტენჰემი:** გომეში, ჰატონი, კინგი, ვუდგეიტი (64. ჯოვანი), ასუ-ეკოტო (46. მოდრიჩი), ბეილი, ლენონი, ზოკორა, ჯენასი, ო'ჰარა, ბენტი.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (24-პენ), 2:0 პეპე (86)

**გაძევება:** ო'ჰარა (57. ტოტენჰემი)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 22 000

**დინამო (ზ)–ნიიმეგენი 3:2**

**დინამო:** კელავა, ლოვრენი, სანტოს კარლოსი, ბისკანი, იბანიესი, ვრდოლიაკი, მიკიჩი, ბადელი (80. სუარესი), სამირი (6. ჰრგოვიჩი), მორალესი (46. ბალაბანი), მანძუკიჩი.

**ნიიმეგენი:** ბაბოში, დანი ფერნანდესი, ცომერი, ვისგერჰოფი, ელ-აქჩაუი, სიბუმი, რადომსკი (86. ბუაუზანი), ლ. დავიდსი, შონე (86. ვან ბოკერინგი), ნტივაზონკისა, ტ. იანსენი.

**გოლები:** 1:0 მანძუკიჩი (3), 1:1 სანტოს კარლოსი (24-საკ. კარში), 1:2 ტ. იანსენი (78), 2:2 ბალაბანი (81), 3:2 ვრდოლიაკი (84)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 15 000

### E ჯგუფი

**ჰერენვეენი–მილანი 1:3**

**ჰერენვეენი:** ვანდენბუშე, პოპოვი (60. კალუ), ბროიერი, დინგსდაგი, იონ-ა-პინი, გრინდჰეიმი, ვაირინენი, პრანიჩი, ბეერენსი, სიბონი, ელიუნოსი (60. ენრიკე).

**მილანი:** დიდა, ძამბროტა, ბონერა, ანტონინი, ფავალი, გატუზო, ფლამინი, კაკა (78. იანკულოვსკი), ფ. ინძაგი (72. პატო), შევჩენკო (72. რონალდინიო).

**გოლები:** 0:1 იონ-ა-პინი (19-საკ. კარში), 0:2 გატუზო (23), 0:3 ფ. ინძაგი (69), 1:3 პრანიჩი (86-პენ)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 25 600

**ბრაგა–პორტსმუთი 3:0**

**ბრაგა:** ედუარდო, ფრეშო, მოისესი, ალბერტო როდრიგესი, ევალდო, ვანდინიო (86. პაულო სეზარი), აგუირი, ალანი, მატეუსი (63. პეიშოტო), რენტერია (83. კრუსი), ზე მეიონგი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ს. კემპბელი, პამარო, ტრაორე (62. კანუ), დისტენი, ჰრეიდარსონი (46. ბელაჯი), შ. დევისი, დიოპი, ლიტლი, დეფო, კრაუჩი.

**გოლები:** 1:0 აგუიარი (8). 2:0 რენტერია (46), 3:0 ალანი (87)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 23 000

### F ჯგუფი

**ჟილინა–ჰამბურგი 1:2**

**ჟილინა:** პერნიში, შურეკი (54. მ. დურიცა), პეკარიკი, პიაჩეკი (87. ლაიტნერი), ვომაჩკა, შტრბა, შტივარი, ტეშაკი, ვლადავიჩი, ადაუტო, კაროგლანი (67. რილკე).

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა (83. ბოატენგი), იაროლიმი, ტროხოვსკი, ბენჯამინი, ოლიჩი, გერერო (74. პიტროიპა), პეტრიჩი.

**გოლები:** 0:1 პეტრიჩი (15), 0:2 ოლიჩი (45), 1:2 რილკე (70)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 9 871

**ასტონ ვილა–აიაქსი 2:1**

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, იანგი, კუელარი, ლაურსენი, შორი, რეო-კოკერი (81. გარდნერი), ს. პეტროვი, ბერი, მილნერი, იანგი, აგბონლაჰორი.

**აიაქსი:** ვერმეერი, სილვა, ოლეგერი (78. ვან დერ ვილი), ვერმაელენი, ემანუელსონი, ლინდგრენი, ვერტოგენი, გაბრიმ, სარპონგი (55. ცვიტანიჩი), ლუის სუარესი (60. ლეონარდო), ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 ლაურსენი (8), 1:1 ვერმაელენი (22), 2:1 ბერი (45)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 36 657

### G ჯგუფი

**კოპენჰაგენი–სტ. ეტიენი 1:3**

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, პოსპეჩი, უ. ლაურსენი, მ-ზ. იორგენსენი, ვენდტი, სიონკო, კრისტენსენი, ნორეგაარდი, ჰათჩინსონი, სანტინი, ნორდსტრანდი.

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, ვარო, ტავლარიდისი, მონსორო, სოგე, პაულო მაჩადო, პერენი, მატუიდი, დერნისი, პეიე, ბ. გომისი.

**გოლები:** 0:1 ბ. გომისი (2), 0:2 პერენი (37), 1:2 სანტენი (59-პენ), 1:3 პეი (65)

*მე-5 წუთზე ნორდსტრანდმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაფრთხილება:** 0:3

**მაყურებელი:** 17 187

**რუსენბორგი–ბრიუგე 0:0**

**რუსენბორგი:** იარსტეინი, ლუშტიგი (90. ბერიშა), სტადსგაარდი, დორსინი, დემიდოვი, სკიელბრედი, ტეტეი, საპარა, სტრანდი (80. ტრაორე), კონანი (84. პელუ), ივერსენი.

**ბრიუგე:** სტინენი, სიმანი, ალკასარი, კლუკოვსკი, კლემანი, სიმაეისი, ვარგასი (59. ივან ლეკო), გერაერტსი, დირარი, სონკი, აკპალა (90. ბლოდელი).

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 12 166

### H ჯგუფი

**ცსკა–დეპორტივო 3:0**

**ცსკა:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, გრიგორიევი, შემბერასი, კრასიჩი, ალდონინი (73. რაჰიმიჩი), ჟირკოვი (87. შჩენიკოვი), ძაგოევი (65. რამონი), ვაგნერ ლავი.

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, ლოპო, ლუის ფელიპე (79. ადრიან ლოპესი), დე გუსმანი (64. სრეხიო), ვალერონი, ა. ტომასი, გუარდადო, კრისტიანი, ბრავო (72. მისტა).

**გოლები:** 1:0 ძაგოევი (9), 2:0 ძაგოევი (12), 3:0 ვაგნერ ლავი (61)

**გაფრთხილება:** 4-2

**მაყურებელი:** 8 000

**ნანსი–ფეიენოორდი 3:0**

**ნანსი:** ბრასილიანო, ელდერი, უადუ, მაკალუსო, ბაინკალანი, ა. ნ'დიაიე, ფერე, ნცეი (46. გავანონი), ნ'გემო, დია (46. ფორჩუნი), ზერკა (85. ანდრე ლუისი).

**ფეიენოორდი:** ტიმერი, სერჟინიო გრინი, ბაია, ჰოფლანდი, დე კლერი (69. მაკაი), ვან ბრონკჰორსტი, ალ-აჰმადი, ფერი, ბისესვარი, ვიინალდუმი, მოლსი (83. ერასმუსი).

**გოლები:** 1:0 ზერკა (47), 2:0 ფერე (53), 3:0 ელდერი (84)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 11 512

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| ევროლიგა. კაცები | |
|---|---|
| ციბონა-მაკაბი | 81:79 |
| ეფესი-პარტიზანი | 61:60 |
| ალბა-რომა | 68:63 |
| ნანსი-ბარსელონა | 54:82 |
| რეალი-პანიონიოსი | 87:66 |
| ხუვენტუდი-ოლიმპია | 81:64 |
| აველინო-ოლიმპიაკოსი | 69:83 |
| **ევროლიგა. ქალები** | |
| ლოტოსი-უგმკ | 71:82 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ერტლანდი | 76:80 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ავანგარდი-დინამო (რ) | 3:0 |
| ტრაქტორი-ატლანტი | 2:1 |
| ცსკა-ვიტიაზი | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ვენა | 7:5 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-ფრანქფურტი | 3:4 |
| **დანია** | |
| ტოტემპო-რადოვრე | 3:4 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტავანგერი | 3:2 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 3:2 |
| სპარტა-კომეტი | 4:1 |
| სტიორნენი-ფურუსეტი | 8:2 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ჰპკ | 3:2 |
| კალპა-ილვესი | 2:1 |
| სეიპა-ტპს | 4:1 |
| ტაპარა-იუვიასკიულა | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 2:1 |
| **[illegible]** | |
| ლულეო-იურგორდენი | 4:4 |
| მოდო-ლინჩოპინგი | 3:5 |
| როგლე-აიკ | 1:2 |
| ტიმრა-ბრიუნესი | 3:1 |
| ჰ371-სიოდერტალე | 6:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბაზელი | |
|---|---|
| ნალბანდიანი-ვლიეგენი | 6:4, 5:7, 7:6 |
| ბოლელი-გრანოლერსი | 6:4, 6:2 |
| ბოეიკი-ერნანდესი | 6:7, 6:2, 6:4 |
| დელ პოტრო-ბოლი | 6:3, 6:3 |
| ფედერერი-ნიემინენი | 7:6, 7:6 |
| **ATP. ლიონი** | |
| როდიკი-ჯინეპრი | 7:6, 7:6 |
| სიოდერლინგი-კ. როხუსი | 6:1, 6:2 |
| გასკე-დარცისი | 4:6, 6:3, 6:7 |
| სიმონი-სეპი | 7:6, 5:7, 6:4 |
| ცონგა-სანტორო | 6:2, 5:7, 6:3 |
| მატიო-ფერერო | 4:6, 1:6 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ტიმსარევიჩი-შარდი | 6:4, 7:6 |
| ჰანესკუ-კუკუშკინი | 6:3, 7:6 |
| საფინი-გოლუბევი | 4:6, 2:6 |
| მიურეი-გულბისი | 6:4, 6:2 |
| იუჟნი-ზვერევი | 5:7, 4:6 |
| **WTA. ლინცი** | |
| ბარტოლი-კვიტოვა | 7:6, 1:6, 6:3 |
| ზვონარევა-ლაგოსტერა ვივესი | 6:2, 6:0 |
| პენეტა-ციბულკოვა | 6:3, 6:1 |
| ივანოვიჩი-ბამერი | 6:4, 6:2 |
| პეტროვა-სრებოტნიკი | 6:4, 7:6 |
| შნიდერი-ა. ბონდარენკო | 2:6, 6:2, 1:6 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| დემენტიევა-დულკო | 6:2, 6:2 |
| მორესმო-გრონეფელდი | 6:3, 6:1 |

## TV სპორტი

### 24 ოქტომბერი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:30 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფენერბაჰჩე-არსენალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
14:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
15:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-ვერდერი.
17:55 ზუსტი გათვლა.
18:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ბატე.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 საფეხბურთო კლუბი.
01:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი.
03:45 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრონინგენი
05:35 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. 1/4. ინტერნასიონალი-ბოკა ხუნიორსი.
08:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
08:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
10:40 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. უდინეზე-ტოტენჰემი
12:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ხუვენტუდი-უნიონი.
14:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ინტერი-ანორთოსისი.
16:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
16:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ეინდჰოვენი-მარსელი.
18:20 სპორტკლუბი.
18:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-დალასი.
20:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტკლუბი.
22:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი (LIVE).
00:25 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
01:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:35 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. 1/4. ინტერნასიონალი-ბოკა ხუნიორსი.
03:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
05:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვილიარეალი.

#### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. უდინეზე-ტოტენჰემი
12:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. პრაქტიკა. ესპანეთი (LIVE).
17:00 რალი. ახალი სერია IRC. შვეიცარია.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. უდინეზე-ტოტენჰემი
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
23:00 პოკერი. საერთაშორისო ტურნირი. მონცა. იტალია.
00:00 პლანეტის უძლიერესი მამაკაცი. ფინეთი.
01:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალაიზიის გრანპრი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ექსტრემალური სპორტი.
14:00 სერფინგი. საფრანგეთი.
14:30 ავსტრალიური ფეხბურთი. საერთაშორისო სერია. ავსტრალია-ირლანდია (LIVE).
17:00 მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსიას გრანპრი. პრაქტიკა. ესპანეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
19:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. VII ტური. მონ დე მარსანი-ბიარიტცი.
20:00 რალი. ახალი სერია IRC. შვეიცარია (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. VII ტური. მონ დე მარსანი-ბიარიტცი.
00:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხვა




# ფელპსი და რაფა ყველაზე გავლენიანები არიან

ვებგვერდმა Askmen.com-მა თავის სტუმრებს საინტერესო გამოკითხვა შესთავაზა, რომლის მიზანიც 2008 წლის ყველაზე გავლენიანი მამაკაცების გამოვლენა იყო. ღონისძიების ავტორებს აინტერესებდათ, თუ ვინ იქონია წელს სხვა მამაკაცების ცხოვრების წესზე ყველაზე დიდი გავლენა.

გამოკითხვა აგვისტოდან მოყოლებული მიმდინარეობდა. ხმის მიცემაში 200 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და საბოლოოდ ყველაზე გავლენიანი 49 მამაკაცის სია შედგა. მათ შორის რამდენიმე სპორტსმენიც მოხვდა.

სიაში ვხედავთ ესპანელ ჩოგბურთელ **რაფაელ ნადალს**, რომელმაც წელს არნახული პროგრესი განიცადა - მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონი, პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედალს დაეუფლა და მამაკაცთა კლასიფიკაციის პირველ ადგილზე **როჯერ ფედერერი** ჩაანაცვლა.

ესპანელმა ჩოგბურთელმა უკან ჩამოიტოვა "პიტსბურგ პინგვინზის" ჰოკეისტი **სიდნი კროსბი** და ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი**. სპორტსმენებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი კი პეკინის ოლიმპიადის რვაგზის ჩემპიონს, ამერიკელ მოცურავე **მაიკლ ფელპს** ჰქონდა, რომელმაც გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა.

ფელპსს მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა **ბარაკ ობამამ** და კომპანია Apple-ის პრეზიდენტმა **სტივ ჯობსმა** გაასწრეს. მათ შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

■ ■ ■

რაფაელ ნადალი ამ კვირას თავისუფალია საჩოგბურთო ბატალიებიდან, სამაგიეროდ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გოლფში აპირებს ძალების მოსინჯვას.

25 ოქტომბერს, რაფა ესპანეთის ქალაქ კასტელიონის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მეორე დღეს კი მას ასტურიის პრინცის პრიზს ესპანეთის პრინცი **ფილიპე** გადასცემს.

# ივანოვიჩმა აქაც გაიმარჯვა



გამოკითხვა ჩაატარა გერმანულმა ჟურნალმა "ბილდმაც". მკითხველებს უნდა გაერკვიათ - ვის აქვს მსოფლიოს სპორტში ყველაზე ლამაზი სხეული.

ძალიან დიდი უპირატესობით სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** გაიმარჯვა. "ბილდის" ვებგვერდზე მისი ცნობილი ფოტო იყო გამოტანილი, სადაც ჩოგბურთელი შიშველია გამოსახული და მკერდზე ხელები აქვს აფარებული.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა სწორედ ამ ფოტოს მიანიჭა უპირატესობა. სერბთან სოლიდური სხვაობით წააგო კიდევ ერთმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ**. ის გერმანიის მამაკაცთა 15 პროცენტის საოცნებო ქალი ყოფილა. რუსმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მესამეზე 26 წლის ამერიკელი მოცურავე **ამანდა ბერდი** გავიდა.

მძლეოსნობა

# გრემს შინაპატიმრობა

სკანდალურად ცნობილი ამერიკელი მწვრთნელი **ტრევორ გრემი** დოპინგთან დაკავშირებული ცრუ ჩვენებების გამო ერთწლიანი შინაპატიმრობით დაისაჯა.

გრემი თავის დროზე დოპინგში მხილებულ მორბენლებს - **მერიონ ჯონსს, ტიმ მონტგომერისა** და **ჯასტინ გეტლინს** ავარჯიშებდა. სხვათა შორის, სიდნეის თამაშების ყოფილმა სამგზის ჩემპიონმა - მერიონ ჯონსმა ასევე ცრუ ჩვენებებისთვის ექვსი თვე ციხეში გაატარა.

გრემი იმ სკანდალის ერთ-ერთი მონაწილე იყო, რომელიც კალიფორნიული ლაბორატორია BALCO-ის მოღვაწეობას შეეხებოდა. ეს ლაბორატორია აკრძალული პრეპარატების დამზადებაში იყო მხილებული.

2008 წლის ივლისში, ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ სამწვრთნელო მოღვაწეობა აუკრძალა გრემს. პროკურორი კი მწვრთნელისთვის 10-თვიან პატიმრობას ითხოვდა, მაგრამ ტრევორი დასჯას გადაურჩა.

"BALCO-ის საქმის" დასრულების შემდეგ, ამერიკელი მძლეოსნები დისკვალიფიკაციით დასაჯეს, ხოლო მათი შედეგები გააუქმეს. კერძოდ, მერიონ ჯონსს 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ხუთი მედალი ჩამოერთვა.

კრივი

# ჰოლიფილდი ციხეში არ ჩაჯდება




სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **ევანდერ ჰოლიფილდი** ციხეს გადაურჩა. ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ თავისი ერთ-ერთი უკანონო შვილის დედასთან შეთანხმებას მიაღწია - ჰოლიფილდი ალიმენტებს დროულად გადაიხდის და მომავალში მატერიალურად დაეხმარება 11 წლის ვაჟს.

შეთანხმების მიხედვით, ჰოლიფილდმა უახლოესი სამი წლის განმავლობაში 100 ათასი დოლარის ოდენობის სპეციალური ფონდი უნდა შექმნას. ეს თანხა შვილის კოლეჯში სწავლისთვის იქნება გამიზნული. ყოველთვიური ალიმენტის გარდა, მოკრივე თვეში ერთხელ შვილის კერძო სკოლაში სწავლისთვის 3 ათასი დოლარის გადახდას დათანხმდა.

ევანდერი მიღწეული ზავით კმაყოფილი დარჩა: *"შვილები მიყვარს და მინდა ჩემგან განსხვავებით, საუკეთესო განათლება მიიღონ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ზოგიერთ ადამიანს იმის მოთმინება და რწმენა არ ჰყოფნის, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მშობლებს მსგავსი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ".*

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის დასაწყისში ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა **ტოი ირვინმა** სასამართლოში იჩივლა და ჰოლიფილდისგან ალიმენტების დავალიანების დაფარვა მოითხოვა. სასამართლომ ქალის მხარე დაიჭირა და მოკრივეს 1 სექტემბრამდე დაუწესა ვალის გადახდა. დადგენილ ვადაში ფული არ ჩაირიცხა და ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, სპორტსმენს პატიმრობა დაემუქრა. მაგრამ ორივე მხარის ადვოკატებმა სასამართლო პროცესამდე მოახერხეს ყველა უთანხმოების გარკვევა.

ევანდერ ჰოლიფილდმა ამ საქმის გამო დროებით კრივიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ 2009 წელს აპირებს პროფესიულ რინგზე დაბრუნებას. ამერიკელმა სენსაციური განცხადება გააკეთა - თუ მას დაუჯერებთ, გაისად ევანდერს სპორტიდან წასულ ბრიტანელ **ლენოქს ლუისთან** ჩხუბი მოუწევს. როგორც ამერიკელი ამბობს, მას უკვე დაუკავშირდნენ ლუისის წარმომადგენლები და კონტრაქტის პირობებიც შესთავაზეს. ჰოლიფილდის კიდევ ერთ სავარაუდო მეტოქედ რუსი **ნიკოლაი ვალუევი** სახელდება.

ფორმულა 1

# მერსედესს საკუთარი გუნდი უნდა



კომპანია "დაიმლერი" ფორმულა 1-ში თავისი გავლენის გაზრდას აპირებს. გამორიცხული არ არის, რომ გერმანულმა გიგანტმა მომავალში ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიაში საკუთარი გუნდიც იყოლიოს. დღეისთვის, "მერსედესი" ბრიტანული "მაკლარენის" აქციათა 40 პროცენტის მფლობელია.

"მერსედესის" ამბიციებზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა მისი და "ასტონ მარტინის" სავარაუდო ალიანსის შესახებ. ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ გერმანელები "მაკლარენში" საკუთარ წილს გაზრდიან ან ახალი გუნდს შეიძენენ.

*"რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მივიღოთ, "მაკლარენთან" ჩვენი შეთანხმება ძალაში დარჩება. SLR-ის ბოლიდის ცვლილება დაგეგმილი არ არის. რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, გვინდა ფორმულა 1-ის გუნდის მფლობელები გავხდეთ"*, - აცხადებს Car magazine-სთვის მიცემულ ინტერვიუში "მერსედესის" ანონიმური წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეებში გაჩნდა ინფორმაცია "მაკლარენის", "მერსედესისა" და "ფორს ინდიას" შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. შესაძლოა, პერსპექტივაში ინდური საჯინიბო "მერსედესისთვის" საქარხნო გუნდად იქცეს და ამასთან, გერმანულმა კონცერნმა "მაკლარენთანაც" განაგრძოს თანამშრომლობა.

# ტოიოტა ფორმულიდან მიდის?



მას შემდეგ, რაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია სერიოზულად დაფიქრდა ფორმულა 1-ში მონაწილე გუნდებისთვის სტანდარტული ძრავების შემოღებაზე, ამან, შესაძლოა, ჩემპიონატიდან რამდენიმე გუნდის წასვლა გამოიწვიოს.

მაგალითად, მსგავსი ნაბიჯის გადადგმაზე სერიოზულად დაფიქრდა იაპონური გუნდის "ტოიოტას" ხელმძღვანელობა. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად "ტოიოტას" სპორტული ქვეგანყოფილების ხელმძღვანელმა **ჯონ ჰაუეტმა** აცნობა. ეს ჩინოვნიკი ჟენევაში ფორმულა 1-ის გუნდების ხელმძღვანელებისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის შეხვედრას ესწრებოდა.

*"სტანდარტული ძრავების შემოღების მიზეზით, შესაძლოა, "ტოიოტა" სერიოზულად დაფიქრდეს ფორმულა 1-ის დატოვების შესახებ"*, - აცხადებს ჰაუეტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**